



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი გ. თუმანიშვილი

სალექციო კურსი
სამართლის პროფესიები

სალექციო კურსი შედგენილია: გიორგი გ. თუმანიშვილის მიერ
სალექციო კურსის ხელმძღვანელი: გიორგი გ. თუმანიშვილი

თბილისი
2009

ავტორი განსაკუთრებულ მადლიერებას უხდის წინამდებარე წიგნზე მუშაობის დროს აღმოჩენილი დახმარებისათვის საქართველოს პარლამენტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლებს.

ქალბატონ **ნინი გოგიბერიძეს** და **მარიამ გიორგობიანს** რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს წინამდებარე სალექციო კურსის გამოცემის ხელშეწყობაში, ასევე ილია ჭავჭავაძის საელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სალექციო კურსის გამოცემაზე გაწეული ფინანსური დახმარებისათვის.

სარჩევი:

ნოტარიუსი

ადვოკატი

პროკურორი

მოსამართლე

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

კურსის ხელმძღვანელისაგან

წინამდებარე სალექციო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სამართლის ის ძირითადი პროფესიები, რომლებშიც მათ უმაღესი იურიდიული განათლების მიღების შემდგომ შეეძლება მოახდინონ თვითრეალიზაცია.

სალექციო კურსი ეძღვნება სამართლის ისეთ ძირითად პროფესიებს, როგორც არის ნოტარიუსი, ადვოკატი, პროკურორი და მოსამართლე. თანამედროვე მსოფლიოში იურიდიულ პროფესიათა მრავალმხრივი დაყოფა არსებობს. წინამდებარე სასწავლო კურსი ეძღვნება სამართლის ძირითადი პროფესიების საქართველოში არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების შესწავლას.

სტუდენტის მიერ სამართლის პროფესიათა ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების შესწავლა ემსახურება მის მიერ სამომავლო პროფესიის არჩევის გაადვილებასა და შეგნებულ არჩევანს. სასწავლო კურსი ასევე მოიცავს იურისტისათვის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტების ნორმატიულ-სამართლებრივ რეგულირების საკითხებს, როგორც არის საქართველოს პარლამენტი და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სტრუქტურულად თითოეული განსახილველი თემა მოიცავს ასევე თემის შესწავლის დონის განმსაზღვრელ კითხვებს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეეძლება გადაამოწმონ მათ მიერ მიღებული ცოდნის დონე და მათი მზაობა თემასთან დაკავშირებული ტესტისა თუ სემინარისათვის.

ყოველ თემას თან ახლავს ნორმატიული მასალის ჩამონათვალი, რომლის მოძიებისა და გაცნობის შემდეგ სტუდენტი კიდევ უფრო გაიღრმავებს თემაში განხილულ საკითხთან მიმართებაში შეძენილ ცოდნას.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ თემაში ცალკე მოცემულია განხილულ პროფესიაში შესვლის წინაპირობები.

წარმოდგენილი სალექციო კურსი განკუთვნილია, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთათვის და სხვა პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ასევე სალექციო კურსში განხილული საკითხების შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის.

გისურვებთ წარმატებას და პროფესიულ წინსვლას!

პატივისცემით, გიორგი გ. თუმანიშვილი
თბილისი, 2009წ.

პროფესია
ნოტარიუსი

ნოტარიუსი

ნოტარიატი

ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ნოტარიატის სახელმწიფო რეგულირებას კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები.

ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას. სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია.

ვინ შეიძლება იყოს ნოტარიუსობის კანდიდატი?

ნოტარიუსობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ცნობილი არ არის მისი ნოტარიუსად მუშაობისათვის შეუფერებლობის დამადასტურებელი ფაქტი. პირს, რომელსაც სურვილი აქვს გახდეს ნოტარიუსობის კანდიდატი, სტაჟირებისათვის გზავნის იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატის წინადადებით. ნოტარიუსთა პალატა ნოტარიუსობის კანდიდატს სწავლებისათვის მიამაგრებს კონკრეტულ ნოტარიუსს.

სტაჟირება

სტაჟირება არის ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი პროგრამით სწავლება და ნოტარიუსთა პალატის დავალებების შესრულება. სტაჟირების ვადა ერთი წელია. ნოტარიუსთა პალატის წინადადებით იუსტიციის მინისტრს შეუძლია შეცვალოს სტაჟირების ვადა. ნოტარიუსობის კანდიდატი ნოტარიუსის ხელმძღვანელობით მონაწილეობს სანოტარო მოქმედების შესრულებაში. მას უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება თავისი სახელით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანიშნულია ნოტარიუსის შემცვლელ პირად.

ნოტარიუსობის კანდიდატის შრომის ანაზღაურება

ნოტარიუსობის კანდიდატი სტაჟირების პერიოდში ანაზღაურებას იღებს ნოტარიუსთა პალატისაგან, რომელიც განსაზღვრავს ანაზღაურების ოდენობასაც.

სანოტარო გამოცდა

ნოტარიუსობის კანდიდატმა, რომელიც გაივლის ზემოხსენებულ სასწავლო/სტაჟირების პროგრამას, გამოცდა უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას. ნოტარიუსობის კანდიდატი სანოტარიუსო გამოცდის ჩაბარებამდე ნოტარიუსთა პალატას წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების თაობაზე. ნოტარიუსი, რომელიც ხელმძღვანელობს კანდიდატს სანოტარიუსო გამოცდებამდე, ნოტარიუსთა პალატას წარუდგენს დასკვნას კანდიდატის ნოტარიუსობისათვის შესაფერისობის შესახებ.

ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღების პირობები

ნოტარიუსის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება ან აქვს ნოტარიუსად, ნოტარიუსის მდივნად ან/და კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია პარიტეტულ საწყისებზე იქმნება იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებისაგან სწავლული იურისტებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ნოტარიუსების შემადგენლობით.

როგორ ხდება ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება?

ნოტარიუსის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღების მოთხოვნებს. ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად ფიზიკური პირი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარადგენს განცხადებას და ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღების მოთხოვნების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

გადაწყვეტილება ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. გადაწყვეტილება ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნოტარიუსის დანიშვნა თანამდებობაზე

ნოტარიუსს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. თანამდებობაზე დანიშვნისას ნოტარიუსს ეძლევა სამსახურებრივი მოწმობა. ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის

ზღვრული ასაკი უთანაბრდება სახელმწიფო სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს. იუსტიციის მინისტრს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს ნოტარიუსს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელოს არა უმეტეს 5 (ხუთი) წლისა ნოტარიუსის თხოვნისა და ნოტარიუსთა პალატის წინადადების საფუძველზე.

ნოტარიუსის თანამდებობაზე მუშაობის დაწყება

ნოტარიუსი თანამდებობაზე მუშაობას უნდა შეუდგეს დანიშნიდან სამი თვის ვადაში. იგი მოვალეა თანამდებობაზე მუშაობის დაწყებამდე იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს თავისი სამსახურებრივი ბეჭედი, ხელმოწერის ნიმუში (ფაქსიმილე) და სასამსახურო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნოტარიუსი არის სამუშაოს მიმცემი თავისი ბიუროს მუშაკებისათვის. იგი პასუხს აგებს თავის სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის. ნოტარიუსის დისციპლინური პასუხისმგებლობა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით.

რას წარმოადგენს სანოტარო ბიურო?

სანოტარო ბიურო არის ნოტარიუსის სამუშაო ადგილი. ნოტარიუსი ვალდებულია ჰქონდეს ანგარიში ბანკში. მას უფლება აქვს სამუშაოზე აიყვანოს და გაათავისუფლოს მუშაკები (დასაქმებულები) შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განკარგოს ჩატარებული სანოტარო მოქმედებისათვის მიღებული შემოსავალი.

ნოტარიუსს შეუძლია თავის სამოქმედო ტერიტორიაზე გახსნას ერთი ან რამდენიმე ბიურო და ამის შესახებ აცნობოს ნოტარიუსთა პალატას. ორ ან მეტ ნოტარიუსს, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ საერთო სამოქმედო ტერიტორია, შეიძლება ჰქონდეთ საერთო ბიურო. ნოტარიუსთა უფლებები და მოვალეობები საერთო ბიუროს მიმართ განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. საერთო ბიუროში თითოეული ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის.

სანოტარო მოქმედება სრულდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში. ნოტარიუსის საქმიანობა არ არის მეწარმეობა და მოგების მიღების წყარო. ანაზღაურება, რომელსაც ნოტარიუსს უხდებიან მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის, ეკუთვნის ნოტარიუსს.

სანოტარო მოქმედების საიდუმლოება

ნოტარიუსი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს მოვალეობა ძალაში რჩება ნოტარიუსის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც.

მნიშვნელობანია, რომ ნოტარიუსი ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ აძლევს მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა დავალებით ან ვის მიმართაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მათ წარმომადგენლებს (იხ. წარმომადგენელი). გამოძიების, ადვოკატის ან სასამართლოს მოთხოვნით ნოტარიუსი გასცემს ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ იმ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც გამოძიების ორგანოების ან სასამართლოს წარმოებაშია. ნოტარიუსი მოვალეა, სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ინსპექციას წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც გადავიდა პირის საკუთრებაში.

ნოტარიუსს შეუძლია გაამხილოს მოანდერძის ცნობა ანდერძის არსებობის ან მისი შინაარსის შესახებ მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

პირს, რომლის დავალებით შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მის უფლებამონაცვლეს, ან წარმომადგენელს შეუძლია გაათავისუფლოს ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან წერილობითი თანხმობის საფუძველზე. თუ პირი გარდაიცვალა და მას უფლებამონაცვლეები არ ჰყავს ან მათთან დაკავშირება შეუძლებელია, ნოტარიუსი საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ. სასამართლოს შეუძლია ნოტარიუსი გაათავისუფლოს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან აგრეთვე სხვა საპატიო მიზეზების გამო.

ნოტარიუსის საქმიანობის სამსახურებრივი შეზღუდვები

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნოტარიუსმა სანოტარო საქმიანობასთან ერთად არ შეიძლება იმსახუროს (იმუშაოს) სხვა სამტატო თანამდებობაზე და შეასრულოს ანაზღაურებადი სამუშაო გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობისა. ნოტარიუსს აქვს თავისი პირადი კაპიტალის ინვესტირების უფლება. მას და მისი ბიუროს მუშაკებს (დასაქმებულებს) ეკრძალებათ გარიგების დადებისას იყვნენ მხარეთა შუამავლები.

ნოტარიუსის შრომის ანაზღაურება და სანოტარო ბიუროს ფინანსები

ნოტარიუსის მიერ სამართლებრივი და ტექნიკური სამსახურის გაწევა ფასიანია. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, ასლებისა და დუბლიკატების გაცემისათვის ნოტარიუსის საზღაური განისაზღვრება კანონით. ნოტარიუსის შემოსავალს სამსახურებრივი საქმიანობისაგან შეადგენს თანხა, რომელიც ნოტარიუსს რჩება სანოტარო ბიუროს შენახვის ხარჯების, კანონით დადგენილი გადასახადების და ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო გადასახადის შემდეგ იმ თანხიდან, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით. ნოტარიუსის შემოსავალს აგრეთვე შეიძლება შეადგენდეს სხვა ფინანსური შენატანები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლება და ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერება

ნოტარიუსი თანამდებობიდან თავისუფლდება, თუ:

- ნოტარიუსი გარდაიცვალა;
- ნოტარიუსმა მიაღწია საპენსიო ასაკს;
- ნოტარიუსმა დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- ნოტარიუსი წავიდა უცხოეთში მუდმივ საცხოვრებლად;
- ნოტარიუსი გადადგა;
- ნოტარიუსმა ჩაიდინა დანაშაული, რაც დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუვნებელი განაჩენით;
- ნოტარიუსმა ჩაიდინა ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით დადგენილი გადაცდომა, რომელიც იწვევს თანამდებობიდან მის გათავისუფლებას;
- ნოტარიუსი დაინიშნა კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით, მიუხედავად დარღვევის ხანდაზმულობისა;
- ნოტარიუსის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამორიცხავს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვან შესრულებას;
- გამოვლინდა სხვა ისეთი გარემოებები, რაც დაუშვებელს ხდის პირის ნოტარიუსად მუშაობას, მათ შორის, ნოტარიუსის მიერ ყალბი დოკუმენტის შედგენა ან სანოტარო დოკუმენტის გაყალბება (მიუხედავად ყალბი დოკუმენტის შედგენის ან სანოტარო დოკუმენტის გაყალბების ხანდაზმულობისა), რაც დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

ნოტარიუსი, რომელსაც შეუწყდა უფლებამოსილება, უნდა ამოირიცხოს საქართველოს ნოტარიუსთა სახელმწიფო რეესტრიდან.

ნოტარიუსს უფლებამოსილება უჩერდება, თუ:

- ნოტარიუსის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება;
- ნოტარიუსმა ჩაიდინა ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით დადგენილი გადაცდომა, რომელიც იწვევს მისი უფლებამოსილების შეჩერებას.

რა სანოტარო მოქმედებებს ასრულებს ნოტარიუსი?

- კანონით დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს;
- გასცემს საკუთრების უფლებების მოწმობას ქონების ნაწილზე;
- გასცემს მემკვიდრეობის უფლებების მოწმობას;
- გასცემს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას;
- იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;
- ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან;
- ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას;
- ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს;
- ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
- ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
- ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
- ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს;
- გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს;
- დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებს და ფასეულობებს;
- ასრულებს თამასუქის პროტესტს;
- გასანადღებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნადღებლობას;
- შესანახად იღებს დოკუმენტებს;
- აფიქსირებს მტკიცებულებებს;
- ასრულებს საზღვაო პროტესტს;

სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს და მათი შუამდგომლობით ადგენს დოკუმენტების პროექტებს. ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს დაგირავებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით

განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს აღსრულებას.

სანოტარო მოქმედების შინაარსი და შედეგების განმარტება

ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთან ნოტარიუსი მოვალეა იზრუნოს, რათა არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებმაც კანონი არ იცინა და საჭიროებენ სამართლებრივ დახმარებას.

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს. იგი არის თავისი კლიენტის მიუკერძოებელი იურიდიული მრჩეველი.

სანოტარო საქმიანობა ხორციელდება ნოტარიუსის დამოუკიდებლობისა და პროფესიული მიუკერძოებლობის, კანონიერების, ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ზუსტი და ნათელი დოკუმენტების შედგენის, ნოტარიუსის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის, ნოტარიუსის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პრინციპების საფუძველზე.

ნოტარიუსს უფლება აქვს:

- შეასრულოს თავისი ფუნქციები ყოველგვარი ჩარევისა და დაბრკოლების გარეშე;
- გამოითხოვოს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ცნობები და დოკუმენტები ადმინისტრაციული ორგანოებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;
- მიიღოს საზღაური სანოტარო მომსახურებისათვის, მათ შორის აინაზღაუროს სანოტარო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებით, რაც აუცილებელია თავისი ვალდებულებების ეფექტური შესრულებისათვის, ნოტარიუსის ღირსებისა და სანოტარო ბიუროს ხელშეუვალობის დასაცავად.

ნოტარიუსის ძირითადი ვალდებულებანი

სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი და:

- შეასრულოს თავისი პროფესიული ვალდებულებები საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- დაიცვას ნოტარიუსის პროფესიული ეთიკის წესები;
- სანოტარო მოქმედების შესრულებისას დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირის ან მათი წარმომადგენლის ვინაობა, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, ნების თავისუფალი გამოვლენის ნამდვილობა, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები, გააფრთხილოს სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ;
- მუდმივად იზრუნოს თავისი პროფესიული მომზადების ხარისხის ასამაღლებლად;
- დაიცვას პროფესიული საიდუმლოება;
- არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მორალს ან/და საჯარო წესრიგს;
- დროულად გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გადასახდელები ნოტარიუსთა პალატაში;

ნოტარიუსს ეკრძალება კლიენტთან სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებული თანამშრომლობის, ან პარტნიორობის შესახებ გარიგების დადება ნებისმიერი ფორმით, გარდა ამისა ნოტარიუსს ეკრძალება:

- შუამავლობა თავის კლიენტებს შორის გარიგების დადებისას ან/და გარანტიის მიცემა ერთ-ერთი მხარისათვის;
- სანოტარო აქტში შეიტანოს თუნდაც ერთი პუნქტი, მიმართული საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ;
- საკუთარი სანოტარო საქმიანობისა და პროფესიული თვისებების რეკლამირება. სანოტარო საქმიანობის რეკლამად არ მიიჩნევა სანოტარო ბიუროს ფირნიშის განთავსება.

პროფესიული საიდუმლოება

ნოტარიუსი და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა პირი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს კლიენტის პირადი ცხოვრების შესახებ ყველა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა ნოტარიუსის ფუნქციების შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც. ანდერძის შესახებ ნებისმიერ ცნობა ან ინფორმაცია გაიყვამ მხოლოდ მონადერძის

გარდაცვალების შემდეგ იმ პირობით, თუ წარდგენილი იქნება მოანდერძის გარდაცვალების მოწმობა ან ანდერძი ოფიციალურად გამოქვეყნდება.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველნი ვალდებული არიან დაიცვან სანოტარო ბიურო, როგორც საჯარო დაწესებულება.

ნოტარიუსს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ბეჭედი, რომლის ანაბეჭდის ნიმუში უნდა წარედგინოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. იგივე წესით წარდგენილ უნდა იქნას ნოტარიუსის ხელმოწერის ნიმუში. ნოტარიუსის ხელმოწერა და სამსახურებრივი ბეჭდის ანაბეჭდი უნდა შესრულდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის თანდასწრებით. ნოტარიუსმა დამატებით, დოკუმენტის გაყალბებისაგან დაცვის მიზნით, შეიძლება გამოიყენოს რელიეფური ბეჭედი (ტვიფრული ბეჭედი), რომლის გამოყენების შესახებ ნოტარიუსი ვალდებულია წინასწარ აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. ნოტარიუსი აკრძალულია ნოტარიუსის ხელმოწერის დასმა მექანიკური საშუალების გამოყენებით (მექანიკური ფაქსიმილე - ბეჭედი, რომელზეც მოცემულია ნოტარიუსის ხელისმოწერა). ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო აქტს დაუსვას თავისი ბეჭედი და ხელმოწერა. სანოტარო აქტს ხელმოწერის გარეშე ძალა არ აქვს.

ნოტარიუსი ვალდებულია გულმოდგინედ შეინახოს ბეჭედი. აკრძალულია ბეჭდის გადაცემა სხვა პირისათვის. ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს პოლიციას ქვემდებარეობის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ვალდებულია ცნობა ბეჭდის დაკარგვის შესახებ გამოაქვეყნოს პრესაში. ბეჭდის დაკარგვის შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ დაკარგული ბეჭდის სანაცვლოდ ნოტარიუსი ვალდებულია დადგენილი წესით დაამზადოს ბეჭედი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დაკარგული ბეჭდისაგან განმასხვავებელი მცირე დეტალი. ახალი ბეჭდის დამზადების შემდეგ დაკარგული ბეჭდის პოვნის შემთხვევაში ნაპოვნი ბეჭედი უნდა გაიჭრას ორ ნაწილად. ბეჭდის გაჭრილი ნაწილები ინახება საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში. აღწერილი პროცედურის შესახებ უნდა შედგეს ბეჭდის განადგურებისა და შენახვის აქტი, ბეჭდის გაჭრილი ნაწილები უნდა მოთავსდეს კონვერტში და კონვერტი უნდა დაილუქოს, ბეჭდის განადგურებას უნდა

ესწრებოდნენ: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლები, ნოტარიუსი, რომლის ბეჭედი დაიკარგა, აგრეთვე, ერთი (დამატებითი-სხვა) ნოტარიუსი.

სანოტარო მოქმედებათა სახეები

ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედება სრულდება სანოტარო დადასტურების ან სანოტარო დამოწმების ფორმით. სანოტარო დადასტურების დროს ნოტარიუსი ადასტურებს დასადასტურებელი გარიგების (დოკუმენტის) მთელ შინაარსს, მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და გარიგების მონაწილეთა ნების შესატყვისობას მოქმედ სამართალთან.

სანოტარო დადასტურებისას ნოტარიუსი ადგენს სანოტარო აქტს, რა დროსაც იგი ვალდებულია:

- დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობა;
- დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის უფლებამოსილება;
- დაადგინოს ყველა ის ფაქტი და გარემოება, რაც აუცილებელია სამართლებრივად გამართული გარიგების დასადასტურებლად და ამ მიზნით გამოითხოვოს ყველა ის დოკუმენტი, რომლის გამოთხოვაც აუცილებელია;
- დაადგინოს მიზანი, რომლის მიღწევაც სურს (მხარეს) მხარეებს;
- განუმარტოს სანოტარო მოქმედების მონაწილეს სანოტარო აქტის სამართლებრივი შედეგები;
- დარწმუნდეს მხარეთა განზრახვის სერიოზულობასა და სანოტარო აქტის შინაარსის მხარის ნებასთან შესაბამისობაში.

სანოტარო დამოწმების დროს ნოტარიუსი არ ამოწმებს დოკუმენტში ჩამოყალიბებული ფაქტების ნამდვილობას, არამედ მხოლოდ ამოწმებს, რომ ხელმოწერა დოკუმენტზე ეკუთვნის კონკრეტულ პირს. ასევე, ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის დედანთან სისწორეს, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს. დამოწმება სრულდება დოკუმენტზე ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერის (ფორმულარის) შესრულების გზით.

ნოტარიუსთან წარდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი, ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი. სანოტარო მოქმედება არ სრულდება იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც არის ამოშლილი, ამოფხეკილი, ან/და გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და მსგავსი გადასწორებანი და აღნიშნული შესწორებანი

არ არის დათქმული. არ მიიღება, აგრეთვე, ფანქრით შედგენილი დოკუმენტები. სხვა სახელმწიფოში შესრულებულ დოკუმენტებს ნოტარიუსი საქმისწარმოებაში მიიღებს, თუ ისინი ლეგალიზებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დოკუმენტის ლეგალიზაცია არ მოითხოვება (სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულება ზემოხსენებულ საკითხზე სამართლებრივი დახმარების შესახებ). არ მიიღება ფაქსით, ან სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიღებული დოკუმენტები. ნოტარიუსი უფლებამოსილია არ გასცეს შესრულებული სანოტარო აქტები და მათზე თანდართული დოკუმენტები ნოტარიუსის საზღაურისა და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ხარჯების გადახდამდე.

როგორ ხორციელდება სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა?

ნოტარიუსი ადგენს სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობას მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან პირადობის მოწმობა. თუ ნოტარიუსს ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტის წარმდგენისადმი კუთვნილებაში, ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობის შემოწმება

ნოტარიუსი ვალდებულია დარწმუნდეს სანოტარო აქტის მონაწილის ქმედუნარიანობაში და თავისი რწმენის შესახებ მიუთითოს დამადასტურებელ წარწერაში. ნოტარიუსი ვალდებულია არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება თუ ეჭვი ეპარება მასში მონაწილე პირის ქმედუნარიანობაში.

ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

დისციპლინური გადაცდომა

დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისი სასჯელები იყოფა მათი სიმძიმის ხარისხის შესაბამისად.

დისციპლინური გადაცდომა იყოფა:

- მსუბუქ გადაცდომად;
- საშუალო გადაცდომად;
- მძიმე გადაცდომად;
- განსაკუთრებით მძიმე გადაცდომად.

მსუბუქი დისციპლინური გადაცდომა

ნოტარიუსი (შემცველი პირი) სჩადის მსუბუქ დისციპლინურ გადაცდომას, თუ:

- დაუდევრად ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს. დაუდევრობად ჩათვლება სანოტარო საქმიანობისას დაშვებული მსუბუქი ხასიათის შეცდომა, რომელსაც არ მოჰყოლია მძიმე შედეგი;
- არღვევს სანოტარო მოქმედების შესრულების (სანოტარო აქტის შედგენის) კანონმდებლობით დადგენილ ზოგად წესებს;
- სანოტარო ბიუროში თვალსაჩინო ადგილზე არა აქვს გამოკრული სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაურის ტარიფები;
- ხელს არ აწერს ნოტარიუსის საქმიანობის შემოწმების აქტს;
- სისტემატურად არღვევს სანოტარო ბიუროს სამუშაო გრაფიკს;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით არ უზრუნველყოფს სანოტარო აქტების კლასიფიცირებას ან/და შენახვას;
- სანოტარო აქტს (აქტის ნაწილს) ადგენს, ან რეესტრში ჩანაწერებს ახდენს გაურკვეველი კალიგრაფიით;
- არაჯეროვნად ადევნებს თვალყურს ნოტარიუსის სტაჟიორის სწავლების პროცესს;
- არაეთიკურად ექცევა თავის კოლეგას;

საშუალო დისციპლინური გადაცდომა

ნოტარიუსი (შემცველი პირი) სჩადის საშუალო დისციპლინურ გადაცდომას, თუ:

- არაჯეროვნად ზედამხედველობს თავისი სანოტარო ბიუროს თანამშრომლებს ან ჰყავს სანოტარო ბიუროს თანამშრომელი მასთან წერილობითი ხელშეკრულების გარეშე;

- სანოტარო საქმიანობას ეწევა ბიუროში, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს;
- უსაფუძვლოდ აცხადებს უარს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე ან პროფესიული მომსახურების გაწევაზე;
- არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ზედამხედველი ორგანოს, სასამართლოს ან ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებებს (აქტებს), დადგენილ ვადაში არ აწვდის მათთვის აუცილებელ ინფორმაციას;
- არასაპატიო მიზეზით არ ესწრება ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრებას, იუსტიციის სამინისტროს და ნოტარიუსთა პალატის მიერ მოწყობილ კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.

მძიმე დისციპლინური გადაცდომა

ნოტარიუსი (შემცვლელი პირი) სჯადის მძიმე დისციპლინურ გადაცდომას, თუ:

- არღვევს სანოტარო მოქმედების შესრულების (სანოტარო აქტების შედგენის) კანონმდებლობით დადგენილ ზოგად წესებს, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს, ან რასაც მძიმე შედეგი მოჰყვას;
- ადგენს გაურკვეველი შინაარსის სანოტარო აქტს;
- არღვევს სანოტარო აქტში ცვლილების (შესწორების) შეტანის წესს, თუ ცვლილება გარიგების შინაარსის არსებით შეცვლას იწვევს;
- არასწორად ახდენს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაურის ოდენობის გაანგარიშებას, ან სანოტარო აქტზე გარკვევით არ უთითებს გადახდევინებული საზღაურის ზუსტ ოდენობას, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს;
- სანოტარო მომსახურებისათვის განზრახ ახდევინებს სანოტარო ტარიფით დადგენილზე ნაკლებ ან მეტ საზღაურს;
- გახსნილი აქვს სანოტარო ბიურო ან/და მისი ფილიალი კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით;
- ახდენს თავისი სანოტარო საქმიანობისა და პროფესიული თვისებების რეკლამირებას;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აწარმოებს სანოტარო მოქმედებათა სავალდებულო რეესტრებს;
- არასაპატიო მიზეზით არ იხდის საწევრო გადასახადს ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადებს;
- ასრულებს სანოტარო მოქმედებას კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე;
- დაუდევრად ახდენს სანოტარო დოკუმენტაციის შენახვას, რამაც სანოტარო აქტების, რეესტრების დაკარგვა ან განადგურება გამოიწვია.

განსაკუთრებით მძიმე დისციპლინური გადაცდომა

ნოტარიუსი (შემცვლელი პირი) სჩადის განსაკუთრებით მძიმე დისციპლინურ გადაცდომას, თუ:

- ასრულებს სანოტარო მოქმედებას კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს ან რასაც მძიმე შედეგი მოჰყვება, ან/და ასრულებს სანოტარო მოქმედებას, რომელიც ამკარად ეწინააღმდეგება კანონს, მორალს ან/და საჯარო წესრიგს;
- არღვევს პროფესიული საიდუმლოების შენახვის ვალდებულებას, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვება;
- ადასტურებს ფაქტს, რომელსაც ადგილი არ ჰქონია;
- ეწევა სანოტარო საქმიანობას მაშინ, როცა ეს აკრძალული აქვს;
- კანონიერი საფუძვლის გარეშე უარს აცხადებს ზედამხედველი ორგანოებისათვის, ან სასამართლოსათვის სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრების, სანოტარო აქტების ან მათი ასლების წარდგენაზე, მალავს ან ანადგურებს რეესტრებსა და სანოტარო აქტებს, საერთოდ არ აწარმოებს ერთ ან რამდენიმე რეესტრს;
- უარს აცხადებს ნოტარიუსის ბეჭდის, სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრების, სანოტარო აქტების, შესანახად მიღებული დოკუმენტების, ფულის ან სხვა ფასიანი ქაღალდების ჩაბარებაზე, როდესაც უფლებამოსილება შეჩერებული აქვს;
- სანოტარო საქმიანობის პარალელურად ეწევა სხვა ანაზღაურებად საჯარო ან კერძო საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა;
- ასრულებს სანოტარო მოქმედებას თავისი ან/და იმ პირების მონაწილეობით, რომლების მიმართაც ნოტარიუსს აკრძალული აქვს სანოტარო მოქმედების შესრულება;
- სხვა პირისათვის გადასაცემად მიღებულ ფულსა ან/და სხვა ფასიან ქაღალდებს იყენებს როგორც საკუთარს;
- შესანახად მიღებულ დოკუმენტს გადასცემს არაუფლებამოსილ პირს;
- სანოტარო აქტი არ შეაქვს რეესტრში ან სხვადასხვა სანოტარო მოქმედებას ანიჭებს ერთსა და იმავე სარეგისტრაციო ნომერს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნომრის გამეორებას მექანიკური ხასიათია აქვს და ამ უკანასკნელის შესახებ ნოტარიუსის მიერ გაკეთებულია აღნიშვნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრში ტოვებს სარეგისტრაციო ნომერს ან ნომრისათვის თავისუფალ ადგილებს;
- თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით წინასწარ ამზადებს შეუვსებელ სანოტარო აქტს (ე. წ. „ცარიელ ბლანკს“), ან პირს წინასწარ აწერიწებს ხელს სანოტარო აქტის შეუვსებელ ბლანკზე;

- სისტემატურად (არაერთგზის) არ ასრულებს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების წარდგენასთან, აგრეთვე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად სამსახურისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით მასზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დაკისრებულ მოვალეობებს.

დისციპლინური სასჯელების სახეები

დაშვებული დისციპლინური გადაცდომისათვის, ამ უკანასკნელის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, ნოტარიუსს შეეფარდება შემდეგი სასჯელები:

- სიტყვიერი გაფრთხილება;
- წერილობითი საყვედური;
- უფლებამოსილების შეჩერება;
- თანამდებობიდან გათავისუფლება.

სიტყვიერი გაფრთხილება და წერილობითი საყვედური

ნოტარიუსს, მსუბუქი ან საშუალო ხარისხის გადაცდომისათვის, გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება შეეფარდოს სიტყვიერი გაფრთხილება, ან წერილობითი საყვედური. გაფრთხილება უნდა გამოეცხადოს უშუალოდ ნოტარიუსს, ხოლო წერილობითი საყვედური უნდა წაკითხულ იქნეს ნოტარიუსის თანდასწრებით. სიტყვიერი გაფრთხილებისა და წერილობითი საყვედურის შეფარდებისას ნოტარიუსს უნდა განემართოს მისი გადაცდომის არსი და უნდა გაფრთხილდეს, რომ არ გაიმეოროს გადაცდომა.

უფლებამოსილების შეჩერება

ნოტარიუსს, მძიმე ხარისხის გადაცდომისათვის შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება. უფლებამოსილების შეჩერება ნიშნავს განსაზღვრული ვადით სანოტარო მოქმედებათა შესრულების აკრძალვას. უფლებამოსილების შეჩერების ვადაა არანაკლებ ერთი თვე და არაუმეტეს ორი წელი. უფლებამოსილების შეჩერების ვადა დგინდება გადაცდომის სიმძიმის, ნოტარიუსის პიროვნებისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების შეფასების საფუძველზე.

თანამდებობიდან გათავისუფლება.

ნოტარიუსი, განსაკუთრებით მძიმე ხარისხის გადაცდომისათვის შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან. ნოტარიუსს

უფლებამოსილება უწყდება თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან.

დისციპლინური სასჯელის შეფარდება

ნოტარიუსის მიმართ სიტყვიერი გაფრთხილებისა და წერილობითი საყვედურის შეფარდების უფლება აქვს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობას, ხოლო იმ ნოტარიუსთა მიმართ, რომლებიც არიან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატების წევრები, გაფრთხილებისა და წერილობითი საყვედურის შეფარდების უფლება აქვს, აგრეთვე, შესაბამისი პალატის გამგეობას. ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსების მიმართ, აგრეთვე, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს. იუსტიციის მინისტრი და ნოტარიუსთა პალატის გამგეობა ვალდებული არიან სასჯელის შეფარდებამდე მოისმინონ ნოტარიუსის ახსნა-განმარტება. იუსტიციის მინისტრი დისციპლინური სასჯელის შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოისმენს ნოტარიუსთა პალატის აზრს.

ნოტარიუსთა პალატის დისციპლინური კომისია და მისი მუშაობის წესი

საქართველოს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების) ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება ქმნის დისციპლინურ კომისიას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დისციპლინურ კომისიაში შედის ხუთი წევრი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატების კომისიაში - სამი წევრი. კომისიის წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე (ხოლო მისი არყოფნისას - მოადგილე). საქმის მომზადების სტადიაზე კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საქმის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს ახსნა-განმარტებანი ნოტარიუსისაგან და სხვა პირებისაგან.

საქმის მომზადების დასრულების შემდეგ კომისია ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელსაც წერილობით აცნობებს ნოტარიუსს და იმ პირებს, რომელთა მოწვევას კომისია მიზანშეწონილად თვლის. საქმის მოსმენას უნდა ესწრებოდეს ნოტარიუსი. არასაპატიო მიზეზით ნოტარიუსის დაუსწრებლობა არ არის საქმის მოსმენის გადადების

საფუძველი. კომისია საქმის შესახებ იღებს დასკვნას, რომელიც მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის სხდომის მიმდინარეობისა და დასკვნის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის დასკვნას, უფლება აქვს დასკვნას დაურთოს თავისი განსხვავებული აზრი. კომისიის დასკვნა, მისი მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში, წარედგინება პალატის გამგეობის თავმჯდომარეს.

კომისია საქმეს განიხილავს საქმის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. პალატის გამგეობა საქმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს თოთხმეტი დღისა. გამგეობის სხდომას უნდა დაესწროს ნოტარიუსი. გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია ნოტარიუსს აცნობოს გამგეობის სხდომის დანიშნვის თარიღი. არასაპატიო მიზეზით ნოტარიუსის დაუსწრებლობა არ არის საქმის მოსმენის გადადების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას დადგინდება, რომ ნოტარიუსის გადაცდომის სიმძიმის ხარისხის გამო ნოტარიუსთა პალატას არა აქვს დისციპლინური სასჯელის შეფარდების უფლება, პალატის გამგეობა ვალდებულია დისციპლინური საქმის წარმოების მასალები გადაუგზავნოს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრის მიერ დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ საქმე განსახილველად გადაეცემა კომისიას. კომისიაში შედის სამი წევრი. კომისიის წევრებს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. კომისიის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს ნოტარიუსი. კომისიის დასკვნის მიღების შემდეგ იუსტიციის მინისტრი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც:

- დადასტურებულად თვლის დისციპლინურ გადაცდომას და ნოტარიუსს უფარდებს დისციპლინურ სასჯელს;
- დადასტურებულად არ მიიჩნევს დისციპლინური გადაცდომის ფაქტს და წყვეტს დევნას.
- იუსტიციის მინისტრმა ბრძანების გამოცემამდე უნდა მოისმინოს ნოტარიუსისა და ნოტარიუსთა პალატის აზრი.

მინისტრის ბრძანების ასლი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს ნოტარიუსს, რომლის მიმართაც იყო აღძრული დისციპლინური დევნა. ბრძანების ასლი აგრეთვე უნდა გაეგზავნოს საქართველოს ნოტარიუსთა პალატასა და ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატებს.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა არის ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად აღასრულებს თავის უფლებებსა და ვალდებულებებს. იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრია ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული ყველა ნოტარიუსი. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატების წევრები იმავდროულად არიან საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრები. ნოტარიუსი პალატის წევრი ხდება თანამდებობაზე დანიშვნისთანავე. პალატის წევრობა წყდება ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლებისთანავე.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის უმაღლესი მმართველი ორგანოა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება. იგი შედგება საქართველოს ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული ყველა ნოტარიუსისაგან.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების კომპეტენცია

საერთო კრება:

- ამტკიცებს პალატის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში. წესდებისა და მასში შესატანი ცვლილებების პროექტს ამზადებს პალატის გამგეობა და იწონებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- განიხილავს ნოტარიატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ წინადადებებს, საკითხებსა და პრობლემებს;
- ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს და გასული წლის ბალანსს, რომელთაც წარადგენს პალატის გამგეობა;
- ამტკიცებს ნოტარიუსთა საქმიანობის ანგარიშგების სტატისტიკურ ფორმებს, რომლის პროექტსაც შეიმუშავენს პალატის გამგეობა.

საერთო კრების მოწვევის პროცედურა

წლიური საერთო კრება ტარდება ყოველი წლის მარტში.

რიგგარეშე კრება მოიწვევა:

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინადადებით;

- პალატის გამგეობის გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებით უნდა დადგინდეს კრების თარიღი და დღის წესრიგი;
- პალატის წევრთა საერთო რიცხვის ერთი მეხუთედის მოთხოვნით;

წლიური და რიგგარეშე საერთო კრება უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა არის საერთო კრების აღმასრულებელი ორგანო.

გამგეობა შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და სამი წევრისაგან, რომელთაც სამი წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება. გამგეობის უფლებამოსილება იწყება გამგეობის შემადგენლობის არჩევის დღიდან და გრძელდება სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ამასთანავე, ზემოხსენებული ვადის გასვლის შემდეგ გამგეობის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება გამგეობის ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა:

- წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატს, იცავს საქართველოს ნოტარიატისა და თითოეული ნოტარიუსის ინტერესებს საჯარო ხელისუფლების ყველა ორგანოსა და სასამართლოში;
- იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამდენიმე ნოტარიუსის (რომელთაც აქვთ უფლება ინდივიდუალურად დაიცვან თავიანთი უფლებები) მიმართ დაწყებულია სასამართლო პროცესი ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის, ან მომიჯნავე კანონმდებლობის დარღვევის საფუძველზე, გამგეობა უფლებამოსილია ჩაერთოს სასამართლო პროცესში დამოუკიდებლად,
- ამზადებს ნოტარიატის ფუნქციონირების შესახებ თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს და წარუდგენს მათ საქართველოს იუსტიციის მინისტრს;
- სწავლობს ნოტარიატის წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელ შემდეგ საკითხებს:
 - ❖ სოციალური დაზღვევა;
 - ❖ სოლიდარობის ფონდი;

- ❖ ფინანსური დახმარება იმ ნოტარიუსებისათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ;
- ❖ სამოქალაქო პასუხისმგებლობის კოლექტიური დაზღვევა;
- ❖ ავტონომიური საპენსიო ფონდი;
იგი ამავდროულად უზრუნველყოფს ამ საკითხებისა და სხვა მსგავსი საკითხების გადაწყვეტას;
- ზრუნავს ნოტარიუსთა პროფესიული მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ამ მიზნით ატარებს სემინარებს, კონფერენციებს, კოლოქვიუმებს და სხვა მსგავს ღონისძიებებს, გამოსცემს სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს;
- აკონტროლებს ნოტარიუსთა რეგიონული პალატების (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნოტარიუსთა პალატების) სათანადოდ ფუნქციონირებას, ატარებს სპეციალურ ინსპექტირებას რეგიონული პალატების მუშაობის შესამოწმებლად;
- იცავს ნოტარიუსის პროფესიულ ღირსებას;
- ამზადებს პროექტს სანოტარო მომსახურების ტარიფების შესახებ. კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობს ნოტარიუსის მიერ სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდევინების სისწორეს;
- საკუთარი ინიციატივით, ან კომპეტენტური ორგანოების თხოვნით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ნორმატიული აქტების პროექტების შესახებ;
- აწარმოებს საქართველოს ყველა ნოტარიუსის პირად საქმეს, სადაც აღირიცხება ყველა ინფორმაცია ნოტარიუსის საქმიანობის შესახებ (მათ შორის, ნოტარიუსის საქმიანობის შემოწმების შედეგები, ნოტარიუსისათვის შეფარდებული დისციპლინური სასჯელები);
- ამტკიცებს გამგეობის აპარატის დებულებას;
- ამტკიცებს სტაჟიორთა სწავლების პროგრამას;

გამგეობის თავმჯდომარე

თავმჯდომარე წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატსა და გამგეობას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში, ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს, ასრულებს საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებებს და ახორციელებს ყველა სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია გამგეობის ფუნქციებთან. თავმჯდომარე უფლებამოსილია საგანგებო შემთხვევებში, როცა შეუძლებელია გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევა და დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ნოტარიატის ინტერესებს, შეასრულოს გამგეობის ფუნქციები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. იგი ვალდებულია ეს გადაწყვეტილებები დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობის

პირველივე სხდომას. თავმჯდომარის არყოფნისას მის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას - გამგეობის უხუცესი წევრი.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობა ვალდებულია არა უგვიანეს ყოველი წლის მარტის თვის პირველი კვირისა საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს გამგეობისა და რეგიონული პალატების საქმიანობის წერილობითი წლიური ანგარიში და მიაწოდოს მოსაზრებები ნოტარიატის ფუქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების, სადისციპლინო პრაქტიკის შესახებ, აგრეთვე იმ წინადადებების შესახებ, რომელთა რეალიზაცია საჭიროა ნოტარიატის ფუნქციონირების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რას წარმოადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საფინანსო-სარევიზიო კომისია?

საფინანსო-სარევიზიო კომისია არის ნოტარიუსთა პალატის კონტროლის ორგანო, რომელიც ამოწმებს პალატის გამგეობის საფინანსო საქმიანობისა და საბუღალტრო აღრიცხვის კანონიერებას.

კომისიის არჩევის წესი და შემადგენლობა

კომისია აირჩევა პალატის საერთო კრების მიერ სამი წლის ვადით. იგი შედგება ხუთი წრისაგან. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კომისიის უფლებამოსილების ვადით. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პალატის სხვა ორგანოს წევრი.

სარევიზიო კომისია ვალდებულია ყოველთვიურად შემოწმოს პალატის გამგეობისა და გამგეობის თავმჯდომარის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონიერება და შესაბამისობა საერთო კრების მიერ დადგენილ ხარჯთაღრიცხვასთან (ბიუჯეტთან).

სარევიზიო კომისია უფლებამოსილია გამგეობისაგან გამოითხოვოს პალატის გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, მათ შორის, საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია და მოითხოვოს ახსნა-განმარტებანი როგორც პალატის გამგეობის წევრების. ისე აპარატის თანამშრომლებისაგან. აუცილებლობის შემთხვევაში სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სპეციალისტი (აუდიტორი), სპეციალისტის შრომის ანაზღაურება ხდება პალატის ხარჯზე გონივრულ ფარგლებში.

სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე. იგი ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს წლიურ საერთო კრებას. ამასთანავე, სარევიზიო კომისია ვალდებულია წლიური ანგარიში მოამზადოს იმ ვადაში, რომ შესაძლებელი იყოს ამ ანგარიშის წინასწარი გაცნობა ნოტარიუსებისათვის.

სადისციპლინო კომისია

სადისციპლინო კომისიის ფუნქციაა პალატის კომპეტენციაში არსებული სადისციპლინო საკითხების განხილვა. სადისციპლინო კომისიას ირჩევს საერთო კრება ხუთი წევრის შემადგენლობით 3 (სამი) წლის ვადით.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ბიუჯეტის ფორმირების წყაროებია

- ნოტარიუსთა სავალდებულო საწევრო გადასახადი;
- შემოწირულობა;
- გრანტები და სხვა სახის დახმარებები;
- პალატის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
- სხვა შემოსავლები, რომელთა მიღება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

სანოტარო მოქმედებათა შესრულების საზღაური

საზღაურის ოდენობა

საზღაურის ოდენობა დგინდება გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულების საფუძველზე ან გარიგების ღირებულებისგან დამოუკიდებლად განსაზღვრული განაკვეთებით. საზღაურის ოდენობის დადგენისას, კერძოდ, მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების დაწესებისას, მხედველობაში მიიღება სანოტარო მოქმედების სირთულე, გაწეული სამართლებრივი კონსულტაცია, შესრულებული ტექნიკური სამუშაო და დახარჯული დრო. ნოტარიუსი ვალდებულია გადაახდევინოს საზღაური მხოლოდ კანონით დაწესებული ოდენობით. ნოტარიუსს უფლება არ აქვს დადოს შეთანხმება კანონით დაწესებული საზღაურის ოდენობისა და გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

სანოტარო მოქმედებათა ანაზღაურების წესი

ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი მომსახურება:

- სანოტარო მოქმედების შესრულება;
- დოკუმენტის პროექტის შედგენა;
- დოკუმენტის ასლების გაცემა და ტექნიკური სამუშაოს შესრულება;
- სანოტარო მოქმედების შესახებ სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა.

გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთები:

ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთებია:

გარიგების ღირებულება	საზღაურის განაკვეთი
500 ლარის ჩათვლით	3%
501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით	15 ლარი + 500 ლარის ზევით თანხის 2,5 %
1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით	27,5 ლარი + 1000 ლარის ზევით თანხის 1,5 %
2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით	42,5 ლარი + 2000 ლარის ზევით თანხის 1 %
3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით	52,5 ლარი + 3000 ლარის ზევით თანხის 0,5%
5001 ლარიდან 20000 ლარის	62,5 ლარი + 5000 ლარის

ჩათვლით	ზევით თანხის 0,4%
20001 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით	122,5 ლარი + 20000 ლარის ზევით თანხის 0,3%
100001 ლარიდან 500000 ლარის ჩათვლით	365,5 ლარი + 100000 ლარის ზევით თანხის 0,2%
500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით	1162,5 ლარი + 500000 ლარის ზევით თანხის 0,1%
1000000 ლარის ზევით	1662,5 ლარი + 1000000 ლარის ზევით თანხის 0,05%

საზღაურის მყარი განაკვეთებით ანაზღაურებადი სანოტარო მოქმედებები

საზღაურის მყარი განაკვეთებით ანაზღაურდება შემდეგი სანოტარო მოქმედებები:

სანოტარო მოქმედება	საზღაურის მყარი განაკვეთი
ანდერძის დადასტურება	9 ლარი
ანდერძის გახსნის შესახებ ოქმის შედგენა	5 ლარი
ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება	2 ლარი
დოკუმენტის თარგმანის სისწორის დადასტურება	თითოეული გვერდისთვის 1 ლარი
დოკუმენტის ასლისა და დოკუმენტიდან ამონაწერის დადასტურება	თითოეული გვერდისთვის 0.2 ლარი
იმ დოკუმენტის ასლის გაცემა, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში	3 ლარი
ქონების მინდობის (დავალების) ხელშეკრულების დამოწმება განკარგვის უფლების გარეშე	5 ლარი
იურიდიული პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება	5 ლარი
ფიზიკური პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება	2 ლარი
საზღვაო პროტესტის შესრულება	300 ლარი

დოკუმენტის შენახვა (ანდერძის გარდა)	ყოველი თვისთვის 0.25 ლარი
ანდერძის შენახვა	1.5 ლარი
მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება	2 ლარი
მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
ნოტარიუსის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების გადაცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის	3 ლარი
განცხადების პროექტის შედგენა	1 ლარი
განცხადების ან უწყების ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ მოწმობის გაცემა	2 ლარი
სამკვიდრო მოწმობის გაცემა იმ ქონებაზე, რომლის შეფასებაც შეუძლებელია	5 ლარი
აღნაგობის უფლებასთან დაკავშირებით გაცემული წინასწარი თანხმობის დადასტურება	9 ლარი
სააღსრულებო ფურცლის გაცემა	100 ლარი

პირი, რომლის თხოვნითაც სრულდება სანოტარო მოქმედება, ვალდებულია ანაზღაუროს სანოტარო მომსახურებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, ფაქსის, ტელეფაქსის, საფოსტო გზავნილებისა და სატრანსპორტო ხარჯები. ეს მომსახურება გაიწევა პირთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. თუ სანოტარო მოქმედება შესრულებულია სანოტარო ბიუროს შენობის გარეთ ან ნოტარიუსის არასამუშაო დროს, საზღაური გამოიანგარიშება შესაბამისი საზღაურის განაკვეთზე ყოველი დახარჯული საათისათვის 3 (სამი) ლარის დამატებით. ნოტარიუსის სამუშაო დროდ მიიჩნევა დრო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. თუ დამკვეთის მოთხოვნით გაწეული მომსახურებისათვის ანაზღაურება ხდება დახარჯული დროის შესაბამისად, ნახევარ საათამდე დახარჯული დრო მრგვალდება ნახევარ საათად, ხოლო ნახევრიდან ერთ საათამდე დახარჯული დრო - ერთ საათად.

დამატებითი ინფორმაციისათვის სანოტარო მოქმედებისათვის გადასახდელი საზღაურის შესახებ იხილეთ საქართველოს კანონი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“.

ელექტრონული სანოტარო რეესტრი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ცალკეული თვითმმართველი ერთეულის ან თვითმმართველი ერთეულის ნაწილის (ადმინისტრაციული ერთეულის) ტერიტორიაზე იწარმოება ელექტრონული სანოტარო რეესტრი. ნოტარიუსი (ნოტარიუსის შემცვლელი პირი), რომელსაც სანოტარო ბიუროს განთავსების უზნად განსაზღვრული აქვს ბრძანებაში მითითებული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორია ან თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ნაწილი (ადმინისტრაციული ერთეული), ვალდებულია მის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებები რეგისტრაციაში გაატაროს ელექტრონულ სანოტარო რეესტრში.

ელექტრონული სანოტარო რეესტრის წარმოების წესი

ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სავალდებულო წესით მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

- სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი;
- სანოტარო მოქმედების მონაწილის შესახებ;

- ფიზიკური პირის შემთხვევაში: სახელი, გვარი, დოკუმენტში (პირადობის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, სარეგისტრაციო მოწმობა) მითითებული ან გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი, ხოლო საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის შემთხვევაში, აგრეთვე პირადი ნომერი;
- არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, რომელსაც არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი.
- იურიდიული პირის შემთხვევაში: სახელწოდება, იურიდიული მისამართი, ხოლო რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, აგრეთვე საიდენტიფიკაციო კოდი;
- სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში, რომელიც არ არის იურიდიული პირი: სახელწოდება, ადგილსამყოფელი.
- სანოტარო მოქმედების შინაარსი. ელექტრონულ სანოტარო რეესტრში დეტალურად უნდა ჩაიწეროს იმ აქტის შინაარსი, რომელიც არ რჩება სანოტარო არქივში. იმ აქტის შესახებ, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, შეიტანება ზოგადი ინფორმაცია (სანოტარო აქტის დასახელება);
- სანოტარო საზღაურის ზუსტი ოდენობა და მასზე დარიცხული დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი) (დღგ-ით დაბეგვრის შემთხვევაში), აგრეთვე სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სამემკვიდრეო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედებების რეგისტრაციისას, დამატებით მიეთითება მამკვიდრებლის ვინაობა, გარდაცვალების თარიღი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები.

ანდერძთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისას, დამატებით მიეთითება: საანდერძო განკარგულების შინაარსი, ანდერძისმიერი მემკვიდრის (სათადარიგო მემკვიდრის) ვინაობა და იდენტიფიკაციის მონაცემები (მათი არსებობისას), ანდერძით დანიშნული ანდერძის აღმსრულებლის (ასეთის არსებობისას) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, იდენტიფიკაციის სხვა მონაცემები, იმ პირის (ასეთის არსებობისას) სახელი და გვარი, იდენტიფიკაციის სხვა მონაცემები, რომელსაც ანდერძით დაევალი ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა, ლეგატირის (ასეთის არსებობისას) სახელი და გვარი (იურიდიული პირის დასახელება) და იდენტიფიკაციის სხვა მონაცემები, საანდერძო ლეგატის შინაარსი.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაცია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრირებულ თითოეულ სანოტარო მოქმედებას ენიჭება უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი. ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრირებული სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ნომერი შედგება შესაბამისი (მიმდინარე) კალენდარული წლის აღმნიშვნელი ნაწილისა (მაგ. „09“) და რეესტრში ჩანაწერის რიგითი ნომრისაგან. მიმდინარე კალენდარული წლის აღმნიშვნელი ციფრები და რეესტრში ჩანაწერის რიგითი ნომერი ერთობლივად ქმნის სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ნომერს. ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სანოტარო მოქმედებათა ნუმერაცია იწყება ერთიდან.

ყოველ სანოტარო მოქმედებას ეძლევა ცალკე რიგითი ნომერი. ამასთანავე, კერძო აქტების (გარიგებები, განცხადებები და სხვა) იდენტური ეგზემპლარები შეიძლება დაინომროს ერთი და იგივე ნომრით იმ პირობით, რომ ნოტარიუსის ფორმულიარსა და რეესტრში მიეთითება ეგზემპლარების ოდენობა და სანოტარო მომსახურებისათვის საზღაური გამოიანგარიშება ეგზემპლართა რაოდენობის შესაბამისად. ნოტარიუსი უფლებამოსილია, კერძო აქტების (გარიგებები, განცხადებები და სხვა) იდენტური ეგზემპლარები დანომროს სხვადასხვა ნუმერაციით და ასევე ჩაწეროს რეესტრში. თუ საჯარო აქტი დამოწმდა რამდენიმე ეგზემპლარად, თითოეულ დედანს (მიუხედავად ეგზემპლართა რაოდენობისა) ენიჭება ერთი სარეგისტრაციო ნომერი და სანოტარო მომსახურებისათვის საზღაური იანგარიშება ერთი აქტის შესაბამისად.

ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედება რეგისტრაციაში ტარდება დოკუმენტზე ნოტარიუსის ხელმოწერისა და ბეჭდის დასმისთანავე. ელექტრონულ სანოტარო რეესტრში ჩანაწერს ასრულებს ნოტარიუსი ან მისი დავალებით სანოტარო ბიუროს თანამშრომელი, რომელსაც ნოტარიუსთან წერილობითი ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის ვალდებულება.

ელექტრონული სანოტარო რეესტრის ადმინისტრირება

ელექტრონული სანოტარო რეესტრის ადმინისტრირებას და ტექნიკურ მეთვალყურეობას უზრუნველყოფს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. ელექტრონული სანოტარო რეესტრის ადმინისტრირებისა და ტექნიკური მეთვალყურეობის უშუალოდ განმახორციელებელ პირებსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას შორის ფორმდება ხელშეკრულება კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც

განისაზღვრება აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობა სანოტარო საიდუმლოების გახმაურებისათვის.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა:

- გაცემს ნოტარიუსზე (ნოტარიუსის შემცვლელ პირზე) ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან დაშვების ავტორიზაციას;
- შეაჩერებს ან წყვეტს ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან დაშვების ავტორიზაციას ნოტარიუსის (შემცვლელი პირის) უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში;
- უზრუნველყოფს ელექტრონული სანოტარო რეესტრის მონაცემების უსაფრთხოებას და დაცვას;
- უზრუნველყოფს ნოტარიუსების (შემცვლელი პირების) და მათი დაქირავებული თანამშრომლების სწავლებას ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან მუშაობის საკითხებზე;
- ამტკიცებს ელექტრონული სანოტარო რეესტრის წარმოების ტექნიკურ ინსტრუქციას.

ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან დაშვების წესი

ნოტარიუსი (შემცვლელი პირი), რომელიც ვალდებულია სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაცია აწარმოოს ელექტრონული სანოტარო რეესტრის მეშვეობით, რეესტრთან დაშვების ავტორიზაციის მოთხოვნით მიმართავს საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, რომელიც ნოტარიუსს დაუყოვნებლივ ანიჭებს რეესტრთან დაშვების უფლებას. რეესტრთან დაშვების უფლების მინიჭება ხდება ნოტარიუსისათვის რეესტრთან წვდომის უნიკალური კოდის მინიჭების გზით.

ნოტარიუსი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან დაშვების უნიკალური კოდის დაცვა არაუფლებამოსილი პირების წვდომისაგან, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის დაკარგვის ან გახმაურების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. ყველა, ვისაც სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით მინიჭებული აქვს ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან დაშვების უფლება, ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ინფორმაცია სანოტარო მოქმედებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა რეესტრთან დაშვების შედეგად. ეს ვალდებულება ძალაში რჩება მას შემდეგაც, რაც ამ პირებს შეუწყდათ ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან დაშვების უფლება.

საკონტროლო კითხვები:

- რას წარმოადგენს ნოტარიატი?
- ვინ არის ნოტარიუსი?
- რას ნიშნავს სანოტარო მოქმედება?
- ვინ შეიძლება იყოს ნოტარიუსობის კანდიდატი?
- როგორ ტარდება სანოტარო გამოცდა?
- რა წარმოადგენს ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღების პირობებს?
- როგორ ხდება ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება?
- რას წარმოადგენს სანოტარო ბიურო?
- რა არის ნოტარიუსის საქმიანობის სამსახურებრივი შეზღუდვა?
- როგორ ხდება ნოტარიუსის შრომის ანაზღაურება?
- რა წარმოადგენს ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს?
- როგორ ხდება ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერება?
- განმარტეთ სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.
- რა სანოტარო მოქმედებებს ასრულებს ნოტარიუსი?
- რა უფლებები აქვს ნოტარიუსს?
- რა ვალდებულებები აკისრია ნოტარიუსს?
- რა სანოტარო მოქმედებები იცით?
- რას ნიშნავს სანოტარო დადასტურება?
- რას ნიშნავს სანოტარო დამოწმება?
- როგორ ხორციელდება სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა?
- როგორ ხდება სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობის შემოწმება?
- რა სახეობად იყოფა ნოტარიუსთა დისციპლინური გადაცდომა?
- ჩამოთვალეთ დისციპლინური სასჯელების სახეები.
- რას წარმოადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა?
- რა საკითხები განეკუთვნება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების კომპეტენციას?
- რა საკითხები განეკუთვნება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის კომპეტენციას?
- რას წარმოადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საფინანსო-სარევიზიო კომისია?
- რას წარმოადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სადისციპლინო კომისია?
- ჩამოთვალეთ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ბიუჯეტის ფორმირების წყაროები.

- როგორ გამოიანგარიშება სანოტარო მოქმედებათა შესრულების საზღაური?
- რას ნიშნავს ელექტრონული სანოტარო რეესტრი?
- როგორ ხდება სანოტარო მოქმედების რეგისტრაცია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში?

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“

საქართველოს კანონი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N2359 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2003 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N1025 „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“

სასარგებლო ბმულები:

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა - <http://www.notary.ge>

პროფესია

ადვოკატი

ადვოკატი

ვინ არის ადვოკატი?

საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

რა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად?

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი). კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას, ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

საადვოკატო საქმიანობის პრინციპები:

- კანონიერება;
- საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;
- ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;
- ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;
- ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა საქართველოს კანონით „ადვოკატის შესახებ“ გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
- ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

პროფესიაში შესვლის წინაპირობები:

აუცილებელი მოთხოვნები ადვოკატისთვის:

ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:

- აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ“ დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს

მოსამართლეთა ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა;

- აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახვი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

ადვოკატთა ტესტირება

ტესტირების გავლის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს. ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ. ტესტირების ჩატარების წესს, პროგრამას ამტკიცებს და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ხოლო ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება.

ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით. ადვოკატების სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში.

საერთო ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:

- საკონსტიტუციო სამართალი;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
- ადმინისტრაციული სამართალი;
- ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
- სისხლის სამართალი;
- სისხლის სამართლის პროცესი;
- სამოქალაქო სამართალი;
- სამოქალაქო სამართლის პროცესი.

სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:

- საკონსტიტუციო სამართალი;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;

- ადმინისტრაციული სამართალი;
- ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
- სამოქალაქო სამართალი;
- სამოქალაქო სამართლის პროცესი.

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში:

- საკონსტიტუციო სამართალი;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
- ადმინისტრაციული სამართალი;
- ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
- სისხლის სამართალი;
- სისხლის სამართლის პროცესი.

ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს. ტესტირება ტარდება სახელმწიფო ენაზე.

ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში პირი იღებს ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელ მოწმობას. ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 (შვიდი) წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას (იხ. საადვოკატო საქმიანობა).

ადვოკატის უფლებები

ადვოკატს უფლება აქვს:

- წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში, სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
- კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები;
- დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი

წესით, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა;

- ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით.

ადვოკატის მოვალეობები

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ.

საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი

ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ადვოკატის სამართლებრივი დაცვა

ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია.

ადვოკატები თანასწორნი არიან კანონის წინაშე. არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი). მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან. მას და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა – ხელშეუხებელი.

სამოქალაქო სამართლის პროცესი განსხვავდება სისხლის სამართლის პროცესისაგან, როგორც სტრუქტურულად ისე შინაარსობრივად. მიმოვიხილოთ თითოეულ ზემოხსენებულ დარგში არსებული სამართალმდგომარეობანი ადვოკატის საქმიანობის, მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე პროცესუალური საკითხები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობს იგი.

სამართალმდგომარეობანი, რომლებიც არეგულირებენ ადვოკატის საქმიანობას, უფლებებს, მოვალეობებს და პროცესუალურ საკითხებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

წარმომადგენლობა სასამართლოში

საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს - იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ:

- ადვოკატები;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლები – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე;
- ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;
- სხვა ქმედუნარიანი პირები – მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში

პირები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში

სასამართლოში წარმომადგენლებად არ შეიძლება იყვნენ მოსამართლე, გამომძიებელი და პროკურორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი პროცესში გამოდიან მშობლებად (მშვილებლებად), მეურვეებად, მზრუნველებად ან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებად.

წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება

წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს. საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია. მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი. ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლოს უარი იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი

სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

წარმომადგენლის უფლებამოსილება

უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ზემოაღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. მხარის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს.

წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ

მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით

წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილება შეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

წარმომადგენლის უარი თავის უფლებამოსილებაზე

წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

სამართალმდგომარეობანი, რომლებიც არეგულირებენ ადვოკატის საქმიანობას, უფლებებს, მოვალეობებს და პროცესუალურ საკითხებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

დაზარალებულის წარმომადგენელი

დაზარალებულის ინტერესებს წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში წარმოადგენს და იცავს ადვოკატი (ადვოკატები). თუ დაზარალებული არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით (ტრეფიკინგი) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულია, ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა. ამ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის საქმეში ადვოკატის მონაწილეობა, რომლის ხარჯებსაც სახელმწიფო აანაზღაურებს დადგენილი წესით. დაზარალებულის ინტერესები შეიძლება დაიცვას აგრეთვე მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა.

გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რომელსაც გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო, სახელმწიფო უზრუნველყოფს არასმქონე დაზარალებულის (პირი, რომელსაც არ გააჩნია შემოსავალი) ინტერესების წარმომადგენლად ადვოკატის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის

წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში დაზარალებულისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.

კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მოიწვიოს ადვოკატ-წარმომადგენელი. დაზარალებულს შეუძლია უარი თქვას წარმომადგენელზე, მაგრამ ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს, შეიძლება არ მიიღოს უარი, თუ დაზარალებული არასრულწლოვანი, ქმედუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით (ტრეფიკინგი) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულია.

დაზარალებულის წარმომადგენელს აქვს შემდეგი უფლებები:

- მიიღოს განმარტება თავის უფლება-მოვალეობათა შესახებ;
- მისცეს ჩვენება და განმარტება;
- განაცხადოს აცილება;
- განაცხადოს შუამდგომლობანი მტკიცებულებათა გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, საქმის გარემოებათა შემოწმებისა და სამართალწარმოების დროს წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;
- წარმოადგინოს მტკიცებულებანი;
- საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში;
- გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – ზემდგომ პროკურორთან გამომძიებლის და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში;
- მონაწილეობა მიიღოს თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;
- საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;
- მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში სამართალში მიცემის სტადიაზე;
- მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში: წარმოადგინოს მტკიცებულებანი და გამოიკვლიოს პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი; გამოვიდეს კამათში და გამოთქვას აზრი ბრალდების დასაბუთებულობის, ქმედების კვალიფიკაციის,

სასჯელის სახისა და ზომის, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;

- გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნები;
- გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება სააპელაციო ან საკასაციო წესით, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში - ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, და გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;
- მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა სხდომებში და დაიცვას იქ თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები;

დაზარალებულის წარმომადგენელს უფლება არა აქვს იმოქმედოს დაზარალებულის ინტერესების საზიანოდ. დაზარალებულის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობა ხორციელდება დაზარალებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, არა აქვს უფლება, მისი თანხმობის გარეშე დაეთანხმოს უარს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე, პროკურორის უარს ბრალდებაზე ან ბრალდების შეცვლაზე, უარი თქვას სარჩელზე, შეამციროს სარჩელის თანხა, მოურიგდეს ან შეურიგდეს ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება ან უარი თქვას მათ გასაჩივრებაზე.

დამცველი

დამცველი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის კანონიერ ინტერესებს და უწევს მათ კვალიფიცირებულ იურიდიულ დახმარებას.

დამცველად დაიშვება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია აწარმოოს საადვოკატო საქმიანობა (იხ. საადვოკატო საქმიანობა). ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს შეზღუდოს ეჭვმიტანილი და ბრალდებული დამცველის არჩევაში.

ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის თანხმობით, დაცვის განსახორციელებლად შეიძლება დაშვებულ იქნეს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ადვოკატურის სტაჟიორები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველებად შეიძლება დაშვებულ იქნენ უცხოელი ადვოკატები.

ექვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვთ მთელი პროცესის მანძილზე უარი თქვან დამცველის დანიშვნაზე ან დანიშნულ დამცველზე და მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით ან დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ. ასეთი უარი დასაშვებია მხოლოდ თვით ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის ინიციატივით. ექვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვთ შეცვალონ თავიანთი პოზიცია და კვლავ მოითხოვონ დამცველის დანიშვნა ან მოიწვიონ დამცველი შეთანხმებით. ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის მოთხოვნა საქმეში მონაწილე მათი დამცველის შეცვლის ან ახალი დამცველის მოწვევის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, თუ დამცველის შეცვლა ანდა ახალი დამცველის მოწვევა მიზნად არ ისახავს პროცესის გაჭიანურებას ან პროცესის სხვა მონაწილისათვის ხელის შეშლას მის უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

რას ნიშნავს დაცვა შეთანხმებით?

ექვმიტანილს, ბრალდებულს, მათ ნათესავებს, სხვა პირებს შეუძლიათ ადვოკატთან დადონ შეთანხმება სისხლის სამართლის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ. შეთანხმების პირობებს მხარეები განსაზღვრავენ. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დაცვა მიღებულად ითვლება და ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე არასაკატიო მიზეზით.

რას ნიშნავს დაცვა დანიშვნით?

ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია ექვმიტანილს, ბრალდებულს და განსასჯელს მათი თანხმობით სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს დამცველი-ადვოკატი, თუ ისინი არასამქონენი არიან, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.

დაცვა დანიშვნით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დადგენილ განაკვეთზე ნაკლები. დაცვა დანიშვნით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექვმიტანილს ან ბრალდებულს არ მოუწვევია დამცველი შეთანხმებით.

რას წარმოადგენს იძულებითი დაცვა?

ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს მიიღოს ექვემდებარების, ბრალდებულის, განსასჯელის უარი დამცველის დანიშვნაზე, თუ:

- ექვემდებარებული, ბრალდებული ან განსასჯელი არასრულწლოვანია;
- ექვემდებარებულს, ბრალდებულს ან განსასჯელს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, ან ფსიქიკური დაავადება, რომელიც ამძილებს დაცვის უფლების განხორციელებას;
- ექვემდებარებულმა, ბრალდებულმა ან განსასჯელმა არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- ექვემდებარებულს, ბრალდებულს ან განსასჯელს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- განიხილება პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი;
- ექვემდებარებულთა, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;
- დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი;
- ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება (გარდა ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიებისა).

დამცველის დაშვება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის

სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ფირმის, ბიუროს ორდერსა და თავის მოწმობას.

დამცველის უფლება-მოვალეობანი

დამცველმა უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ექვემდებარებულს ან ბრალდებულს, ან/და ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, და უნდა გაუწიოს მას საჭირო იურიდიული დახმარება.

დამცველს უფლება არა აქვს იმოქმედოს ექვმიტანილის ან ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ.

დამცველს უფლება აქვს:

- იცოდეს ექვისა და ბრალდების არსი;
- დაუბრკოლებლად შეხვედეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე, აგრეთვე თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციისა და გამოძიების ორგანოს მხრივ შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეზღუდვად. მოცემული უფლება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით, რის შესახებაც გამოძიების მწარმოებელმა პირმა უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება
- მონაწილეობა მიიღოს ექვმიტანილისა თუ ბრალდებულის მონაწილეობით ან დაცვის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, დაუსვას შეკითხვები დასაკითხს, მოითხოვოს ოქმში იმ მონაცემების შეტანა, რომლებიც უარყოფს ბრალდებას ან ამსუბუქებს ექვმიტანილისა თუ ბრალდებულის პასუხისმგებლობას;
- მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენებაში და მის დაკითხვებში;
- განუმარტოს ექვმიტანილსა და ბრალდებულს მათი უფლებები და ყურადღება მიაქციოს ამ უფლებათა დარღვევას;
- შეკრიბოს დაცვისათვის საჭირო მონაცემები და ისინი მტკიცებულებათა სახით წარუდგინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს;
- სასამართლოს მიმართოს დაცვისათვის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობით;
- განაცხადოს აცილება;
- განაცხადოს შუამდგომლობა;
- გაეცნოს ექვმიტანილის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას, ჩვენებას, ექვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილებას, დაკავების ოქმს და ამოიწეროს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ შეეხება მისი დასაცავი პირის ინტერესებს;
- გაეცნოს დადგენილებებსა და ოქმებს დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ, ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომელთა ჩატარებაშიც მონაწილეობდა ის ან მისი დასაცავი პირი, საქმის მასალებს, რომლებიც ადასტურებს დაკავებისა და დაპატიმრების საჭიროებას, დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის დასკვნას;

- გაასაჩივროს პროკურორთან გამომძიებლის მოქმედება და დადგენილება, ხოლო საჩივრის უარყოფისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოძიების ადგოლის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გაასაჩივროს გამომძიებლის ან/და პროკურორის დადგენილება, რომელიც, მისი აზრით, არღვევს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაცვის უფლებას;
- გამოვიდეს სასამართლოში გამომძიებლის, პროკურორის აქტებთან დაკავშირებით მის მიერ, აგრეთვე ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ შეტანილი საჩივრების განხილვისას;
- საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;
- იცოდეს მისი შუამდგომლობით საპროცესო მოქმედების ჩატარების, ასევე სასამართლო სხდომის გამართვის დრო და ადგილი;
- მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე და დაიცვას განსასჯელის უფლებები;
- მიიღოს ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების, განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების, საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინების (დადგენილების) ასლები, აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენისა და განჩინების ასლები, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლები გადაეცა ბრალდებულს (განსასჯელს);
- გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებანი;
- საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვას ბრალდების მხარის მოქმედებებზე, რომლებიც, მისი აზრით, უკანონოა, და მოითხოვოს მათი შეტანა სასამართლო სხდომის ოქმში;
- მიიღოს მცოდნე პირთა წერილობითი მოსაზრებები და გამოიყენოს ისინი შუამდგომლობათა და საჩივართა დასაბუთებისათვის;
- პირისათვის ბრალდების წაყენებისა და პირველი დაკითხვის შემდეგ გაეცნოს საქმის ყველა მასალას;

დამცველი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, დაზარალებულთა, მოწმეთა შეგულიანებითა და სხვა უკანონო მოქმედებით. დროულად გამოცხადდეს საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილას და სასამართლოში. დაემორჩილოს სასამართლოს თავმჯდომარის კანონიერ განკარგულებებს და პატივი სცეს სასამართლოსა და ბრალდების მხარეს დამცველმა ასევე უნდა დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში. იმ შემთხვევაში როდესაც დამცველი დათქმულ დროს არ ცხადდება საგამომიებო ან საპროცესო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვს მის გამოცხადებამდე მოიწვიოს დამცველი დანიშნით.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

(კოდექსის სრული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე:
http://gba.ge/pdf/GBACodeofEthics_GE.pdf)

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპები

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.

დამოუკიდებლობის პრინციპი

ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ნდობის პრინციპი

ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და ობიექტურობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ექვევქვე დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

კონფიდენციალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით ადვოკატისათვის კლიენტისაგან ან კლიენტის დავალებით მოქმედებისას გახდა ცნობილი. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

ადვოკატი უფლებამოსილია გაამყდავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის თანხმობით ან გამონაკლის შემთხვევაში, თუკი ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია ადვოკატის მიერ, მის მიმართ წაყენებული ბრალდებისგან ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობისგან თავის დასაცავად, კანონით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან თუ მის ან სხვა პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა.

კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის ინტერესები პირადი, სხვა პირთა და იურიდიული პროფესიის წევრების ინტერესების წინ დააყენოს.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ადვოკატმა არ უნდა ჩააყენოს საკუთარს თავი ისეთ მდგომარეობაში როდესაც მისი კლიენტების ინტერესები ეწინააღმდეგება მის საკუთარ, მისი პარტნიორების ან სხვა კლიენტების ინტერესებს, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული კანონით ან კლიენტის ნებით (ინტერესთა კონფლიქტი). ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ადვოკატს ეკრძალება ახალი კლიენტის აყვანა მაშინ, როდესაც მისმა წარმომადგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს ძველი კლიენტთან ურთიერთობისას მიღებული ან მოძიებული ინფორმაციის გამოყენება ან გამჟღავნება ძველი კლიენტის საზიანოდ.

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის ან/და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. ინტერესთა კონფლიქტი არ წარმოიშობა თუკი ადვოკატს საფუძვლიანად სჯერა რომ წარმომადგენლობა არ იქონიებს გავლენას კლიენტებთან ურთიერთობაზე და მას კონსულტაციების შემდეგ მიღებული აქვს თითოეული კლიენტის წერილობითი თანხმობა.

კოლეგიალობის პრინციპი

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ვალდებული არ შელახოს კლიენტის, სხვა ადვოკატის, სასამართლოს, მოწინააღმდეგე მხარის და საქმის წარმოებაში მონაწილე სხვა პირების ღირსება და იმოქმედოს მათ მიმართ სამართლიანად.

ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.

ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.

ადვოკატს უფლება არა აქვს შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების დაცვა საამისოდ პატივსადები საფუძვლის გარეშე. პატივსადებ საფუძველად ჩაითვლება, როდესაც:

- წარმომადგენლობის გაგრძელება იწვევს ეთიკის კოდექსის დარღვევას;
- კლიენტი იყენებს ადვოკატის მომსახურებას სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მიზნით;
- კლიენტი მოითხოვს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელსაც ადვოკატი კატეგორიულად არ ეთანხმება ან ეწინააღმდეგება;

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი და თანხა ან ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, გარდა ადვოკატის მიერ მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელოსი.

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა, საქმის მიმდინარეობის დეტალების შესახებ და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება.

ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა.

ადვოკატის ანაზღაურება

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის და გამომდინარეობდეს საქმის სირთულიდან, მოცულობიდან, საქმის შესრულების ხანგრძლივობიდან, კვალიფიკაციიდან, ხოლო ქონებრივი დავების შემთხვევაში - დავის საგნის (სარჩელის ფასის) ღირებულებიდან და მნიშვნელობიდან. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს, კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის.

ხარჯთაღრიცხვა და კლიენტის მიერ მინდობილი ქონების ან სახსრების მართვა

ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ანგარიშგება.

ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

ადვოკატი, რომელიც ახორციელებს თავის პროფესიულ საქმიანობას სასამართლოში, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს.

ადვოკატი არ უნდა ჩაებას უღირს ან პროფესიისთვის შეუფერებელ ქმედებაში სასამართლო დარბაზში, რაც უპატივცემულობას გამოხატავს სასამართლოს. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა. ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას, საქმის წარმოებას და სასამართლოს მსგავს ფუნქციას საქართველოში ან მის საზღვრებს გარეთ.

ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

ადვოკატებს შორის ემყარება კოლეგიალობის პრინციპს და ურთიერთთანამშრომლობას მათი კლიენტების ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. ადვოკატმა არ უნდა ჩაიდინოს სხვა ადვოკატის მიმართ უღირსი ქმედება და არ უნდა მოახდინოს სხვა ადვოკატის დისკრედიტაცია. ადვოკატის დისკრედიტაციად არ ჩაითვლება სხვა ადვოკატის მიერ გაცემული დასკვნის ან გაწეული მომსახურების მიმართ, კლიენტის დავალებით გაცემული ალტერნატიული მოსაზრება ან კრიტიკა, თუკი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადვოკატს აქვს საფუძველი ეჭვი შეიტანოს სხვა ადვოკატის მიერ გაცემული დასკვნის ან გაწეული მომსახურების სისწორეში.

ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება

ადვოკატს შეუძლია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება მედიის ან ელექტრონული კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით. რეკლამა უნდა იყოს სწორი, არ უნდა შეიყვანოს საზოგადოება შეცდომაში და უნდა შეესაბამებოდეს იურიდიული პროფესიის ღირებულებებს.

ეთიკის კოდექსის მოქმედების ფარგლები

ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება(წესდების სრული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://gba.ge/>)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“. ასოციაციის შემოკლებული სახელწოდებაა: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“.

ასოციაციის მიზნები და ფუნქციები:

- საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების და კანონის უზენაესობის დაცვის ხელშეწყობა;
- ადვოკატის პროფესიის განვითარება;
- ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვა;
- საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფა;
- იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- სახაზინო ადვოკატის სისტემის ხელშეწყობა;
- საადვოკატო ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- ადვოკატების სოციალური დაცვა.

ასოციაციის საქმიანობა

- ორგანიზებას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას;
- ქმნის და უძღვება ადვოკატთა სასწავლო ცენტრს;
- ატარებს ადვოკატებისათვის სემინარებს, დისკუსიებსა და მრგვალ მაგიდებს;
- გამოსცემს ასოციაციის ჟურნალს;
- მოიძიებს დაფინანსების დამატებით წყაროებს;
- შეიმუშავებს საადვოკატო ეთიკის ნორმებს;
- მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში;
- ქმნის ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს;
- განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას;
- ქმნის ადვოკატთა და საადვოკატო ბიუროების საინფორმაციო ბანკს და უზრუნველყოფს მის მუდმივ განახლებას;
- შეიმუშავებს ადვოკატთა წახალისების და დისციპლინური დევნის წესებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;
- მიიღებს და გასცემს გრანტებს.

ასოციაციის წევრები

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ტესტირება საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ“ დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტატუსით მუშაობის არანაკლებ 1 (ერთი) წლის სტაჟი, გაწევრიანების მოთხოვნით, დადგენილი წესით, მიმართა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და დადო ფიცი.

ასოციაციის წევრი არ შეიძლება გახდეს პირი, ხოლო მოქმედი წევრი გაირიცხება ასოციაციიდან, თუკი იგი ნასამართლევა განზრახი მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ასოციაციის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება (მაგ.: პროკურორი, მოსამართლე).

როგორ ხორციელდება პირის ასოციაციის წევრად მიღება?

ტესტირების შედეგების მიხედვით (ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში, კანონით დადგენილი წესით მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ან გაწევრიანებაზე უარის თქმის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი საბჭო 10 დღის ვადაში არ გამოიტანს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე, პირი ჩაითვლება გაწევრიანებულად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

- აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის მართვის ორგანოებში;
- მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის კრების (წევრთა საერთო კრების) მუშაობაში;
- მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;
- გაეცნოს აღმასრულებელი საბჭოს, სარევიზიო და ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- თავისი სურვილით გავიდეს ასოციაციიდან.

ასოციაციის წევრი მოვალეა:

- დაიცვას ასოციაციის წესდება;
- დაემორჩილოს ასოციაციის მიერ დამტკიცებულ ეთიკის ნორმებს (იხ. ადვოკატთა ქვევი კოდექსი);
- ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
- დროულად და დადგენილი წესით გადაიხადოს საწევრო გადასახადი.

ასოციაციის მართვის ორგანოები

ასოციაციის მართვის ორგანოებია ასოციაციის საერთო კრება და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ასოციაციის საერთო კრების კომპეტენცია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება, იგი:

- სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის წესდებს და მისი სტრუქტურული დანაყოფების დებულებებს, შეაქვს მათში ცვლილებები და დამატებები;
- ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების პროგრამას, წესს და საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;
- ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს;
- ამტკიცებს დებულებას ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ;
- ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის დებულებას;
- ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ბიუჯეტს;
- ისმენს ასოციაციის ეთიკისა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- აწესებს ფიქსირებულ საწევრო გადასახადს და ადგენს მისი გადახდის ვადას;
- ახორციელებს კანონმდებლობით და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ნახევარზე მეტი. საერთო კრების

მოწვევისა და თავმჯდომარეობის უფლებამოსილება გააჩნია ასოციაციის თავმჯდომარეს. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნისა და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელ საბჭოს, სარევიზიო კომისიას, ეთიკის კომისიას ან ასოციაციის არანაკლებ 100 (ასი) წევრს. ასოციაციის საერთო კრება მოიწვევა არასამუშაო დღეს (შაბათი, კვირა).

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო არის მმართველობის ორგანო, რომელიც შედგება 9 (ცხრა) წევრისაგან. აქედან 8 (რვა) წევრი ირჩევა ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 3 (სამი) წლის ვადით. ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში. აღმასრულებელი საბჭო წარმოადგენს ამავდროულად ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ ორგანოს, რომლის სხდომა იმართება სულ მცირე თვეში ერთხელ.

აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია:

- ორგანიზება გაუწიოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა სიის დადგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;
- კოორდინაცია გაუწიოს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; განსაზღვროს ტესტირების ჩატარების თარიღი, ორგანიზაციულად უზრუნველყოს ტესტირების მომზადება და ჩატარება;
- ორგანიზება გაუწიოს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას (განცხადების დაწერას);
- შეასრულოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებები;
- დაამტკიცოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობა;
- დაამტკიცოს ადვოკატის ორდერის ნიმუში;
- დაამტკიცოს ადვოკატთა საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნიმუში;
- აწარმოოს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირადი საქმეები;
- ორმხრივი თხოვნის საფუძველზე იყოს ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;
- გამოსცეს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენი ან სხვა პერიოდული გამოცემა;
- განახორციელოს კანონმდებლობითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი, რომელიც არ

- განეკუთვნება საერთო კრების, თავმჯდომარის, ეთიკისა და სარევიზიო კომისიების კომპეტენციას;
- საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის დებულება;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს პროექტი სახელფასო, სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობის თაობაზე;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულება;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ასოციაციის სიმბოლიკა;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებები;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატთა წახალისების ფორმები და წესი;
 - მიიღოს გადაწყვეტილება პირის ასოციაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ;
 - მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ;
 - განსაზღვროს თავის წევრთაგან ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების კურატორთა ვინაობა;
 - მისცეს თანხმობა ასოციაციის თავმჯდომარეს უძრავი ქონებისა და იმ გარიგებათა დადების თაობაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება ასოციაციის ბიუჯეტის 10% (ათ პროცენტს)-ს.
 - წახალისოს ადვოკატები წარმატებული საქმიანობის ან ასოციაციის განვითარებისთვის შეტანილი წვლილის გამო;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატის ჩაცმულობა - მანტიის ფორმა ან განმასხვავებელი ნიშნები;
 - აწარმოოს საადვოკატო ბიუროების რეესტრი;
 - საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ასოციაციის წესდების პროექტი წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;
 - დაამტკიცოს ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და ორგანიზაციული სტრუქტურა;
 - ცნობად მიიღოს ასოციაციის წევრთა მიერ სპეციალიზაციის, რეგიონალიზაციის ან სხვა ნიშნით გაერთიანების საკითხი;

- ორგანიზება გაუკეთოს სხვადასხვა ღონისძიებებს ასოციაციის წევრებისთვის.

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს აპარატი

აღმასრულებელი საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს აღმასრულებელი საბჭოს აპარატის დახმარებით. აპარატის წევრები ინიშნებიან ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ. აპარატის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და ორგანიზაციული სტრუქტურა მტკიცდება აღმასრულებლის საბჭოს მიერ.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან კანონით დადგენილი წესით ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 3 (სამი) წლის ვადით კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მას ამ პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ანაზღაურებას იღებს მხოლოდ საწევრო შენატანებიდან. იგი აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად პასუხისმგებელია ასოციაციის მიერ საფინანსო და საბუღალტრო ანგარიშგების სწორად განხორციელებაზე.

ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი

- წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- წარმოადგენს ასოციაციას სასამართლოში, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- მართავს და განკარგავს ასოციაციის ქონებას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;
- ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს;
- უძღვება ასოციაციის საერთო კრებას;
- ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის აპარატის თანამშრომლებს;
- კოორდინაციას უწევს პროგრამებისა და პროექტების შედგენას და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას;
- ასოციაციის სახელით დებს გარიგებებს;
- ადგენს ასოციაციის ბიუჯეტის პროექტს;

- ამტკიცებს ასოციაციის ბეჭდის და სხვა რეკვიზიტების ფორმას;
- ასრულებს კანონმდებლობითა და წესდებით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა

ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება ახალი თავმჯდომარის არჩევისთანავე. მისი გადადგომის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე ასრულებს აღმასრულებელი საბჭოს უხუცესი წევრი.

კონფიდენციალურობა

აღმასრულებელი საბჭოს წევრები ვალდებული არიან, როგორც თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში, ასევე თანამდებობის დატოვების შემდგომ არ გაავრცელონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე.

ასოციაციის ეთიკის კომისია

ასოციაციის ეთიკის კომისია არის საერთო კრების მიერ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არჩეული წევრებისგან შემდგარი კოლეგიური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეთიკის კოდექსის მიზნების და პრინციპების შესრულებას. ეთიკის კომისია ხელმძღვანელობს „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ ასოციაციის დებულებით. ეთიკის კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეული იქნას ადვოკატთა ასოციაციის წევრი, რომელიც ახორციელებს სხვა საქმიანობას, გარდა საადვოკატო, საგანმანათლებლო და ხელოვნებითი საქმიანობისა. დაუშვებელია ეთიკის კომისიის წევრებად ერთი და იმავე იურიდიული ოფისის (ბიუროს) ორი ან მეტი წარმომადგენლის არჩევა. ეთიკის კომისიის წევრებს არ ენიშნებათ ხელფასი ან სხვა კომპენსაცია.

ეთიკის კომისიის წარდგინებით ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამტკიცებს ეთიკის კომისიის აპარატს, საშტატო განრიგს და შრომის ანაზღაურების საკითხს. წევრის გარდაცვალების ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრის მიღება ხდება რიგგარეშე ან მორიგი საერთო კრების მიერ იმ ვადით, რა ვადაც ჰქონდა დარჩენილი გარდაცვლილ ან კომისიიდან გასულ წევრს.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით 1 (ერთი) წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, უზრუნველყოფს წევრებისთვის განსახილველი მასალის წინასწარ მიწოდებას, ანაწილებს შემოსულ საჩივრებს.

იმ შემთხვევაში, თუკი ეთიკის კომისია დაადგენს ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტს, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, დისციპლინური დებულების შესაბამისად შესაძლებელია განისაზღვროს ჯარიმა, რომელსაც გადაიხდის ადვოკატი. ჯარიმის სახით მიღებული სახსრები ჩაირიცხება ასოციაციის ანგარიშზე და მოხმარდება ასოციაციის მიზნების განხორციელებას.

სარევიზიო კომისია

სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე. სარევიზიო კომისია თავის დადგენილებებს წარუდგენს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსგან, თავმჯდომარისგან, ბუღალტრისგან ან აუდიტორისგან ნებისმიერი ფინანსური ან სხვაგვარი ინფორმაცია, რომლის შესწავლასაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს. სარევიზიო კომისია განიხილავს და დადგენილების ფორმით გამოიტანს დასკვნას ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის თაობაზე.

სარევიზიო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი, რომელიც იმავდროულად არ არის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ან ეთიკის კომისიის წევრი. ასოციაციის საერთო კრება სარევიზიო კომისიის წევრებს აირჩევს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. სარევიზიო კომისია ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

სარევიზიო კომისიის მუშაობა

სარევიზიო კომისია იკრიბება მიზანშეწონილობისამებრ. სარევიზიო კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუუნაროა თუ მას არ ესწრება კომისიის სრული შემადგენლობა. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილება გამოდის „დადგენილების“ ფორმით. გამოვლენილი დარღვევის ხასიათიდან

გამომდინარე აუცილებელია ზომების დაუყოვნებლივ მიღება, ხოლო აღმასრულებელი საბჭო ვერ ან არ ასრულებს აღნიშნულ დადგენილებებს, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება ან აღნიშნული საკითხი შეიტანოს მორიგი საერთო კრების დღის წესრიგში.

ასოციაციის ქონება

ასოციაციის შემოსავლების წყაროებია:

- საწევრო შენატანები;
- შემოწირულობები;
- გრანტით მიღებული ქონება და სახსრები;
- ტესტირების გადასახდელი;
- სასწავლო ცენტრიდან მიღებული შემოსავლები;
- სესხით ან კრედიტით მიღებული სახსრები;
- კანონით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

ასოციაციის ქონება გამოიყენება მხოლოდ ასოციაციის მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად. ასოციაციის შემოსავლები არ შეიძლება განაწილდეს მის წევრებს შორის.

საწევრო შენატანი

ასოციაციის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საწევრო შენატანი. იგი გადაიხდება ფულადი სახით. ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 (ოცდათერთმეტ) დეკემბრამდე. მისი ოდენობაა 200 (ორასი) ლარი.

ასოციაციის ბიუჯეტი

ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება. მომავალი წლის ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის 15 (თხუთმეტ) დეკემბრამდე. ბიუჯეტის პროექტის შედგენას ორგანიზებას უწევს ასოციაციის თავმჯდომარე და წარუდგენს მას აღმასრულებელ საბჭოს არაუგვიანეს 1 (პირველი) ნოემბრისა. აღმასრულებელ საბჭო განიხილავს ბიუჯეტის პროექტს არაუგვიანეს 20 (ოცი) ნოემბრისა და მოწონების შემთხვევაში იწვევს საერთო კრებას.

ასოციაციის გაუქმება და რეორგანიზაცია

ასოციაციის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელების გზით. ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ასოციაციის თავმჯდომარე. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას ლიკვიდატორი შეიძლება დანიშნული იქნას იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ასოციაციას გააჩნია ადგილსამყოფელი. ლიკვიდაციის შესახებ ლიკვიდატორი აკეთებს განცხადებას პრესაში და მოიწვევს ყველა კრედიტორს მოთხოვნების წარმოსადგენად და დაუწესებს მათ ვადას. მისთვის ცნობილ კრედიტორებს იგი პირადად ატყობინებს ასოციაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ წერილობით. დაუშვებელია ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის წევრებს შორის. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა ანალოგიური მიზნების მქონე სხვა არაკომერციულ იურიდიულ პირს ან განაწილდება რამდენიმე მსგავს იურიდიულ პირს შორის

საკონტროლო კითხვები:

- ვინ არის ადვოკატი?
- რა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად?
- რა წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს?
- რა წარმოადგენს ადვოკატის (საადვოკატო) პროფესიაში შესვლის წინაპირობებს? (აუცილებელი მოთხოვნები ადვოკატისთვის);
- როგორ ხორციელდება ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება?
- რა საგნებში ტარდება საერთო ტესტირება?
- რა წარმოადგენს ადვოკატის უფლებებს?
- რა წარმოადგენს ადვოკატის მოვალეობებს?
- რა არის საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი?
- როგორ ხორციელდება ადვოკატის სამართლებრივი დაცვა?
- რას ნიშნავს წარმომადგენლობა სასამართლოში?
- ვინ შეიძლება იყოს პირის წარმომადგენელი სასამართლოში?
- ვინ არ შეიძლება იყოს სასამართლოში მხარის წარმომადგენელი?
- რას ნიშნავს წარმომადგენლის უფლებამოსილება?
- რას ნიშნავს წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება?
- რას ნიშნავს დაზარალებულის წარმომადგენელი?
- რა უფლება-მოვალეობანი აქვს დაზარალებულის წარმომადგენელს?
- ვინ არის დამცველი?
- რას ნიშნავს დაცვა შეთანხმებით?

- რას ნიშნავს დაცვა დანიშვნით?
- რას წარმოადგენს იძულებითი დაცვა?
- რა წარმოადგენს დამცველის უფლება-მოვალეობებს?
- ჩამოთვალეთ და განმარტეთ ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპები
- როგორ ხორციელდება ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება
- რა წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიზნებს და ფუნქციებს?
- როგორ ხდება პირის ასოციაციის წევრად მიღება?
- რა უფლებები აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს?
- რა მოვალეობები აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს?
- რა მართვის ორგანოები აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას?
- რა წარმოადგენს ასოციაციის საერთო კრების კომპეტენციას?
- რა უფლებამოსილებები აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს?
- რა უფლებები და მოვალეობანი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს?
- რას წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია?
- რას წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისია?
- რა წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შემოსავლის წყაროებს?
- როგორ ხდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გაუქმება და რეორგანიზაცია?

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“

საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“

სასარგებლო ბმულები:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - <http://www.gba.ge>

პროფესია
პროკურორი

პროკურორი

ვინ არის პროკურორი?

პროკურორი – საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს მთავარი პროკურორი (შემდგომში – მთავარი პროკურორი), მისი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, ქ. თბილისის პროკურორი, საოლქო პროკურორი, რაიონული პროკურორი, სპეციალიზებული პროკურატურის პროკურორი, საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა პროკურორი, უფროსი პროკურორი, პროკურორი, პროკურორ-კრიმინალისტი, პროკურორ-სტაჟიორი, აგრეთვე პროკურატურის დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილებისა და მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის უფროსები და მათი მოადგილეები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, ასევე ცალკეულ შემთხვევაში პროკურატურის მუშაკი, რომელიც უშუალოდ არ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მაგრამ რომელსაც ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს პროკურორის უფლებამოსილება.

რას წარმოადგენს საქართველოს პროკურატურა

საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. აკრძალულია საგანგებო ან სპეციალური პროკურატურების შექმნა. საქართველოს იუსტიციის მინისტრს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო უფლებამოსილებათა ფარგლებში შეუძლია დროებით შექმნას სპეციალიზებული პროკურატურა და კანონით დადგენილი წესით განსაზღვროს მისი საქმიანობის მიმართულებები და ფუნქციონირების ვადა.

ვინ არის პროკურატურის გამომძიებელი?

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, გამომძიებელი, სტაჟიორ-გამომძიებელი წარმოადგენენ პროკურატურის გამომძიებლებს.

ვინ არის პროკურატურის მუშაკი?

პროკურატურის მუშაკებს განეკუთვნებიან: პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი, პროკურატურის მრჩეველი, პროკურატურის სტაჟიორი, პროკურატურის დამხმარე მოსამსახურე და პროკურატურის შტატგარეშე მოსამსახურე.

პროკურატურის სტაჟიორი - არის საქართველოს მთავარ პროკურატურაში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში, ქ. თბილისის, საოლქო, რაიონულ და სპეციალიზებულ პროკურატურებში სტრუქტურული დანაყოფის პროკურორის, უფროსი გამომძიებლის, გამომძიებლის თანამდებობაზე ან ამ თანამდებობის გარეშე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სტაჟიორად დანიშნული უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროკურატურის მრჩეველი - არის პირი, რომელიც ინიშნება პროკურატურის იმ დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილების ან მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, რომლის ფუნქცია არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება, და რომელიც არ განეკუთვნება პროკურატურის დამხმარე მოსამსახურისა და შტატგარეშე მოსამსახურის კატეგორიას.

პროკურატურის დამხმარე მოსამსახურე - არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება პროკურატურის სისტემაში შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე.

პროკურატურის შტატგარეშე მოსამსახურე - პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება პროკურატურის სისტემაში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

რა ამოცანები აქვს პროკურატურას?

- ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;
- სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით

- ატარებს წინასწარ გამოძიებას;
- ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას;
- ამოწმებს თავისუფლებადაღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ახორციელებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს;
- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს, როგორც მხარე, და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;
- კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას;
- სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აკრძალულია პროკურატურისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით პროკურატურის შესახებ და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

რა პრინციპები აქვს პროკურატურის საქმიანობას?

- კანონიერება;
- ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
- პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორის და პროკურატურის სხვა მუშაკის საქართველოს იუსტიციის მინისტრისადმი დაქვემდებარება;
- პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

პროკურატურის სისტემა და ორგანიზაცია

პროკურატურის სისტემას ქმნიან: საქართველოს მთავარი პროკურატურა (შემდგომში – მთავარი პროკურატურა), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები, ქ. თბილისის პროკურატურა, საოლქო პროკურატურები, რაიონული პროკურატურები, აგრეთვე სპეციალიზებული პროკურატურები (მათი არსებობის შემთხვევაში). სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სპეციალიზებული პროკურატურის უფლებამოსილების ვადით. პროკურატურის ორგანოების სტრუქტურას და სამტატო ერთეულებს დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

აუცილებელი მოთხოვნები პროკურორისთვის:

პროკურატურის პერსონალი

მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობებზე დასანიშნ პირებს:

პროკურორად ან პროკურატურის გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გავლილი აქვს ექვსი თვიდან ერთ წლამდე სტაჟირება პროკურატურის ორგანოებში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიისათვის ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა შემდეგ დისციპლინებში:

- საკონსტიტუციო სამართალი;
- სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი;
- სასჯელადსრულებითი სამართალი;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები.

დადებული აქვს პროკურატურის მუშაკის ფიცი, საქმიანი და მორალური თვისებებით, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს პროკურორის ან პროკურატურის გამომძიებლის მოვალეობები.

პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან: იუსტიციის მინისტრი, მთავარი პროკურორი, მისი მოადგილეები და პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა ან გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება (იხ.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა). აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, თუ მათ არ ჩაუბარებიათ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა ან არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდას აბარებენ თანამდებობაზე დანიშნვიდან ერთი წლის ვადაში.

პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

- აქვს მოსამართლედ, გამომძიებლად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
- აქვს იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი.

პირმა, რომელიც აკმაყოფილებს სტაჟირების გავლისაგან გათავისუფლებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, საკუთარი სურვილით შეიძლება გაიაროს სტაჟირება პროკურატურის ორგანოებში.

პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტური მეთოდით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს საგამოცდო ტესტების წინასწარ გამოქვეყნებას. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს, პერიოდულობას და გამოცდის პროგრამას, საგამოცდო კომისიის დებულებას და კომისიის შემადგენლობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს დამატებითი საკვალიფიკაციო გამოცდა.

ქ. თბილისის პროკურორად და მის მოადგილედ, საოლქო პროკურორებად და მათ მოადგილეებად, რაიონულ პროკურორებად და სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორებად ინიშნებიან პირები, რომლებსაც აქვთ იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. განსაკუთრებულ შემთხვევაში იუსტიციის მინისტრს დასაბუთებული გადაწყვეტილებით უფლება აქვს, აღნიშნული ვადა შეამციროს ქ. თბილისის პროკურორისა და მისი მოადგილის, საოლქო პროკურორებისა და მათი მოადგილეების მიმართ 18 (თვრამეტ) თვემდე, ხოლო მთავარ პროკურორს დასაბუთებული გადაწყვეტილებით – რაიონული პროკურორებისა და სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორების მიმართ 12 (თორმეტ) თვემდე.

პროკურატურის მუშაკებმა სამ წელიწადში ერთხელ უნდა გაიარონ ატესტაცია. ატესტაციის წესს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

პროკურატურის მრჩეველებს, პროკურატურის დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარი პროკურორი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

პროკურატურის მუშაკის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ნებისმიერ თანამდებობასთან, ასევე სამეწარმეო ან სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობისა. პროკურატურის მუშაკს უფლება აქვს, იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს ან/და შეთავსებით ეკავოს სხვა თანამდებობა პროკურატურის სისტემაში.

პროკურატურის მუშაკი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას. პროკურატურის მუშაკს ეკრძალება გაფიცვის მოწყობა ან გაფიცვაში მონაწილეობა.

პროკურატურის მუშაკის ფიცი

პროკურატურის მუშაკი პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ გამწესებისას იუსტიციის მინისტრის წინაშე დებს ფიცს: „*მე (სახელი, გვარი) ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, კეთილსინდისიერად აღვასრულო საქართველოს პროკურატურის მუშაკის მოვალეობა და მისი აღსრულებისას დავემორჩილო მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს*“. პროკურატურის მუშაკის ფიცის დადება შეიძლება ჩატარდეს რელიგიური ფიცის გარეშე. ფიცის ტექსტს ხელს აწერს ფიცის დამდები და იგი ინახება მის პირად საქმეში.

პროკურატურაში სამუშაოდ არ მიიღება:

- ნასამართლვეი პირი;
- ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;
- სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებული პირი;
- სხვა სამუშაოდან ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართული ქმედების ჩადენის გამო დათხოვნილი პირი.

პროკურატურის მუშაკი პროკურატურიდან შეიძლება დაითხოვონ:

- პირადი განცხადებით;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადების დროს, რის გამოც მას აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება;
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლისას;
- სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას;
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისას ან არაჯეროვნად შესრულებისას;
- სამსახურებრივი შეუსაბამობისას;
- სამსახურებრივი დისციპლინის უხეშად ან სისტემატურად დარღვევისას;
- შტატების შემცირებისას;
- საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს, თანამდებობრივი შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებში;
- ფიცის გატეხვისას, პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებისას ან პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი სხვა საქციელის ჩადენისას;
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;
- საქართველოს კანონის „პროკურატურის შესახებ“ 33-ე მუხლის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ნასამართლეობის მქონეა, დაავადებულია ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებით ან სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად);
- საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;
- სამსახურში მიღებისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას;
- საპენსიო ასაკის მიღწევისას.

პროკურატურის საქმიანობის მიმართულებები**სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება**

პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. იგი სისხლისსამართლებრივი დევნის

უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

წინასწარი გამოძიება

პროკურატურა დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას და შეუძლია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.

ზედამხედველობა კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას:

პროკურორი ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და ამ საქმიანობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების, გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი. მონაცემები იმ პირზე, რომელიც უწევს ან უწევდა კონფიდენციალურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს, თანამშრომლობს ან თანამშრომლობდა მასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის მოპოვების ტაქტიკა, ორგანიზება, ოპერატიული დამუშავების საქმე და ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო ნაწილი არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი.

ოპერატიული დამუშავების საქმის, ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო მასალების გაცნობის უფლება აქვთ: იუსტიციის მინისტრს, მთავარ პროკურორს და მის მოადგილეებს, მთავარი პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების უფროსებს და მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებსა და მათ მოადგილეებს, საოლქო პროკურორებს და მათ მოადგილეებს, ქ. თბილისის პროკურორს და მის მოადგილეებს და რაიონულ პროკურორებს თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, აგრეთვე იუსტიციის მინისტრის, მთავარი პროკურორის და მისი მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, საოლქო

პროკურორების, ქ. თბილისის პროკურორისა და რაიონული პროკურორების მიერ განსაზღვრულ სხვა პროკურორებს.

პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი

პროკურორი პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა. პროკურორს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებს ბრალდებას. ბრალდებაზე პროკურორის უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების, სასამართლოში საქმის წარმართვის და სხვა საკითხების განხილვაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში. მას უფლება აქვს: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება. წარადგინოს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს დაცვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია ბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, განსასჯელის შერაცხადობის, სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ. საკასაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს, როგორც მხარე, იმ საჩივრებზე, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა

აგრეთვე სრული მოცულობით აწარმოებს დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინასწარ გამოძიებას.

პროკურორი თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმძებელი. პროკურორი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. კანონის საფუძველზე გამოტანილი პროკურორის დადგენილების, მითითებისა და მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების, თანამდებობის პირების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს ახლით.

პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

პროკურორი უფლებამოსილია:

- საქმის გამოძიება დაავალოს წინასწარი გამოძიების ორგანოს ან გამომძიებელს;
- მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით. თუ პროკურორი თვითონ აწარმოებს წინასწარ გამოძიებას, მაშინ იგი მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში;
- გამომძიებელს, ქვემდგომ პროკურორს მისცეს სავალდებულო მითითებანი საგამომძიებო მოქმედების ჩატარების, საგამომძიებო ვერსიათა შემოწმებისა და წინასწარი გამოძიების წარმოებისას წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;
- მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან სისხლის სამართლის საქმე მთლიანად;
- მოითხოვოს ცნობები სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისა და დაპატიმრებული ბრალდებულის შესახებ;
- გამოიტანოს დადგენილება ძებნილი პირისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერების შესახებ;
- მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ექვიტანილი ან

ბრალდებული პირისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერების შესახებ;

- მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეჩერების, მისი ვადის გაგრძელების ან აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად;
- გააუქმოს გამოძიებლის, ქვემდგომი პროკურორის დადგენილებანი;
- ჩამოართვას საქმე ერთ გამოძიებელს და გადასცეს მეორეს საგამომიებო ქვემდებარეობის შესახებ მოთხოვნათა დაცვით. საქართველოს მთავარ პროკურორსა და მის მოადგილეს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უფლება აქვთ, საგამომიებო ქვემდებარეობის მიუხედავად ამოიღონ ნებისმიერი საქმე, გადასცენ იგი გამოსაძიებლად პროკურატურის გამოძიებელს ან სხვა საგამომიებო უწყებას;
- ჩამოაშოროს გამოძიებელი საქმის შემდგომ გამოძიებას;
- შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა, აგრეთვე შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება, თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები;
- დაუბრუნოს გამოძიებელს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის;
- შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და საქმე წარმართოს სასამართლოში;
- გადაწყვიტოს საჩივარი გამოძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღძრას სარჩელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ;

საქართველოს მთავარი პროკურორი უფლებამოსილია მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ ბრძანების მიღების თაობაზე მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. დაუშვებელია მოსამართლის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელება სასამართლოს სათათბირო ოთახში.

პროკურორის უფლებამოსილებანი სასამართლოში

როგორც ზემოთ აღინიშნა პროკურორი სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა.

პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებენ ბრალდებას. ბრალდებაზე პროკურორის უარი დასაბუთებული უნდა იყოს. იგი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაში. მას უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების და სხვა საკითხების განხილვაში.

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში. იგი უფლებამოსილია: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი და მონაწილეობა მიიღოს დაცვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხზე. მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია ბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, განსასჯელის შერაცხაობის, სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განსასჯელის განთავისუფლების შესახებ. საკასაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს.

საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი
(კოდექსის სრული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე:
<http://www.pog.gov.ge/Codex.aspx?LanguageId=1>)

კოდექსის მიზანი

საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი აცალიბებს პროკურატურის მუშაკთა ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს. მისი მიზანია პროკურატურის მუშაკთა ქცევის ნორმების დამკვიდრება, რომლებიც ხელს უწყობენ:

- თანამდებობის შესაბამისი პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას პროკურატურის მუშაკის საქმიანობაში;
- პროკურატურის მუშაკის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ განხორციელებას;
- ადამიანის უფლებათა დაცვას საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებით;
- სამართლიანი, ეფექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას;
- მართლმსაჯულების უპირობო და ეფექტური აღსრულების მიზნებისა და ამოცანების შესრულებას;
- პროფესიულ და პირად საქმიანობაში პროკურატურის მუშაკის მიერ კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას;
- საქართველოს პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.

კოდექსის მოქმედების სფერო

კოდექსის მოქმედება თანაბრად ვრცელდება საქართველოს პროკურატურის მუშაკებზე მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მორალური სტანდარტები

- პროკურატურის მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი პროფესიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას საზოგადოების წინაშე გააჩნია საჯარო მოსამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები;
- პროკურატურის მუშაკი უნდა მოქმედებდეს პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით. იგი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის,

ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებით, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებით. პროკურატურის მუშაკი ხელს უნდა უწყობდეს პროკურატურის მიმართ საზოგადოების რწმენისა და ნდობის განმტკიცებას.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

პროკურატურის მუშაკი უნდა აცნობიერებდეს, პატივი უნდა სცეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაო პრინციპი სავალდებულოა პროკურატურის მუშაკისათვის. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს დასაბუთებულ კრიტიკას. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები. დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით.

დამოუკიდებლობა და გავლენისაგან თავისუფლება

პროკურატურის მუშაკი თავისუფალი უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ცალკეულ პირების (მათ შორის, თანამდებობის პირთა) გავლენისაგან და დაემორჩილოს მხოლოდ კანონს, სასამართლო პრაქტიკას, შიდაუწყებრივ მითითებებსა და ზოგად საჯარო ინტერესს.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია სრული პასუხისმგებლობა აიღოს თავის ქმედებებზე. დაუშვებელია საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის მოხსნა ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ გაცემულ დავალებაზე მითითებით. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია თავი შეიკავოს რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ

გაერთიანების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვისაგან. დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ პოლიტიკური მრწამსის ნიშნების აშკარა დემონსტრირება. აგრეთვე, დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ რელიგიური შეხედულებების აშკარა გამოხატვა, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის.

დაუშვებელია:

- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ნებისმიერ პირზე უკანონო ზეწოლისათვის;
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პროდუქციისა თუ მომსახურების რეკლამისათვის;
- სამსახურებრივი დროისა და ქონების, ასევე სხვა თანამშრომელთა დროისა და ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისათვის (ეს წესი არ ვრცელდება სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და სამსახურებრივი ტრანსპორტის გამოყენებაზე);
- პირადი ინტერესებისათვის იმ ინფორმაციის გამოყენება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, თუ ეს ზიანს მიაყენებს საქართველოს პროკურატურის ინტერესებს;
- შეღავათებით სარგებლობა პროდუქციისა და მომსახურების შეძენისას იმ პირისაგან, რომელიც ახორციელებს საქართველოს პროკურატურისათვის პროდუქციის ან მომსახურების მიწოდებას.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის მუშაკი მკაცრად უნდა იცავდეს კერძო ინტერესებისაგან დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებს. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იგი არ უნდა მოექცეს ცალკეულ პირების (მათ შორის, თანამდებობის პირთა), მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა თუ საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ. პროკურორის მუშაობა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ეფექტურობის სტანდარტებს. პროკურატურის მუშაკი პატივს უნდა სცემდეს უდანაშაულობის

პრეზუმფციისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს, როგორც უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს.

ეფექტურობა და პროფესიონალიზმი

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხით და პასუხისმგებლობით შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობები.

პროკურატურის მუშაკი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას უნდა უნერგავდეს ყველა მხარეს მართლმსაჯულებისადმი პატივისცემას. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პროკურატურის მუშაკი ვალდებულია გაუფრთხილდეს საქართველოს პროკურატურის ქონებას, იყენებდეს მას მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის. სამსახურებრივი მომიჯნავე შედეგად თუ გამოვლინდება პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობის საფუძველი, ამ უკანასკნელმა უნდა აანაზღაუროს პროკურატურისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იურიდიული დახმარება

პროკურატურის მუშაკმა თავი უნდა შეიკავოს სამართლებრივი კონსულტაციების მიცემისა და იურიდიული დახმარების გაწევისაგან ნებისმიერი პირისათვის, თუ ეს ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს ან საქართველოს პროკურატურის ინტერესებს.

კოლეგებთან ურთიერთობა

კოლეგებთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს პროფესიული სოლიდარობის პრინციპით.

პროკურატურის მუშაკი:

- ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;
- საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს;
- თავს უნდა იკავებდეს კოლეგის საქმიანობაში ჩარევისაგან;
- არ უნდა ითხოვდეს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების გაწევას, რომელიც გაართულებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;
- წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;

- ტაქტიკაზე უნდა გამოხატავდეს უკმაყოფილებას კოლეგის შეცდომასა და ხარვეზებზე;
- უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სხვა პრინციპებსა და ნორმებს.

საიდუმლო ინფორმაცია

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის ხელთ არსებული საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება კერძო ინტერესების სასარგებლოდ. პროკურატურის მუშაკმა აქტიურად უნდა იმოქმედოს, რათა არ დაუშვას საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება მესამე პირთა ინტერესებისათვის.

კომენტარები სისხლის სამართლის საქმეზე

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ მისი ან პროკურატურის სხვა მუშაკის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარების გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს გამოძიების ინტერესებს. ასევე დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ მისი ან პროკურატურის სხვა მუშაკის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარების გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს პროცესის რომელიმე მონაწილეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯარო ინტერესი მოითხოვს საზოგადოების ინფორმირებას მოცემულ საკითხზე ან ინფორმაციის გამოქვეყნება ემსახურება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მიზანს.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია საჯაროდ არ გამოხატოს ისეთი შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება ბრალდების ოფიციალურ პოზიციას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

შეუფერებელი მდგომარეობა

პროკურატურის მუშაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, არ უნდა იმყოფებოდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც შეუფერებელია პროკურატურის მუშაკის ღირსებისათვის. პროკურატურის ორგანოების შენობებში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში.

სამსახურებრივი-სამტატო იარაღისა და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის გამოყენება

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები სამსახურებრივი-სამტატო იარაღის და

სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის შენახვისა და ტარებისას. იგი ვალდებულია თავი შეიკავოს სამსახურებრივ-სამტატო იარაღისა და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის საზოგადოებაში დემონსტრირებისაგან საჭიროების გარეშე. პროკურატურის მუშაკს ეკრძალება კანონით დადგენილი წესის დარღვევით სხვა პირს გადასცეს მასზე გაპროვზებული სამსახურებრივი-სამტატო იარაღი ან სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული ოფიციალური წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებები უნდა იყოს საქმიანი და კარგად გააზრებული. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ეს განცხადებები შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც საქართველოს პროკურატურის პოზიცია. პროკურატურის მუშაკს, რომელიც აკეთებს განცხადებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, არ ეკრძალება, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მიაწოდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმ მოცულობის ობიექტური ინფორმაცია, რომელიც ამ დროისათვის მისთვის არის ცნობილი.

შეუფერებელი საქმიანობა

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ობიექტურად ეჭვქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა ან გავლენა იქონიოს მის სამსახურებრივ საქმიანობაზე.

**საქართველოს პროკურატურის სისტემაში მომუშავე პირების
თანამდებობრივი სარგო**

(2009 წლის 15 იანვრის მდგომარეობით)

მთავარი პროკურატურა

თანამდებობა

თანამდებობრივი სარგო

მთავარი პროკურორი	3,300.0 ლ.
მთავარი პროკურორის I მოადგილე	2,300.0 ლ.
მთავარი პროკურორის მოადგილე	2,200.0 ლ.
უფროსი პროკურორი	1,230.0 ლ.
პროკურორი	1,210.0 ლ.
უფროსი პროკურორი (საგამომიებო ნაწილი)	1,730.0 ლ.
პროკურორი (საგამომიებო ნაწილი)	1,660.0 ლ.
უფროსი გამომიებელი	1,730.0 ლ.
გამომიებელი	1,660.0 ლ.

ქ. თბილისის პროკურატურა

ქ. თბილისის პროკურორი	2,150.0 ლ.
ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე	1,700.0 ლ.
განყოფილების უფროსი	1,430.0 ლ.
განყოფილების უფროსის მოადგილე	1,210.0 ლ.
საგამომიებო ნაწილის უფროსის მოადგილე	1,550.0 ლ.
პროკურორი	1,060.0 ლ.
პროკურორი (საგამომიებო ნაწილი)	1,300.0 ლ.
უფროსი გამომიებელი	1,300.0 ლ.

საოლქო პროკურატურები

საოლქო პროკურორი	2,000.0 ლ.
საოლქო პროკურორის მოადგილე	1,600.0 ლ.
განყოფილების უფროსი	1,430.0 ლ.
განყოფილების უფროსის მოადგილე	1,210.0 ლ.
უფროსი პროკურორი	1,150.0 ლ.
პროკურორი	1,060.0 ლ.
უფროსი გამომიებელი	1,250.0 ლ.

საკონტროლო კითხვები:

- რას წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის სისტემა?
- რა წარმოადგენს პროკურატურის საქმიანობის მიმართულებებს?
- ვინ არის პროკურორი?
- ვინ არის პროკურატურის გამომძიებელი?
- ვინ არის პროკურატურის მუშაკი?
- ვინ არის პროკურატურის სტაჟიორი?
- ვინ არის პროკურატურის მრჩეველი?
- ვინ არის პროკურატურის დამხმარე მოსამსახურე?
- ვინ არის პროკურატურის შტატგარეშე მოსამსახურე?
- რა ამოცანები აქვს პროკურატურას?
- რა პრინციპები აქვს პროკურატურის საქმიანობას?
- რა მოთხოვნები, წაყენება პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობებზე დასანიშნ პირებს?
- რომელი პირები თავისუფლებიან სტაჟირების გავლისაგან პროკურატურის ორგანოებში?
- ვინ არ მიიღება პროკურატურაში სამუშაოდ?
- რა შემთხვევაში შეიძლება დაითხოვონ პროკურატურის მუშაკი პროკურატურიდან?
- რა უფლებები და მოვალეობანი აქვს პროკურორს?
- რა უფლებამოსილებანი გააჩნია პროკურორს სასამართლოში?
- რა სამართალმდგომარეობანი (საკითხები) რეგულირდება პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსით?

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“

საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“

სასარგებლო ბმულები:

საქართველოს პროკურატურა - <http://www.pog.gov.ge>

პროფესია
მოსამართლე

მოსამართლე

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

საერთო სასამართლოების სისტემა

საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

მოსამართლის დამოუკიდებლობა

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს. არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა. მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო

რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. რაიონული სასამართლო იქმნება რაიონში (რაიონებში), გარდა ქალაქის რაიონისა (რაიონებისა). საქალაქო სასამართლო იქმნება ქალაქში, რომელიც არ შედის არც ერთ რაიონში.

საქმეთა განხილვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში

რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად.

მოსამართლეთა სპეციალიზაცია რაიონულ (საქალაქო სასამართლოში)

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები. სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობას ადგენს და სასამართლო კოლეგიების შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სასამართლო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც კოლეგიის შემადგენლობიდან ხუთი წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატი მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლო

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

სააპელაციო სასამართლოში იქმნება:

- სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- საგამომიებო კოლეგია.

სააპელაციო სასამართლოს პალატებსა და საგამომიებო კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში ან საგამომიებო კოლეგიაში.

თითოეულ პალატასა და საგამომიებო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან ხუთი წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს პალატებისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეთაგან ხუთი წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება

სააპელაციო სასამართლო საპროცესო კანონით დადგენილი წესით, კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

აუცილებელი მოთხოვნები მოსამართლისთვის:**მოსამართლე, მისი დანიშვნის წესი.****მოთხოვნები, რომლებიც წაყენება მოსამართლეობის კანდიდატს**

მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან (საერთო სასამართლოებში), თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის გამოცდილება, ასევე ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

მოსამართლედ არ შეიძლება გამწესდეს ნასამართლევი პირი, აგრეთვე პირი, რომელიც განთავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით (დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა). მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც მოქმედი, ისე ყოფილი წევრები.

საკვალიფიკაციო გამოცდა

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს 25 წლის ასაკს მიღწეულ, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს.

გამოცდის ჩატარების წესსა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა ითვალისწინებს გამოცდას ტესტური მეთოდით, რომლის წარმატებით ჩაბარების შემდეგ პირი აბარებს წერით გამოცდას. გამოცდა ტესტური მეთოდით და წერითი გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:

- საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი;
- სისხლის სამართალი;
- სისხლის სამართლის პროცესი;
- სამოქალაქო სამართალი;
- სამოქალაქო სამართლის პროცესი;
- ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;
- ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი კარგავს ძალას, თუ პირი გამოცდის ჩაბარებიდან შვიდი წლის განმავლობაში არ გამწესდება მოსამართლის თანამდებობაზე.

მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენა ხდება კონკურსის წესით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობისას აცხადებს კონკურსს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით. მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის გამოცხადებისას. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარადგინოს განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ხოლო მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრაციიდან შვიდ დღეში – კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის თაობაზე. დეკლარაციის ტექსტი არავისთვის არ არის ხელმისაწვდომი ამ პირის თანამდებობაზე დანიშნამდე, მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ატარებს კონკურსს. კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების, კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაციის, წარდგენილი საკითხების თავისუფლად და მიუკერძოებლად შეფასების უნარის გამოვლენის, პროფესიული მუშაობის გამოცდილებისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატს მოსამართლის თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ კონკურსის საფუძველზე ვერ შეირჩა მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან სამი თვის ვადაში აცხადებს ახალ კონკურსს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მოსამართლის ფიცი

თანამდებობის დაკავებამდე მოსამართლე, რომელსაც პირველად ნიშნავენ ამ თანამდებობაზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე დებს ფიცს. ფიცის ტექსტს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მოსამართლის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მოსამართლის ხელშეუხებლობა

მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეთა - საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან საქართველოს პარლამენტს. თუ ისინი არ მისცემენ თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება. მოსამართლის**პასუხისმგებლობა**

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს:

- პირადი სურვილი;
- წელიწადში ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განუხორციელებლობა;
- დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;

- მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუუნარიანად აღიარება;
- საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა
- მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- 65 წლის ასაკის მიღწევა;
- კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად“.
- მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლა;
- გარდაცვალება.
- სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს ლიკვიდაცია, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირება
- სხვა სასამართლოში დანიშვნა;
- სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა.
- საპატიო მიზეზის გარეშე, დადგენილ ვადაში სპეციალური სასწავლო კურსის გაუვლელიობა.

მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მოსამართლე ჩამოცილებული უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი წარდგინების საფუძველზე იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მოსამართლის მიმართ ჩერდება ხელფასისა და სხვა მატერიალური შეღავათების გაცემა. მოსამართლეს, გამართლების შემთხვევაში, მიუღებელი ხელფასი და სხვა მატერიალური შეღავათები სრულად აღნაზღაურდება.

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები, დისციპლინური სახდელის სახეები, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით (იხ. ქვემოთ).

**მოსამართლის საქმიანობის, მისი უფლებებისა და მოვალეობების
ნორმატიული რეგულირება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
კანონმდებლობაში**

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება
მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.

თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოქმედებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით.

კანონისა და სამართლის ანალოგია

თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

სამოქალაქო პროცესის საქვეყნობა და სამართალწარმოების ენა

სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

- ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს;
- უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს;
- საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე;

სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

სამოქალაქო საქმეები პირველი ინსტანციით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, ასევე მაგისტრატი მოსამართლეების მიერ განიხილება ერთპიროვნულად. სამოქალაქო საქმეების განხილვა სააპელაციო წესით ხორციელდება სამი მოსამართლის მიერ. სამოქალაქო საქმეების განხილვა საკასაციო წესით ხორციელდება სამი მოსამართლის მიერ. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმეს განიხილავს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა.

განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა განხილვის წესი

იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ საქალაქო სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით

საქმეთა განხილვისათვის ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

- საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;
- საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

მოტივირებული განჩინება საქმის სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს მთავარ სხდომაზე ამ საქმის განხილვის დაწყებამდე. განჩინება გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით.

კოლეგიური სასამართლოს მიერ საკითხების გადაწყვეტის წესი

თუ საქმის განხილვას სასამართლო ახორციელებს კოლეგიურად, ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს რომელიმე საკითხის გადაწყვეტისაგან.

მოსამართლეს, რომელიც პირველი ინსტანციის, სააპელაციო ინსტანციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების, განჩინებისა თუ დადგენილების გამოტანისას არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს გადაწყვეტილების გამოცხადების დროს. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლოს სხდომის დარბაზში მისი შინაარსი არ გამოცხადდება.

მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მსჯელობა, რომელიც მათ ჰქონდათ თათბირის დროს

საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა

მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის

სასამართლოში. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა

სამოქალაქო საქმის განხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

- ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
- ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
- მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

ნათესავებად ითვლებიან:

- მეუღლე;
- დანიშნული;
- პირდაპირი ხაზის ნათესავები;
- და-ძმა;
- დისშვილები და ძმისშვილები;
- მშობლების და-ძმები;
- დანათესავებულები (მოყვრები);
- პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

რას წარმოადგენს თვითაცილება?

აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

საქმის წარმოება

რას წარმოადგენს მოსამზადებელი სხდომა?

თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც განჩინების (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილების სახეები) მიღებიდან სამი დღის ვადაში ეცნობება მხარეებს. მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში.

სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყება

საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში. მოსამართლე, ხოლო თუ საქმეს არჩევს კოლეგიური სასამართლო, - ამ სასამართლოს თავმჯდომარე, ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული. სასამართლო სხდომის მდივანი მოახსენებს სასამართლოს, განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა, ჩაბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

სასამართლო ადგენს გამოცხადებულთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას. სასამართლო უფლებამოსილია, გააფრთხილოს პროცესის მონაწილეები და სხდომაზე დამსწრე პირები წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების შესრულების სავალდებულოობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების თაობაზე. ამის შემდეგ მოწმეები ტოვებენ სხდომის დარბაზს.

წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულოობა

მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას.

სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე), რომელიც უფლებამოსილია სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა.

სასამართლო აფრთხილებს მხარეებს, რომ თუ ისინი თვითნებურად მიატოვებენ სხდომას, მათ მიმართ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ ჯარიმა ან პატიმრობა.

თუ სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება გაძევების შესახებ ეხება წარმომადგენელს, საქმის მოსმენა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმეს თავიდანვე აწარმოებდა რამდენიმე წარმომადგენელი. ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი განჩინება, რომელიც ეგზავნება ადვოკატთა გაერთიანებას (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას).

პირი სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. თუ

დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ზემოთ განსაზღვრულ ფარგლებში.

თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხემ უპატივცემულობას სასამართლოს (მოსამართლის), პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას, ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას, და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 (ოცდაათი) დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირს ერთხელ უკვე შეფარდებული ჰქონდა ამ ნაწილით გათვალისწინებული პატიმრობა, იგი უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის არა უმეტეს 60 (სამოც) დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ.

სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია დააკავოს წესრიგის დამრღვევი პირი, რის შესახებაც ადგენს დაკავების ოქმს. სასამართლოს მანდატური ვალდებულია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, წარუდგინოს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება და აცილების უფლების განმარტება

თავმჯდომარე (მოსამართლე) აცხადებს სასამართლო შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, სასამართლო სხდომის მდივნად, და განუმარტავს მხარეებს, რომ მათ შეუძლიათ განაცხადონ აცილება, თუ ასეთი აცილება საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ან თუ საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე ანდა სხვა სასამართლო შემადგენლობა, და არა ის, რომელიც ცნობილი იყო ამ საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს.

მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა

სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე.

საქმის განხილვის დაწყება

საქმის არსებითი განხილვის დაწყებისას პირველად სასამართლო ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ საქმის მორიგებით დამთავრება, რის შემდეგაც მოსამართლე მოახსენებს სასამართლოს საქმის შესახებ, მოკლედ გადმოსცემს სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ძირითად გარემოებებს, რომლებიც უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მასალებს. მოსამართლემ უნდა ჩამოაყალიბოს ფაქტები, რომლებიც საფუძველად დაედო მოსარჩელის მოთხოვნას, ფაქტები, რომლებიც საფუძველად დაედო მოპასუხის შესაგებელს, ფაქტები, რომლებზედაც მხარეები არ დავობენ, და ის ფაქტებიც, რომლებიც სადავოა, აგრეთვე მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაერთვის საქმეს. მოსამართლე საქმის მოხსენების შემდეგ ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება ან/და დაზუსტება.

მოსამართლის მოხსენების შემდეგ პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, ხოლო შემდეგ – მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს.

მოსამართლე მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვრავს დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე მხარეთა მორიგების მიზნით

სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.

მხარეთა შეკითხვები

სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, ანდა სასამართლოს - კოლეგიურად, როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო განიხილავს.

მოსამართლეთა შეკითხვები

მოსამართლეს, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს, კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარესა და მის ნებისმიერ წევრს უფლება აქვთ მხარეებს მისცენ შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

მხარეთა შეჯიბრების ხელმძღვანელობა

მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სასამართლო. იგი: ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს მხარეს, სიტყვას ჩამოართმევს მხარეს, თუ ის არ არის კავშირში საქმესთან და ემსახურება პროცესის გაჭიანურებას ან თუ მხარე გადააცილებს სიტყვისათვის მისთვის განსაზღვრულ დროს. სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას, აუცილებლობის შემთხვევაში, საქმის განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე, სიტყვის დასრულებისათვის მხარეს

განუსაზღვრავს დროს. იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.

წარმოდგენილ მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება

მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები. წერილობითი მტკიცებულების განხილვა და შემოწმება არ გულისხმობს მისი შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებასა და წაკითხვას. მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების პროცესში სასამართლო მიმართავს მხარეებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები სადავო მტკიცებულების ან მასში მითითებული ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

მხარეთა პაექრობა

პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან. პირველად გამოდიან მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, შემდეგ-მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. მესამე პირი, რომელმაც განაცხადა დაწყებულ პროცესში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა, და მისი წარმომადგენელი გამოდიან მხარეების შემდეგ. მესამე პირი, რომელსაც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა არ განუცხადებია, და მისი წარმომადგენელი გამოდიან იმ მოსარჩელის ან მოპასუხის შემდეგ, რომლის მხარეზედაც მესამე პირი მონაწილეობს საქმეში.

რეპლიკა

მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნით მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. მხარეთა პაექრობის შემდეგ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად, რის შესახებაც უცხადებს სხდომის დარბაზში დამსწრე პირებს.

საბოლოო გადაწყვეტილება

პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს მოსამართლეების შემდეგ. მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება

უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გამოცხადდება. მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანის დროს

გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი. თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ.

გადაწყვეტილების ჩამოყალიბება

გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბებს მოსამართლე. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ - ერთი მოსამართლე და ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას შენიშვნა უნდა გაუკეთდეს მოსამართლეთა ხელმოწერების წინ.

სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

გადაწყვეტილების შინაარსი

გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები,

მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბება

თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით. მოსამართლე ეკითხება მხარეებს, სურთ თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ასაჩივრებენ თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. თუ მხარეები უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მათ ასეთი განცხადება უნდა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერებით.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

- გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება;
- სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;
- სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა;
- თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული –

საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

**მოსამართლის საქმიანობის, მისი უფლებებისა და მოვალეობების
ნორმატიული რეგულირება საქართველოს სისხლის სამართლის
საპროცესო კანონმდებლობაში**

სასამართლო როგორც მართლმსაჯულების ორგანო

სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი, სასჯელი დაუნიშნოს მხოლოდ დამნაშავეს.

მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო განსჯადობის მიხედვით ვალდებულია განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, წარდგინება, შუამდგომლობა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შემზღვეველი საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი საჩივარი გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებისა და აქტების გამო.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ამოწმებენ ქვემდგომი სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

სასამართლოს უფლებამოსილება

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებსა და მასალებს კანონით დადგენილი განსჯადობის შესაბამისად. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით ასევე განიხილავს შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე წყვეტს

განსასჯელის სამართალში მიცემის საკითხს. რაიონული (საქალაქო) სასამართლო ასევე ახორციელებს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

სააპელაციო საჩივარს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

საკასაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს საჩივრებსა და წარდგინებებს სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება: ბრძანების გაცემა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღვეველ შემდეგ საპროცესო მოქმედებათა შესახებ, ბრალდებულის დაპატიმრება და პატიმრობის ვადის გაგრძელება, ბრალდებულის მიმართ სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის პირის მოთავსება, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე და საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება, ჩხრეკა და ამოღება, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, ექვიტანტილისა და ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადება, თანამდებობიდან (სამუშაოდან) მათი გადაყენება, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები.

საქმის ერთპიროვნულად და კოლექტიურად განხილვა სასამართლოში

მაგისტრატი მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა

გამოყენებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განხილველ მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

- საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;
- საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეს მისცეს შესაძლებლობა, წერილობით წარმოადგინოს მოსაზრებები სასამართლოში მხარის მიერ განსახილველად შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

განსჯადობა

არავის არ შეიძლება აღეკვეთოს უფლება მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ ან იმ მოსამართლემ, რომლის განსჯადობასაც იგი კანონით განეკუთვნება. განსჯადობის კანონით დადგენილი წესის შეცვლა დაუშვებელია. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია საქმეები მის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩადენილ ყველა კატეგორიის დანაშაულზე, კერძო ბრალდების საქმეები, შუამდგომლობები მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების და მათი ვადის გაგრძელების შესახებ, ასევე საჩივრები გამოძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებზე და უარყოფილ შუამდგომლობებზე. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების

შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემა, გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებების გამო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანილი საჩივრების გადაწყვეტა, გამომძიებლის ორგანოებისა და პროკურორის მიერ უარყოფილი შუამდგომლობების განხილვა იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება წინასწარი გამომძიება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია საკასაციო საჩივრები საქართველოს სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და სხვა გადაწყვეტილებებზე, საჩივრები კანონით გათვალისწინებულ, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა

სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია თავი შეიკავოს ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა ძიებისაგან, გაითვალისწინოს, რომ მტკიცებულებათა აღმოჩენა, წარმოდგენა და გამოკვლევა მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება.

თუ მხარეს ან მხარეებს უძნელდებათ მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ მტკიცებულებათა გამოთხოვაში.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სხდომას, მოსამართლეთა თათბირის მიმდინარეობას, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარმოადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი. განხილვას განარიდებს ყველაფერს, რასაც კავშირი არა აქვს საქმესთან, უზრუნველყოფს კანონიერებასა და სამართლიანობას საქმის განხილვისას. მხარეებს განუმარტავს მათ უფლებებს, სხდომის დარბაზიდან აძევებს წესრიგის დამრღვევს და აკისრებს მას ფულად

ჯარიმას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

სათადარიგო მოსამართლე

სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც ცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გამოსულ მოსამართლეს, და საქმის განხილვა გრძელდება. თუ სათადარიგო მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმეზე მისთვის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ცალკეულ სასამართლო მოქმედებათა ჩატარება, შესაძლებელია ცალკეული მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა, რის შემდეგაც გრძელდება საქმის განხილვა.

მოსამართლეები საქმის კოლეგიური განხილვის დროს

მოსამართლეები საქმის კოლეგიური განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში ქმნიან სასამართლო კოლეგიას, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში – პალატას, რომელიც საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს წყვეტს და გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. მტკიცებულებათა გამოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების დროს კოლეგიისა და პალატის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობა

- სასამართლო განხილვა მიმდინარეობს ბრალდებისა და დაცვის მხარეთა პოლემიკის სახით;
- ბრალდებისა და დაცვის მხარეებს აქვთ თანაბარი საპროცესო უფლებები და შესაძლებლობები;
- სასამართლოს უფლება არა აქვს შეასრულოს ბრალდების ან დაცვის ფუნქციები;
- სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საჭირო პირობებს, ამასთან, იცავს მიუკერძოებლობას და თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვისაგან;
- განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოთქვას აზრი განსასჯელის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ;
- ერთი მხარის შუამდგომლობასა და განცხადებასთან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც;
- სასამართლო განხილვისას ბრალდების მხარეს წარმოადგენენ პროკურორი – სახელმწიფო ბრალმძებელი, დაზარალებული (კერძო

ბრალმდებელი), სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები; დაცვის მხარეს – დამცველი, განსასჯელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე, მისი კანონიერი წარმომადგენელი.

სასამართლო განხილვის უშუალო და ზეპირობა

საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმეების დაკითხვის, ექსპერტთა დასკვნების შესწავლისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების გზით, საჭიროების შემთხვევაში - საჯაროდ წაიკითხოს საგამომიებო მოქმედების ოქმი და დოკუმენტები.

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი

სასამართლო სხდომის გახსნა

დანიშნულ დროს თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რომელ სისხლის სამართლის საქმეს განხილავენ. სასამართლო სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს მხარეების, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნის გამოცხადებას და გამოუცხადებლობის მიზეზებს, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების თაობაზე.

თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ მონაწილეობს თარჯიმნად, განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს, ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მოწმეთა გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან

თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას მოწმეების მათთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის შესახებ და იღებს ზომებს, რათა ისინი დაკითხვამდე არ ესაუბრონ ერთმანეთს. მოსამართლეს შეუძლია მოწმეს წასვლის ნება დართოს და დაუნიშნოს მას სასამართლოში გამოცხადების დღე და საათი.

სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება და მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტა

თავმჯდომარე აცხადებს სასამართლო შემადგენლობას და მხარეებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ აცილება მისცენ როგორც ცალკეულ მოსამართლეებს, ისე სასამართლოს მთელ შემადგენლობას ეს წესი გამოიყენება სათადარიგო მოსამართლის მიმართაც.

თავმჯდომარე ადგენს განსასჯელის ვინაობას, არკვევს მის სახელსა და გვარს, დაბადების წელს, თვეს, დღესა და ადგილს. თავმჯდომარე ეკითხება განსასჯელს, გადასცეს თუ არა მას საბრალდებო დასკვნის ასლი ან დაზარალებულის საჩივარი. თუ აღნიშნული დოკუმენტები გადაცემული არ არის, სასამართლო სხდომა გადაიდება არანაკლებ სამი დღე-ღამით.

თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ უჭერს მხარს სახელმწიფო ბრალდებას (სახელი, გვარი, საკლასო წოდება, დაკავებული თანამდებობა) ან კერძო ბრალდებას და მხარეებს განუმარტავს, რომ უფლება აქვთ აცილება განუცხადონ პროკურორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით. თუ პროკურორს აცილება განუცხადა ერთ-ერთმა მხარემ, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე ისმენს ამ საკითხზე მეორე მხარის აზრს. აცილების დაკმაყოფილებისას სასამართლო განხილვა გადაიდება.

ამის შემდგომ თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ არის დამცველი (სახელი და გვარი), განუმარტავს მხარეებს, თუ რა გარემოებათა არსებობისას არ შეუძლია დამცველს საქმეში მონაწილეობა, და ეკითხება მათ, შუამდგომლობენ თუ არა ისინი დამცველის აცილებას.

თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ არის დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, და მხარეებს განუმარტავს, რომ უფლება აქვთ აცილება მისცენ დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს, და უხსნის, რა საფუძვლით შეიძლება მათი აცილება.

ამის შემდგომ თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ არის ექსპერტი, სპეციალისტი, და წყვეტს ექსპერტისა და სპეციალისტის აცილების საკითხს. თუ ექსპერტის აცილება დაკმაყოფილებულია, სასამართლო, მხარეთა აზრის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას მეორე

ექსპერტის დანიშვნის შესახებ. ახალი ექსპერტის მოსაწვევად მხარეს ეძლევა დრო, თუ აცილებული ექსპერტი მის მიერ იყო მოწვეული.

ზემომოცემულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შემდეგ თავმჯდომარე განსასჯელს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათს წარმომადგენლებს, ექსპერტსა და სპეციალისტს განუმარტავს მათს უფლება-მოვალეობებს.

თავმჯდომარე პროცესის მონაწილე ბრალდებისა და დაცვის მხარეთა წარმომადგენლებს ეკითხება, აქვთ თუ არა შუამდგომლობა აცილების, ახალი არსებითი გარემოების გამო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების, აგრეთვე ახალი მტკიცებულებების ან დოკუმენტების გამოთხოვის ან საქმისთვის დართვის, მოწმეების, ექსპერტების მოწვევის, ექსპერტის დანიშვნის შესახებ. ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს წარედგინება ერთად. პირი, რომელიც აღძრავს შუამდგომლობას, ვალდებულია მიუთითოს, რა გარემოებათა დასადგენად არის განცხადებული შუამდგომლობა. სასამართლომ უნდა განიხილოს ყოველი განცხადებული შუამდგომლობა და გაიგოს პროცესის მონაწილეთა აზრი. თუ გარემოებები, რომელთა დასადგენადაც განცხადებულია შუამდგომლობა, საქმისათვის მნიშვნელოვანია, სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას. პირს, რომელსაც უარი უთხრეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უფლება აქვს განაცხადოს იგი სასამართლო გამოძიებისას საქმისათვის ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში.

რას წარმოადგენს სასამართლო გამოძიება?

სასამართლო გამოძიება იწყება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვით. კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში - სასამართლო სხდომის მდივანი კითხულობს დაზარალებულის საჩივარს.

თავმჯდომარე განსასჯელს განუმარტავს მისთვის წაყენებული ბრალდების არსს, მისი ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს, წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და ოდენობას. თუ განსასჯელი რამდენიმეა, ასეთი განმარტება ეძლევა ყოველ მათგანს. განსასჯელს უფლება აქვს უარი თქვას განმარტების მოსმენაზე. საქმეში განსასჯელის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობისას ასეთი უარის მიღება

შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით. თავმჯდომარე ეკითხება თითოეულ განსასჯელს, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ და, თუ ცნობს, - რაში. განსასჯელს უნდა განემარტოს, რომ იგი არ არის შეზღუდული წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით, არ არის ვალდებული პასუხი გასცეს დასმულ კითხვას და რომ პასუხის გაცემაზე უარი არ შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული. განსასჯელს უფლება აქვს დაასაბუთოს თავისი პასუხი ჩვენების ჩამოყალიბებლად. განსასჯელის დუმილი ნიშნავს, რომ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

თავმჯდომარე განსასჯელს ეკითხება, ცნობს თუ არა მისთვის წარდგენილ სამოქალაქო სარჩელს მთლიანად ან ნაწილობრივ. განსასჯელს უფლება აქვს დაასაბუთოს პასუხი. დუმილი მიჩნეულია სამოქალაქო სარჩელის არცნობად. მხარეებს უფლება აქვთ განსასჯელს დაუსვან დამაზუსტებელი კითხვები.

განსასჯელის დაკითხვას იწყებს დამცველი, დაცვის მხარის წარმომადგენელი; შემდეგ მას დაკითხავენ პროცესის სხვა მონაწილენი, რომლებიც არ წარმოადგენენ ბრალდების მხარეს, შემდეგ ბრალმდებელი, ბრალდების მხარის წარმომადგენელი და პროცესის სხვა მონაწილეები, ბოლოს კი მოსამართლე. ამის შემდეგ დამცველს უფლება აქვს დამატებითი კითხვები დაუსვას განსასჯელს.

სასამართლო გამოძიების დროს იკვლევენ მტკიცებულებებს, რომლებიც:

- წარმოადგინა ბრალდების მხარემ - პროკურორმა, დაზარალებულმა, მისმა წარმომადგენელმა, სამოქალაქო მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა;
- წარმოადგინა დაცვის მხარემ - განსასჯელმა, მისმა დამცველმა, განსასჯელის კანონიერმა წარმომადგენელმა, სამოქალაქო მოპასუხემ და მისმა წარმომადგენელმა;
- გამოთხოვილია სასამართლოს მიერ მხარეთა ინიციატივით.

ჯერ იკვლევენ ბრალდების მხარის, შემდეგ - დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. ბრალდებისა და დაცვის მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს. ბრალდების ან დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის რიგითობას განსაზღვრავენ პირები, რომლებმაც ისინი წარადგინეს. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, შემდეგ - მოსამართლენი. დაცვის მხარის წარდგენილ

მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს ბრალდების მხარე, შემდეგ კი - მოსამართლენი.

სასამართლოს ინიციატივით გამოთხოვილ მტკიცებულებას ჯერ ბრალდების მხარე იკვლევს, შემდეგ - დაცვისა. მოსამართლენი ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაში ბოლოს იღებენ მონაწილეობას.

ჯვარედინი დაკითხვის შემთხვევაში ბოლოს კითხვების დასმის უფლება აქვს იმ პირს, რომლის ინიციატივითაც არის გამოძახებული დასაკითხი პირი.

მტკიცებულების წარდგენა

სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან (პირველი ეტაპი), აგრეთვე იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე (მეორე ეტაპი).

მტკიცებულებას ჯერ ბრალდების მხარე წარადგენს, შემდეგ - დაცვის.. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს შეიძლება დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა ბრალდების მხარის თანხმობით. სასამართლო მტკიცებულებას არ წარადგენს, მაგრამ ხელს უწყობს მხარეებს მათ გამოთხოვაში.

მუჯიბრებიტობის პრინციპის შესაბამისად, ბრალდების ან დაცვის მხარე დაკითხავს მოწმეს, მოწინააღმდეგე მხარე კითხვებს უსვამს დაკითხულ მოწმეს (ჯვარედინი დაკითხვა) და მოწმის გამომძახებელი მხარე ისევ უსვამს მას კითხვებს (ხელახალი დაკითხვა).

ბრალდების მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც მითითებულია საბრალდებო დასკვნის დანართში. თუ ახალი მტკიცებულება გამოვლინდა სასამართლო განხილვისას, სასამართლო აცხადებს შესვენებას იმ დროით, რომელიც საჭიროა დაცვისათვის ამ მტკიცებულების გასაცნობად. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში შეიძლება გამოცხადდეს შესვენება, რათა ამ მტკიცებულებას გაეცნოს ბრალდების მხარე.

თუ დამკითხავი განსასჯელს, დაზარალებულს ან მოწმეს უსვამს შეურაცხმყოფელ, მისახვედრ ან ისეთ კითხვებს, რომლებიც საქმეს არ

ეხება, მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს განაცხადოს პროტესტი. სასამართლო აკმაყოფილებს ან უარყოფს პროტესტს. სასამართლოს უფლება აქვს ასეთი კითხვები თავისი ინიციატივითაც განარიდოს. კითხვის დასასმელად და დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად სასამართლო განსაზღვრავს გონივრულ ვადას.

მხარე თავად ირჩევს დაკითხვის მეთოდს: ჯერ თავისუფალი თხრობა, შემდეგ კითხვა-პასუხი, ან მხოლოდ კითხვა-პასუხი. მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება დაისვას, განხილულ იქნეს და გადაწყდეს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისა და განხილვიდან ამოღების საკითხი. აღნიშნული შუამდგომლობები უნდა დადგეს ერთად სასამართლო გამოძიების სტადიაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ.

დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრებისთანავე სასამართლო აცხადებს, რომ გადადის იმ მტკიცებულებათა განხილვაზე, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. მხარეები განსჯის საგნად აქცევენ განსასჯელის ადრინდელ ნასამართლობას, მის სამსახურებრივ დახასიათებას, მონაცემებს ოჯახსა და სამსახურში მისი ქცევის, დამსახურების, ჯილდოების შესახებ და სხვა მონაცემებს.

განსასჯელის დაკითხვა

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს განსასჯელს, მისცეს ჩვენება მისთვის წაყენებული ბრალდების გამო და საქმის სხვა გარემოებათა შესახებ. განსასჯელს განუმარტავენ, რომ მას უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება და ჩვენების მიცემაზე უარი არ შეიძლება გამოიყენონ მის საზიანოდ.

განსასჯელს დაკითხავენ პროცესის მონაწილენი შემდეგი თანმიმდევრობით: სახელმწიფო ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, მისი დამცველი, სხვა განსასჯელები და მათი დამცველები, ბოლოს კი სასამართლო.

განსასჯელს უფლება აქვს, თავმჯდომარის ნებართვით, მისცეს ჩვენება ყოველი მტკიცებულების გამოკვლევისას. დაკითხვისას განსასჯელს უფლება აქვს ისარგებლოს წერილობითი შენიშვნებითა და დოკუმენტებით. განსასჯელის მიერ მის ხელთ არსებული დოკუმენტების წაკითხვის შემდეგ ისინი გადაეცემა სასამართლოსა და მხარეებს

მიმოხილვისა და საქმეზე დასართავად. განსასჯელის დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ საქმეზე დართული ან მათ ხელთ არსებული საგანი ან დოკუმენტი და ამასთან დაკავშირებით განსასჯელს დაუსვან კითხვები.

მოწმისათვის მის უფლება-მოვალეობათა განმარტება

მოწმის დაკითხვის წინ თავმჯდომარე რწმუნდება მის ვინაობაში და განუმარტავს:

- უფლებას უარი თქვას გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის ან თავისი ახლო ნათესავების წინააღმდეგ;
- მოვალეობას თქვას სრული სიმართლე, რაც იცის ამ საქმესთან დაკავშირებით;
- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაზედაც ჩამოერთმევა ხელწერილი.

მოწმის დაკითხვის წესი

სრულწლოვანი მოწმე ჩვენების მიცემის წინ დებს ფიცს: *ვვიცავ ვილაპარაკო სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. მოწმეთა დაკითხვა ხდება ცალ-ცალკე და დასაკითხ მოწმეთა დაუსწრებლად. თავმჯდომარე არკვევს, თუ რა ურთიერთობა აქვს მოწმეს განსასჯელთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩელესთან, სამოქალაქო მოპასუხესა და საქმეში მონაწილე სხვა პირებთან, სთავაზობს მოწმეს თქვას ყველაფერი, რაც იცის ამ საქმესთან დაკავშირებით. მხარის შუამდგომლობით გამოძახებულ მოწმეს ჯერ დაკითხავს ამ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი, შემდეგ - ამ მხარის წარმომადგენელი სხვა პირები, ბოლოს კი - მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები და სასამართლო. ამის შემდეგ მოწმეს კითხვებს უსვამს მისი გამომძახებელი პირი.*

სასამართლოს ინიციატივით გამოძახებულ მოწმეს ჯერ დაკითხავს სასამართლო, შემდეგ - დაცვის მხარე, ბოლოს კი - ბრალდების მხარე.

14 (თოთხმეტ) წელზე ნაკლები ასაკის მოწმეს არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. იგი პირობას დებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს, რის შესახებაც კეთდება ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში. 16 (თექვსმეტ) წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრებისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზიდან უნდა გაიყვანონ, გარდა იმ

შემთხვევებისა, როცა სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საჭიროდ მიიჩნევს დარბაზში მის დარჩენას.

დაზარალებულის დაკითხვა

დაზარალებულის დაკითხვა ხდება მოწმის დაკითხვის წესით. დაზარალებულს, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას, ჯერ დაკითხავს ბრალდების მხარე, შემდეგ - დაცვის მხარე. დაზარალებულს, რომელმაც უარი თქვა ბრალდების მხარდაჭერაზე, ჯერ დაკითხავს დაცვის მხარე, შემდეგ - ბრალდების მხარე, ბოლოს კი - სასამართლო.

სასამართლო გამოძიების დამთავრება

მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე სასამართლო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს.

სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა

სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ იწყება სასამართლო კამათი. თუ სასამართლო კამათში მონაწილეობის უფლების მქონე რომელიმე პირი შუამდგომლობს, რომ მას მისცენ დრო გამოსვლისათვის მოსამზადებლად, თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას და აღნიშნავს მის ხანგრძლივობას.

სასამართლო კამათი მოიცავს გამოსვლებს, რომლებსაც რიგითობით წარმოთქვამენ სახელმწიფო ან კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი), სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.

თუ ბრალდებას მხარს უჭერს რამდენიმე ბრალმდებელი, ანდა საკმეში მონაწილეობს რამდენიმე დაზარალებული, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი, განსასჯელი, მაშინ თავმჯდომარე მათ აძლევს წინადადებასა და დროს, რათა შეათანხმონ გამოსვლათა რიგითობა. თუ აღნიშნული პირები ვერ შეთანხმდებიან, ტარდება კენჭისყრა. კამათისას მხარეებს უფლება აქვთ გამოთქვან აზრი განსასჯელის დამნაშავედ ცნობის ან უდანაშაულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელისა და განაჩენში გადასაწყვეტ სხვა საკითხების შესახებ. კამათის მონაწილეებს უფლება არა აქვთ თავიანთ გამოსვლებში დაიმოწმონ მტკიცებულება, რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლოზე.

რეპლიკა

მას შემდეგ, რაც სასამართლო კამათის ყველა მონაწილე გამოვა სიტყვით, თითოეულ მათგანს უფლება აქვს კიდევ ერთხელ, სასამართლოს მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, მოკლედ გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი ან შენიშვნა გამოსვლაში ნათქვამის თაობაზე.

განსასჯელის საბოლოო სიტყვა

სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ განსასჯელს ეძლევა საბოლოო სიტყვა. ამ დროს განსასჯელისათვის კითხვის დასმა დაუშვებელია. განსასჯელს უფლება აქვს საბოლოო სიტყვაში უარყოს ბრალდება, დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა ან ნაკლები ბრალი, ახსნას ჩადენილის მოტივები და გამოთქვას აზრი განაჩენში გადასაწყვეტ ყველა საკითხზე. სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განსასჯელის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ თავმჯდომარეს შეუძლია გააჩეროს განსასჯელი, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.

განსასჯელის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ადგილზე თათბირით.

განაჩენის დადგენა

განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სასამართლოს მიერ საქმის კოლეგიურად განხილვის შემდეგ განაჩენი დგინდება სათათბირო ოთახში, სადაც შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლენი და ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც აკეთებს ჩანაწერს. საქმის ერთპიროვნულად განხილვისას მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ და დაცულ ოთახში. განაჩენის დადგენისას სასამართლოს ან მოსამართლეს შეუძლია შესვენება, აგრეთვე დასვენება უქმე დღეებში.

განაჩენის დადგენის დროს დაუშვებელია საქმესთან დაკავშირებით სხვა პირებთან რაიმე ურთიერთობა, აგრეთვე ტელეფონით ან სხვა გზით თათბირი განაჩენში გადასაწყვეტ საკითხებზე. მოსამართლესა და ტექნიკურ თანამშრომელს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მოსამართლეთა თათბირის დროს გამოთქმული მოსაზრებანი.

განაჩენის დადგენისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

- ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
- არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;
- შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება;
- უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;
- რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს და რა ზომით;
- უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;
- უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა ოდენობით;
- გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;
- სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების ჩამორთმევის საკითხს;
- როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;
- საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიცვალოს ან შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება;
- ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები და რა ოდენობით;
- დამნაშავედ მიჩნეული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა.

გამამართლებელი განაჩენის დადგენისას სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გამართლებულისათვის გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა თუ სასამართლოს უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის მოსამართლეთა თათბირი. ყოველ საკითხზე თითოეულმა მოსამართლემ უნდა გასცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს. საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად. მოსამართლეს (მოსამართლეებს), რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, უფლება აქვს იგი წერილობით ჩამოაყალიბოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან 7 (შვიდი) დღე-ღამის განმავლობაში. განსხვავებულ აზრს წარუდგენენ თავმჯდომარეს და ურთავენ საქმეს.

განაჩენის სახეები

სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. განაჩენი შეიძლება იყოს ზოგი ბრალდების მიმართ გამამტყუნებელი, ხოლო სხვა ბრალდების მიმართ - გამამართლებელი.

გამამტყუნებელი განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ. გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.

გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოიტანონ:

- მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;
- სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით;
- სასჯელის დაუნიშნავად.

გამამართლებელი განაჩენი

გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის სახელის გამტეხ ფორმულირებებს.

გამამართლებელი განაჩენის საფუძვლებია:

- განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
- განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

განაჩენის შედგენა

განაჩენი იწერება სამართალწარმოების ენაზე ცხადი და გასაგები ფრაზებით. განაჩენი უნდა დაიწეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მას ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, განსხვავებული აზრის მქონეთა გარდა. განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელმოწერით დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.

განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება:

- განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით;
- განაჩენის დადგენის დრო და ადგილი;
- განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმდებელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები;
- განსასჯელის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები;
- სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც განსასჯელი მისცეს სამართალში.

გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად ცნო. ამასთან, მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო სხვა. აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის

შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებანი, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული, ან დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული, - ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები. სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს აგრეთვე სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლა, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება ან უარყოფა, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების გამოყენება.

გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

- განსასჯელის სახელი და გვარი;
- გადაწყვეტილება ჩადენილ დანაშაულში განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ;
- სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ;
- იმ სასჯელის სახე და ზომა, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;
- გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;
- გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, დაპატიმრების, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დროის ჩათვლის შესახებ;
- გადაწყვეტილება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
- მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;
- სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა;
- ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა;
- გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;
- განაჩენის გასაჩივრების უფლება;
- სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა;
- ქონების ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტა.

თუ განსასჯელს წაყენებული ჰქონდა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, რომელ ბრალდებაში გაამართლეს განსასჯელი და რომელში დასდეს მსჯავრი. სასჯელის მოხდისაგან

განსასჯელის განთავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში. ყველა შემთხვევაში განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას არ წარმოიშვას რაიმე ეჭვი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება:

ბრალდების არსი, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას განსასჯელის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულებას, რომელსაც ემყარებოდა განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება, ანდა რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა, ან რომ განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული, სამოქალაქო სარჩელის მიმართ გადაწყვეტილების მოტივები.

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

- განსასჯელის სახელი და გვარი;
- გადაწყვეტილება განსასჯელის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ;
- გადაწყვეტილება განსასჯელისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო თუ იგი პატიმარია, – გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ;
- გადაწყვეტილება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილებულა;
- გადაწყვეტილება ქონების ჩამორთმევის შესახებ;
- გადაწყვეტილება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ღონისძიებები განხორციელდა;
- გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანი;
- განაჩენის გასაჩივრების უფლება;
- რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს განაჩენი.

განაჩენის გამოცხადება

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) ბრუნდება სასამართლო სხდომის დარბაზში და თავმჯდომარე ან რომელიმე მოსამართლე აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს. თუ განაჩენი დაწერილია იმ ენაზე, რომელიც განსასჯელმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის, განაჩენის გამოცხადებისთანავე ან სინქრონიულად ის უნდა წაიკითხოს თარჯიმანმა განსასჯელის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე. თავმჯდომარე განსასჯელსა და პროცესის სხვა მონაწილეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. განსასჯელს განუმარტავენ აგრეთვე შეწყალების შესახებ შუამდგომლობის უფლებას.

პატიმრობაში მყოფი განსასჯელი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, თუ:

- განსასჯელი გაამართლეს;
- გაათავისუფლეს სასჯელისაგან;
- პირობითად დასდეს მსჯავრი;
- გადაუვადეს განაჩენის აღსრულება;
- დაუნიშნეს სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;
- სასჯელად დაუნიშნეს თავისუფლების აღკვეთა ისეთი ვადით, რომელიც არ აღემატება წინასწარ პატიმრობაში მსჯავრდებულის ფაქტობრივ ყოფნას.

**სამართალმდგომარეობანი, რომლებიც არეგულირებენ საქართველოს
უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლება-მოვალეობებს და ამ
სასამართლოში საქმის განხილვის პროცესულურ საკითხებს**

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. უზენაესი სასამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სხვა კანონების საფუძველზე.

უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულებას ახორციელებს კანონიერების, კოლეგიურობის, საქვეყნობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, მოსამართლეთა შეუცვლელობის, ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მართლმსაჯულების და სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებისას დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და სხვა კანონების შესაბამისად, ასევე თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმეთა განხილვისაგან, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაუშვებელია, გარდა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. არავის არა აქვს უფლება, მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. მისი გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დაიშვება მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფო ვალდებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსეული პირობები, დაიცვას მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაუშვებელია უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის შრომის ანაზღაურების შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა, ორგანიზაცია და უფლებამოსილება

უზენაეს სასამართლოში იქმნება:

- სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა;
- ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა;
- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- დიდი პალატა;
- პლენუმი;
- სადისციპლინო პალატა;
- უზენაეს სასამართლოში იქმნება უზენაესი სასამართლოს აპარატი.

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას სამი წევრის შემადგენლობით, სამი წლის ვადით ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. სადისციპლინო პალატის წევრთა კანდიდატურებს (მათ შორის, პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას) უზენაესი სასამართლოს წევრთაგან პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრის გათავისუფლების უფლება აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

თუ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა ორჯერ არ დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი სადისციპლინო პალატის წევრის კანდიდატურა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს მის დამტკიცებამდე, არა უმეტეს ექვსი თვისა, უზენაესი სასამართლოს წევრთაგან დანიშნოს სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელი.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საქმის განხილვას სადისციპლინო პალატაში კონკრეტული საჩივრის განხილვის დროით ჩამოაშოროს პალატის ის წევრი, რომელსაც ამ საჩივართან დაკავშირებით აქვს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების საფუძველი. ასეთ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს წევრთაგან ნიშნავს სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელს. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრები სრულყოფილად ახორციელებენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე.

უზენაესი სასამართლოს პალატა (გარდა სადისციპლინო პალატისა) არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს საქართველოს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საქმეებს, გადასინჯავს განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ასევე განიხილავს საჩივრებს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში. უზენაესი სასამართლოს პალატა გარდა დიდი პალატისა, საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ:

- საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;
- საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);
- საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან 2 (ორი) წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 (თორმეტი) მოსამართლისაგან.

დიდი პალატა საქმეებს განიხილავს 9 (ცხრა) მოსამართლის შემადგენლობით. საქმის განმხილველ შემადგენლობაში შედიან ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი იმავდროულად დიდი პალატის წევრები. დიდ პალატაში საქმის განხილვას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს პალატებს ჰყავთ თავმჯდომარეები. პალატის თავმჯდომარეს (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) ამ პალატის შემადგენლობიდან 5 (ხუთი) წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. სადისციპლინო პალატის თავმჯდომარეს ამ პალატის შემადგენლობიდან 3 (სამი) წლის ვადით ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე პალატის თავმჯდომარის (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთაგან (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრების, ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეთაგან.

პლენუმი უფლებამოსილია:

- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს დიდი პალატის შემადგენლობა;
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობა და მათი თავმჯდომარეები;
- დანიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი;
- საქართველოს პარლამენტს იმპიჩმენტის საქმეზე მისცეს დასკვნა თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დასკვნაში პლენუმი შემოიფარგლება იმ ქმედების იურიდიული შეფასებით, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერ მიჩნეულია დადგენილად;
- საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს რეკომენდაციები უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე;
- მოისმინოს და შეაფასოს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთა ინფორმაციები, უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების ანგარიშები, განიხილოს მათი საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები;
- შექმნას უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დანიშნოს მისი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია;
- უზენაესი სასამართლოს წევრთაგან შეარჩიოს და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას წარუდგინოს კანდიდატურები ამ კონფერენციის საკოორდინაციო საბჭოში ასარჩევად;
- შექმნას უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, დაამტკიცოს მისი დებულება, შემადგენლობა და სწავლული მდივანი;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში განსაზღვროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატის ოდენობა;
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი, მოხელეთა და სხვა მუშაკების თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები;

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის საკოორდინაციო საბჭოს მონაცემების გათვალისწინებით მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ;

- განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციებიდან გამომდინარე და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

პლენუმი ვალდებულია:

- დაიცვას და განამტკიცოს ხელისუფლების ერთ-ერთი და თანასწორუფლებიანი განშტოების სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცება.

პლენუმი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორმა მესამედმა. პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. პლენუმის სხდომებს ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით. პლენუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საქართველოს გენერალური პროკურორი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი. პლენუმის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები, შესაბამისი სპეციალისტები და სხვა პირები.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

- საერთო ხელმძღვანელობას უწევს უზენაესი სასამართლოს საქმიანობას;
- შეიძლება იყოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე; ასევე უძღვება უზენაესი სასამართლოს პლენუმისა და დიდი პალატის სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს პალატების სხდომებს;
- ხელმძღვანელობს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს და საკოორდინაციო საბჭოს;

- მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების სახელით, საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით, წარმართავს ურთიერთობას ხელისუფლების სხვა განშტოებებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და მოსახლეობასთან;
- წარმართავს უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს აპარატის მოხელეებს და სხვა მუშაკებს;
- განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეს, რომელიც გასცემს ბრძანებას „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების თაობაზე;
- მოსამართლეთა მიმართ აღძრავს დისციპლინურ დევნას და ახორციელებს სხვა დისციპლინურ უფლებამოსილებებს;
- წყვეტს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკის საკითხებს;
- ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს წევრთა საკვალიფიკაციო ატესტაციას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი პირველი მოადგილის დროებით არყოფნისას თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისივე ბრძანებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

სამოსამართლო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების მიზნით უზენაეს სასამართლოში იქმნება აპარატი, რომლის სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის წესი განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს რეგლამენტით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის მიზნით უზენაეს სასამართლოში იქმნება პრესსამსახური. უზენაეს სასამართლოში იქმნება ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომელიც აანალიზებს, განაზოგადებს და განავრცობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას.

უზენაესი სასამართლოს აპარატში გათვალისწინებულია მოსამართლის

თანაშემწის თანამდებობა. მოსამართლის თანაშემწე იღებს მოქალაქეებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომებზე განსახილველად, მოიძიებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურას და სასამართლო პრაქტიკის მასალებს, ადგენს სათანადო დოკუმენტების პროექტებს, ასრულებს მოსამართლის სხვა სამსახურებრივ დავალებებს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ან/და აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად ან უზენაესი სასამართლოს კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის წარდგინებით.

უზენაესი სასამართლოს აპარატის მოხელე და დამხმარე მოსამსახურე სარგებლობენ ყველა იმ სოციალური გარანტიით, რომელიც აქვთ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მოხელეს და დამხმარე მოსამსახურეს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრთა თანამდებობაზე გამწესება

უზენაესი სასამართლოს წევრად შეიძლება გამწესდეს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 (ხუთი) წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის კანდიდატურა. ამ გამოცდისაგან თავისუფლდება აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ეკრძალება პოლიტიკური გაერთიანების წევრობა და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევენ საქართველოს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ასარჩევი კანდიდატურა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგინოს ნებისმიერი კანდიდატურა, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს. უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე, საქართველოს პრეზიდენტის თანდასწრებით საზეიმო ვითარებაში დებს ფიცს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე, საქართველოს პრეზიდენტის თანდასწრებით საზეიმო ვითარებაში დებს ფიცს, თუ იგი პირველად აირჩა მოსამართლის თანამდებობაზე ან მას უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევამდე შეწყვეტილი ჰქონდა მოსამართლის უფლებამოსილება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება ხდება იმპიჩმენტის წესით. საქართველოს კონსტიტუციის დარღვევისათვის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია უზენაესი სასამართლოს ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით

თანამდებობიდან გადააყენოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამ საკითხის განხილვისას უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომას უძღვება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნისას უზუცესი მოადგილე. უზენაესი სასამართლოს წევრს ვადაზე ადრე უფლებამოსილებას უწყვეტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

- უფლებამოსილების ვადის გასვლა;
- პირადი სურვილი;
- ზედიზედ ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განუხორციელებლობა;
- დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;
- მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
- საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- 65 წლის ასაკის მიღწევა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტს მიმართოს წარდგინებით უზენაესი სასამართლოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლამდე);

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან/და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჩამოცილებული უნდა იქნეს საქმეთა განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი წარდგინების საფუძველზე იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინური სახდელის სახეები, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონით.

უზენაესი სასამართლოს წევრთა საკვალიფიკაციო ატესტაცია

უზენაესი სასამართლოს წევრთა საკვალიფიკაციო ატესტაცია ტარდება მოსამართლის კვალიფიკაციის, სამოსამართლო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შესაფასებლად, სასამართლო სტრუქტურებში მისი სწორად გამწესების და მისი კარიერის საკითხების გადასაწყვეტად. უზენაესი სასამართლოს წევრთა საკვალიფიკაციო ატესტაციას ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მოსამართლეთა სოციალურ-სამართლებრივი დაცვის გარანტიები

მოსამართლეთა შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსა და კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატისაგან.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პირობებს. თუ მოსამართლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, მოსამართლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების დაცვას.

სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩარიცხული მოსამართლე, ქვეყანაში გამოცხადებული მობილიზაციის ან ომის დროს, აგრეთვე სამხედრო შეკრებაზე გაწვევას არ ექვემდებარება.

მოსამართლედ გამწესება არ იწვევს პირის საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობის შეწყვეტას. პირი, რომელიც გამწესდა მოსამართლედ, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების

განსახორციელებლად ქალაქში (რაიონში) არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს.

მოსამართლე სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. უცხო ქვეყანაში მივლინებისას მოსამართლეს მიეცემა დანამატი დღიური ანაზღაურების 30 (ოცდაათი) პროცენტის ოდენობით.

დაუშვებელია მოსამართლისათვის შრომის ანაზღაურების შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 (ათი) წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. მოსამართლის დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. მოსამართლეს, რომელმაც შრომის უნარი დაკარგა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიეცემა დახმარება:

- შრომის უნარის ნაწილობრივ დაკარგვისას – 1 (ერთი) წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;
- შრომის უნარის სრულად დაკარგვისას – 5 (ხუთი) წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მოსამართლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა და იგი ხორციელდება საერთო სასამართლოების ბიუჯეტიდან მოსამართლის უფლებამოსილების ვადით.

მოსამართლის სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციას შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით.

საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავის მოვალეობათა შესრულებისას დამოუკიდებელია. იგი ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით. სახელმწიფო ვალდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები. სახელმწიფო უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და სტრუქტურა

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისაგან - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისაგან, რომელთაგან აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი.

საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს საქართველოს პარლამენტი ირჩევს სითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად გამწესებისას საჭიროა მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა.

ვინ შეიძლება იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 (ოცდაათი) წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევისას საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დანიშვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას.

სასამართლოს სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ასარჩევი კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ: პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომელიც არ შედის არც ერთ ფრაქციაში.

პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრის წინ პარლამენტის თავმჯდომარე დამსწრეთ აცნობს კანდიდატთა სიას და მათ წერილობით თანხმობას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევის თაობაზე. ყოველ ასარჩევ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. კენჭისყრა ფარულია.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ. კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ პარლამენტის სითი შემადგენლობის არანაკლებ - სამი მეხუთედისა.

თუ არჩევანში მონაწილეობს სამი კანდიდატი და რომელიმე მათგანმა ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, პარლამენტის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქცია ან პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფი

უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე იგივე კანდიდატურა დასამტკიცებლად წარმოადგინოს პირველი კენჭისყრიდან ათი დღის შემდეგ. თუ პირველი კენჭისყრა ტარდება პარლამენტის სესიის ბოლო დღეს ან დარჩენილ ვადაში შეუძლებელია კანდიდატის არჩევა, ხელახალი კენჭისყრა ეწყობა პარლამენტის მომდევნო სესიის პირველსავე სხდომაზე. თუ არჩევნებში მონაწილეობს სამზე მეტი კანდიდატი და მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა ვერ აირჩა, ეწყობა ხელახალი კენჭისყრა. ამ შემთხვევაში კენჭს უყრიან იმ სამ კანდიდატს, რომლებმაც პირველ ტურში სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩათვლება ის სამი კანდიდატი, რომელიც პლენუმის დამსწრე წევრთა ხმათა ორ მესამედს მიიღებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 (ათი) წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თანამდებობის დაკავებამდე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანდასწრებით საკონსტიტუციო სასამართლოში დებს ფიცს *"ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ კეთილსინდისიერად აღვასრულო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოვალეობა და მისი აღსრულებისას დავემორჩილო მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არავის და არაფერს სხვას, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა"*. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება იწყება მის მიერ ფიცის დადების დღიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ ფიცის დადებიდან ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა, რომელიც ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 5 (ხუთი) წლის ვადით, ამავე წესითა და ვადით აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ორი მოადგილე.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს ერთი თვისა და არა უგვიანეს ერთი კვირისა აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას დასახელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები არჩეულად ჩაითვლებიან, თუ ფარული კენჭისყრის დროს თითოეულ მათგანს მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5 (ხუთმა) წევრმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი, პლენუმის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი. კოლეგიის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. კოლეგიის შემადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები კოლეგიებში რაც შეიძლება თანაბრად უნდა იყვნენ წარდგენილი. კოლეგიის შემადგენლობა უნდა გადახალისდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევიდან 10 (ათ) დღეში. კოლეგიის შემადგენლობა შეიძლება გადახალისდეს აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობის ორი ან ორზე მეტი წევრით შეცვლიდან ერთი თვის ვადაში. თუ კოლეგიის მიერ საქმის განხილვაში ვერ მონაწილეობს ამ კოლეგიის ორი წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია ამ საქმის განხილვისათვის კოლეგიას დროებით მიამაგროს მეორე კოლეგიის ერთ-ერთი წევრი (გარდა კოლეგიის თავმჯდომარისა), რომელიც არ შეიძლება დაინიშნოს მომხსენებელ მოსამართლედ.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე:

- წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს და აპარატის დებულებას რეგლამენტსა და აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს;
- ანაწილებს საქმეებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დადგენილი წესით;
- წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურებს;
- საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დადგენილი წესით იწვევს პლენუმს, უძღვება მის სხდომებს, ხელს აწერს პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას, განჩინებას, დასკვნას, საოქმო ჩანაწერსა და სხდომის ოქმს;
- საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის საქმიანობას, კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს აპარატის მუშაკებს;
- განკარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს საბიუჯეტო ასიგნებებს;

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე უძღვება კოლეგიის სხდომას.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ ფუნქციებს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას, თავმჯდომარის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე, ასეთი დავალების არარსებობისას კი - უხუცესი მოადგილე. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შესრულებისას ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მის მოვალეობას ასრულებს უხუცესი წევრი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი აირჩევა პლენუმზე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთაგან 5 (ხუთი) წლის ვადით. მდივანი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების გარდა:

- ახორციელებს პლენუმისა და კოლეგიების სხდომების მოსამზადებელ

ლონისძიებებს;

- ორგანიზებას უწევს პლენუმისა და კოლეგიების სხდომათა ოქმების წარმოებასა და გაფორმებას;
- ხელს აწერს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით;
- იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მომდინარეობის თაობაზე;
- ხელს უწყობს საჭირო ინფორმაციის კომპიუტერული წესით დამუშავების სისტემის ჩამოყალიბებას;
- ორგანიზებას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკვა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობის მიცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება აღდგება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

- ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 (სამი) თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას;
- დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გარდა სხვა ანაზღაურებად საქმიანობას;

- ჩაიდინა მოსამართლისთვის შეუფერებელი საქციელი;
- დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- სასამართლომ ცნო ქმედუქუნაროდ;
- მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- გარდაიცვალა, ან სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- გადადგა თანამდებობიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან/და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი უნდა გადადგეს სხვა თანამდებობიდან ან/და შეწყვიტოს აკრძალული საქმიანობა ფიცის დადების დღიდან.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება იმ დროს, როდესაც იგი მონაწილეობს საქმის განხილვაში, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდება საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს:

- საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და

საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები;

- დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;
- დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;
- საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი;
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;
- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი;
- დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;
- საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი.

თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეული იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი

აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული და ფიზიკური პირი, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მათი უფლებამოსილებიდან წარმოდგება.

საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები უფლებამოსილი არიან საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მიიღონ ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოდან, იურიდიული და ფიზიკური პირისაგან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან და საინფორმაციო ცენტრიდან, რეგლამენტის შესაბამისად მოიწვიონ სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად. საკონსტიტუციო სასამართლოს და მისი წევრების უფლებამოსილებიდან გამომდინარე მოთხოვნის შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით. არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საერთო წესი

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით პირადი, პროფესიული, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის

მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს, დახურულ სხდომაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეთა შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს სხვა პირებსაც.

სასამართლო სხდომაზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ შესრულებია 16 (თექვსმეტი) წელი. თუ ის არ არის მოწმე, აგრეთვე შეიარაღებული პირი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს იცავენ და ისინი დაიშვებიან მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენით, თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევა. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის ან/და მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე არსებითად განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. სასამართლო ვალდებულია მიუჩინოს თარჯიმანი პროცესის იმ მონაწილეს, რომელიც ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას.

კონსტიტუციური სამართალწარმოების დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების წერილობით შეტანა. კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის ან წარდგინების ავტორის აზრით ადასტურებენ სარჩელის ან წარდგინების საფუძველიანობას.

საქმის განხილვისას წესრიგის დამრღვევ პირს სხდომის თავმჯდომარე აძლევს გაფრთხილებას. წესრიგის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ან სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოვლენის შემთხვევაში დამრღვევი პირი სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება გამძევებულ იქნეს სხდომათა დარბაზიდან, რაც არ აზრკოლებს საქმის

განხილვა-გადაწყვეტას. პირი სხდომიდან გამევეზულად ითვლება სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამევეზულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა. მხარის გამევეზების შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამევეზულ მხარეს თავად მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს: საქართველოს პრეზიდენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი კომპეტენცია ან დაირღვა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ მიიჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.

მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს.

საკონსტიტუციო სასამართლოში რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

- საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით ან ამომრჩეველთა მოთხოვნით დანიშნა, ან საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის მიუხედავად არ დანიშნა რეფერენდუმი;
- საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ამომრჩეველთა მოთხოვნის მიუხედავად არ დანიშნა რეფერენდუმი;
- საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს;
- საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს სახალხო დამცველს,

საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

- საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი;
- საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე იმ მოქალაქეს, ვისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტზე ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს იმ აქტს, რომელიც არ არის დაკავშირებული საქმის განხილვასთან, ხელს აწერენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი. საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს არსებითად წყვეტს წერილობით. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების შესახებ იღებს საოქმო ჩანაწერს, ხოლო მიუღებლობის შესახებ – განჩინებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა ექვსი წევრი. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე დასკვნა მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა სამი წევრი. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

მხარეს უფლება აქვს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილებაზე, თუ:

- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში.

საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც დგება წერილობითი ფორმით. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრი თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმს და ავტორის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად ქვეყნდება პრესაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავებულ აზრთან ერთად სრული სახით ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მონაწილეობს განსაკუთრებული ჩაცმულობით, ჩაცმულობის ფორმას ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი.

საქმის წარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს ღია სხდომაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით სახელმწიფო. პირადი, პრფესიული საიდუმლოებების დაცვის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლო სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს. აუცილებლობის შემთხვევაში, დახურულ სხდომაზე შეიძლება დაესწრონ მოწმეები, ექსპერტები და თარჯიმნები. მხარეთა შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს სხვა პირებსაც. სასამართლო სხდომაზე რადიო, ტელე, აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერების გაკეთება დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს თანხმობით.

საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ ამ საქმის განხილვაში უშუალო მონაწილე მოსამართლეებს. თუ რომელიმე მოსამართლე შეიცვალა, საქმის განხილვა თავიდან იწყება. საქმის განხილვაში მონაწილე რომელიმე მოსამართლის ჩამოცილება არ აბრკოლებს საქმის შემდგომ განხილვას, თუ დარჩენილთა რაოდენობა ქმნის მოსამართლეთა კვორუმს.

სასამართლო სხდომა, ასევე მოსამართლეთა თათბირი სამუშაო დღის განმავლობაში შეუწყვეტლად მიმდინარეობს. სასამართლო უფლებამოსილია გადადოს ან შეაჩეროს საქმის განხილვა, თუ აუცილებელია დამატებით მოწმეთა და სპეციალისტთა გამოძახება, ექსპერტიზის ჩატარება, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, ასევე საქმის განხილვის დამაბრკოლებელ სხვა გარემოებათა აცილება. საქმის განხილვა გრძელდება მისი შეჩერების მომენტიდან. საქმის განხილვის მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადადებული ან შეჩერებული საქმის განხილვის დასრულებამდე მონაწილეობა მიიღოს სხვა საქმის განხილვაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია უფლებამოსილია გადაწყვიტოს კონსტიტუციური სარჩელის ან/და კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი სასამართლოს პლენუმის/კოლეგიის მიერ სხვა კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის ან განხილვის დროს.

სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით. თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების დროს სათათბირო ოთახში უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლენი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში. საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს უფლება არა აქვს მონაწილეობა არ მიიღოს კენჭისყრაში და თავი შეიკავოს კენჭისყრისას.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება და საქმეთა განსახილველად მიღება

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანა. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებად ითვლება განმწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა.

კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელეთა მიერ (თუ მოსარჩელე საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს

პარლამენტის წევრთა ჯგუფია, მათი ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს.

სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს:

- საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
- მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება და მისამართები;
- სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი;
- საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი, ან რომელთა დარღვევითაც იქნა მიღებული/გამოცემული, ხელმოწერილი, გამოქვეყნებული ან ამოქმედებული საქართველოს საკანონმდებლო აქტი ან საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
- მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას;
- მოთხოვნის არსი;
- საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს ამღვეს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას;
- კონსტიტუციურ სარჩელზე დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ.
- მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ, თუ მოსარჩელე მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას.

კონსტიტუციურ სარჩელს უნდა ერთვოდეს:

- სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი;
- მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი მათი მისამართების მითითებით;
- საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ;
- კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.

საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელსა და კონსტიტუციურ წარდგინებას, საქმის მასალების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარის შემოწმების შემდეგ, რეგისტრაციაში ატარებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომელი. მათში

არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით და მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს ეძლევა 15 (თხუთმეტი) დღე უზუსტობის გამოსასწორებლად. თუ ამ ვადაში უზუსტობა არ გამოსწორდა, სარჩელისა და წარდგინების რეგისტრაცია უქმდება. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

საქმის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი საქმეს არსებითად განიხილავს პლენუმის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. პლენუმი უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 6 (ექვსი) წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია საქმეს არსებითად განიხილავს კოლეგიის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს კოლეგიის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

კოლეგია უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სულ ცოტა 3 (სამი) წევრი.

საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე:

- გახსნის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება არსებითად;
- ამოწმებს მოსამართლეთა კვორუმს და სხდომის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი სხდომის მდივნის გამოცხადებას;
- ამოწმებს მხარეთა უფლებამოსილებას;
- არკვევს სამართალწარმოების მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოცხადებას და მათი გამოუცხადებლობის მიზეზს;
- აცხადებს საქმის განხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და სხდომის მდივანს;
- განუმარტავს სამართალწარმოების მონაწილეებს "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ განსაზღვრულ მათ უფლებასა და მოვალეობებს;
- არკვევს სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოძახება ან დამატებითი

მტკიცებულებების გამოთხოვა. ამ საკითხებზე შემოსულ შუამდგომლობებს სასამართლო წყვეტს სხდომის დარბაზში ხმათა უმრავლესობით;

- აცხადებს საქმის არსებითად განხილვის დაწყებას.

მხარეს უფლება აქვს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის აცილებაზე, თუ:

- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში.

საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის მომხსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოხსენებით. საქმის მომხსენებელი ვალდებულია:

- საკონსტიტუციო სასამართლოს მოახსენოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისა და საქმის არსებითად განხილვის საფუძველი, აგრეთვე საქმეში არსებული მასალების შინაარსი;
- უპასუხოს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.

საქმის მოხსენების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს ჯერ მოსარჩელის, ხოლო შემდეგ მოპასუხის განმარტებებს. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს მისცეს შეკითხვები. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლო მოისმენს მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებებს, აქვეყნებს საქმეში არსებულ და საქმის განხილვის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს. ექსპერტთა და სპეციალისტთა დაკითხვამდე სხდომის თავმჯდომარე ადგენს მათ ვითარებას და წერილობით აფრთხილებს მათ ჩვენების მიცემაზე უარისა და წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებების ან ყალბი დასკვნისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. თავმჯდომარე აგრეთვე აფრთხილებს თარჯიმანს შეგნებულად არასწორი თარგმნისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს

მოწმეებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე და საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით მოხსნას მხარეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთათვის მიცემული შეკითხვა.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევთა მიმართ ზომების გამოყენება, აგრეთვე წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდებასა და ჩვენებაზე უარის თქმის ან წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს საქმის განხილვის მონაწილეთა დასკვნით სიტყვებს. ჯერ გამოდიან მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი და ადვოკატი. დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე უცხადებს საქმის განხილვის მონაწილეებს და სხდომის დარბაზში მყოფ სხვა პირებს.

საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაზე ან დასკვნაზე ხელმოწერის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას ან დასკვნას აცხადებს სხდომის დარბაზში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა ცხადდება საქართველოს სახელით. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას განჩინება, საოქმო ჩანაწერი, გადაწყვეტილება ან დასკვნა არ ცხადდება სხდომის დარბაზში. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გამოაცხადოს გადაწყვეტილების ან დასკვნის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი. ამ შემთხვევაში მხარეებს მოთხოვნისთანავე გადაეცემა გადაწყვეტილების ან დასკვნის სრული ტექსტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. გადაწყვეტილებას ან დასკვნას საკონსტიტუციო სასამართლო საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ მტკიცებებს, რომლებიც განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე ან წარდგენილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ან დასკვნის ნაწილში აღინიშნება:

- საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
- გადაწყვეტილების ან დასკვნის გამოტანის თარიღი და ადგილი;
- სასამართლოს შემადგენლობა და სხდომის მდივანი;
- საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი.

აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს:

- კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მოთხოვნა;
- მოპასუხის პოზიცია.

სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი;
- მტკიცებულებანი, რომლებსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნები;
- მოტივები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს საწინააღმდეგო მოსაზრებას, მტკიცებულებას;
- ნორმები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების ან დასკვნის მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს:

- საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას კონსტიტუციური სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მისი უარყოფის შესახებ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას საერთო სასამართლოს მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის ან კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას საქართველოს პარლამენტის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული აქტის ან მისი ნაწილის საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ

შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან შესაბამისობის თაობაზე ან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ;

- საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა არაკონსტიტუციურად ცნობის ან კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული თანამდებობის პირის ქმედობის კონსტიტუციურობის შესახებ;
- გადაწყვეტილების ან დასკვნის სამართლებრივ შედეგებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 (თხუთმეტ) დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტ) დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და მდივნის თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი არ უნდა იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის 90 (ოთხმოცდაათ) პროცენტზე ნაკლები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისა კი – 85 (ოთხმოცდახუთ) პროცენტზე ნაკლები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს მიეცემა შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატი მისი თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) პროცენტის ოდენობისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს, მდივანსა და წევრებს მიეცემათ შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატის 50 (პროცენტით) პროცენტის ოდენობით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობა 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღეა. შვებულებაში გასვლისას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მიეცემა მატერიალური დახმარება მისი ორი თვის ფულადი გასამრჯელოს ოდენობით.

საზღვარგარეთ მივლინებისას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და სასამართლოს წევრებს მიეცემატ დანამატი, შესაბამისად დღიური ანაზღაურების 50, 40 და 35 პროცენტი.

დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისათვის ფულადი გასამრჯელოსა და სხვა მატერიალური შეღავათების შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანსა და წევრებს (შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი) სამისდღეშიო პენსია მათი ფულადი გასამრჯელოს სრული ოდენობით ენიშნებათ თუ:

- დაუმთავრდათ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა;
- საკონსტიტუციო სასამართლოში განწესების სულ ცოტა 5 (ხუთი) წლის შემდეგ გადადგნენ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობიდან და აქვთ 20 (ოცი) წლის სამუშაო სტაჟი მაინც.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ან ყოფილი წევრის გარდაცვალებისას, აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობისას მის კმაყოფაზე მყოფ მეუღლეს ან/და შვილებს 18 (თვრამეტი) წლის ასაკის მიღწევამდე ერთობლივად ენიშნებათ პენსია გარდაცვლილის ფულადი გასამრჯელოს (პენსიის) სრული ოდენობით.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ან ყოფილი წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვისას მის კმაყოფაზე მყოფ მეუღლეს ან/და შვილებს ერთობლივად ეძლევათ ან ერთჯერადი ფულადი დახმარება მისი ათი წლის ფულადი გასამრჯელოს სრული ოდენობით, ან ერთობლივად

ენიშნებათ პენსია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ან ყოფილი წევრის ფულადი გასამრჯელოს ან პენსიის სრული ოდენობით.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები

მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

მოსამართლე უნდა იყოს კანონისა და მოსამართლის ფიცის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას - კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტი. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ან/და კრიტიკის შიშით.

მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად.

სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან

შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად.

მოსამართლე საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლისა და კოლეგის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე, აგრეთვე უპატივცემულოდ არ უნდა იხსენიებდეს სხვა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ან/და საქმით დაინტერესებული პირის მიღება ან მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია პროკურორის, ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს.

მოსამართლის კომპეტენტურობა და გულისხმიერება

მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების

კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.

მოსამართლე პატივს უნდა სცემდეს სასამართლოს პერსონალს, აგრეთვე თვალყურს ადევნებდეს, რომ სასამართლოს მოხელე იცავდეს პროფესიული ეთიკის ნორმებს, თავშეკავებულად მოქმედებდეს, არ იჩენდეს რაიმე მიკერძოებას ან არ ავლენდეს განსხვავებულ დამოკიდებულებას მხარეების მიმართ.

მოსამართლე ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე.

მოსამართლემ პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებების საზიანოდ. დაუშვებელია მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც.

სამოსამართლო ფუნქციების სათანადო კომპეტენტურობით განხორციელების მიზნით მოსამართლე ვალდებულია პერიოდულად იმაღლებდეს პროფესიული ცოდნის დონეს და სისტემატურად ეცნობოდეს მის სფეროში მიმდინარე სიახლეებს. იგი აგრეთვე ხელს უნდა უწყობდეს სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ამაღლებას, აძლევდეს მათ საჭირო რჩევა-დარიგებას.

მოსამართლის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოსამართლემ აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

მოსამართლე, მასმედიასთან ურთიერთობის დროს, უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველ, განხილვის პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუ ეს არ ეხება საქმის წარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს.

სპიკერი მოსამართლე, მედიის მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის გარეშე, გასცემს ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობაზე, აგრეთვე,

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაშუქებას.

მოსამართლემ მასმედიისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს არ უნდა გაახმაუროს კოლეგებს შორის ამა თუ იმ საკითხზე წამოჭრილი დავა ან დისკუსია. ამასთან, განცხადების გაკეთებისას არ უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ მხარის პოპულარობა და ამ საკითხით მასმედიის თუ ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება.

მოსამართლე საჯაროდ ან პირად საუბარში უნდა მოერიდოს ისეთ განცხადებას, რომელსაც შეუძლია წარმოშვას საფუძვლიანი წინაპირობა, რომ ეს განცხადება ხელს შეუშლის საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას.

მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ამასთან, მოსამართლემ სასამართლო მოხელესაც უნდა ურჩიოს თავი შეიკავოს ამგვარი განცხადების გაკეთებისაგან.

მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რომ საზოგადოებამ არ აღიქვას იგი მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან თუ ჯგუფთან მიმართებაში. ამასთან, მოსამართლე ყურადღებით უნდა მოეკიდოს საჯარო შეხვედრებზე გამოსვლას, რომ მისი ესა თუ ის მოსაზრება არ ჩაითვალოს პოლიტიკურ მხარდაჭერად ან მიკერძოებად.

მოსამართლის არასამოსამართლო საქმიანობა

მოსამართლის საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობას, დასაშვებია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მოსამართლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს, არ უქმნის საფრთხეს სასამართლოს ავტორიტეტს, არ ქმნის ეჭვის საფუძველს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ ქვეყნის წესებს.

კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, მოსამართლე არ შეიძლება ეწეოდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისა, თუ იგი

ხელს არ უშლის სამოსამართლო უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას.

მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს მის სამსახურებრივ სტატუსსა და მოვალეობასთან შეუთავსებელ გარიგებაში.

მოსამართლე არ შეიძლება გახდეს ისეთი გაერთიანების წევრი, რომელიც ერთგულების ფიცის დადებას მოითხოვს, ანდა ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის რეპუტაციას, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.

მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი ან ასრულებდეს პარტიულ დავალებას, ან პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით გამოდიოდეს სიტყვით.

მოსამართლე საჯაროდ არ უნდა ამჟღავნებდეს თავის პოლიტიკურ შეხედულებას. აკრძალულია მისი მხრიდან ნებისმიერი პოლიტიკური პროპაგანდა როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ. მან ასევე საჯაროდ არ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის მიმართ. ამასთან, მოსამართლემ სასამართლოს მოხელესაც უნდა ურჩიოს, თავი შეიკავოს პოლიტიკური საქმიანობის ან პოლიტიკური შეხედულების დემონსტრირებისაგან. მოსამართლეს ეკრძალება გაფიცვა. მას არა აქვს უფლება, რაიმე მოტივით, კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, უარი თქვას ან სხვას მოუწოდოს სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობისაკენ.

**საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური
პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება**

საერთო სასამართლოს მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

დისციპლინური გადაცდომის სახეებია:

- მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა. კანონის უხეში დარღვევად ჩაითვლება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და

შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს;

- კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა;
- მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;
- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება;
- მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება;
- დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა;
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა;
- შრომის დისციპლინის დარღვევა.

კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

დისციპლინური სამართალწარმოების ვადები

მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 (ხუთი) წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების (გადაწყვეტილების) მიღების დღიდან – 1 (ერთი) წელი.

დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახეები

- შენიშვნა;
- საყვედური;
- მკაცრი საყვედური;
- მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება;
- საერთო სასამართლოს მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხული მოსამართლის რეზერვიდან ამორიცხვა.

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები:

- მოსამართლისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;
- სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება.

დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალობა

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები, სახელმწიფო მოხელეები და მათი დამხმარე პერსონალი ვალდებული არიან დაიცვან ყველა ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური სამართალწარმოების დროს, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საქმეებს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია (შემდგომში – სადისციპლინო კოლეგია).

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.

სადისციპლინო კოლეგია შედგება 6 (ექვსი) წევრისაგან, რომელთაგან 3 (სამი) წევრი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეა, ხოლო 3 (სამი) – არ არის მოსამართლე. სადისციპლინო კოლეგიაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 (სამი) მოსამართლე. სადისციპლინო კოლეგიაში იმ წევრებს, რომლებიც არ არიან მოსამართლეები, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საქართველოს

იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სადისციპლინო კოლეგიის წევრები აირჩევა 2 წლით.

სადისციპლინო კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც თანამდებობრივად შედის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელსაც არა აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

მოსამართლე არ შეიძლება იყოს სადისციპლინო კოლეგიის წევრი, თუ მას ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

სადისციპლინო კოლეგიის წევრის დისციპლინურ საქმეს სადისციპლინო კოლეგია განიხილავს ამ წევრის მონაწილეობის გარეშე.

სადისციპლინო კოლეგიის წევრი შესაბამისი მოვალეობების შესრულებისათვის დამატებით ანაზღაურებას ან ხელფასის დანამატს არ იღებს.

სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ფარგლები

სადისციპლინო კოლეგიას უფლება არა აქვს გასცდეს დისციპლინური ბრალდების ფარგლებს (ბრალდების ფაქტობრივ მხარეს). მას აგრეთვე არა აქვს უფლება სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე არსებითი მსჯელობის საგნად აქციოს ის ფაქტები ან გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება მოსამართლისათვის წაყენებულ დისციპლინურ ბრალდებას, ან/და ცნოს მოსამართლე ბრალეულად ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, რომლის გამოც დისციპლინური ბრალდება მისთვის არ წაუყენებიათ, და დააკისროს მას დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმე განიხილება კოლეგიურად. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კოლეგიის არანაკლებ 4 (ოთხი) წევრი. სადისციპლინო კოლეგია

დისციპლინურ საქმეს განხილავს მიუკერძოებლად და ობიექტურად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე.

სადისციპლინო კოლეგიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია – კონფიდენციალური. სადისციპლინო კოლეგიის წევრი და დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი ვალდებული არიან დაიცვან ამ ინფორმაციის კონფიდენციალობა.

დისციპლინური საქმის განსახილველად მომზადება

სადისციპლინო კოლეგია, რომელსაც დაევალია დისციპლინური საქმის განხილვა, წინასწარ ეცნობა მას და ნიშნავს კოლეგიაში საქმის განხილვის დღეს. სადისციპლინო კოლეგიამ საქმის განხილვის ადგილი, დღე და საათი დროულად უნდა აცნობოს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემ ორგანოს ან თანამდებობის პირს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მოსამართლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია დისციპლინური საქმე. სადისციპლინო კოლეგია იწვევს მოწმეებსა და სხვა პირებს საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და აცნობებს მათ საქმის განხილვის ადგილს, დღესა და საათს.

სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვა

სადისციპლინო კოლეგია დისციპლინურ საქმეს განხილავს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე. სხდომას თავმჯდომარეობს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მომხსენებელი წევრი. სადისციპლინო კოლეგიის სხდომას ხსნის კოლეგიის სხდომის თავმჯდომარე. დისციპლინური საქმის განხილვა იწყება კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის გადმოცემული დისციპლინური საქმის წარმოების ეტაპები და შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები. მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვა ეძლევათ მხარეებს, პირველად – მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემი ორგანოს ან თანამდებობის პირის წარმომადგენელს დისციპლინური ბრალდების წარსადაგენად, შემდეგ – დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს წაყენებულ ბრალდებაზე საპასუხოდ. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის დახმარებით. მას შეუძლია დამცველად მიიწვიოს ადვოკატი, ნებისმიერი მოსამართლე ან სხვა წარმომადგენელი. მხარეებს უფლება აქვთ სრულად გამოხატონ და

სათანადოდ დაიცვან თავიანთი პოზიციები, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები, წარადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებები, აღძრან შუამდგომლობები სხვადასხვა დოკუმენტების, მასალების ან ინფორმაციის გამოქვეყნების, ან/და სხდომაზე მიწვეულ პირთა ინფორმაციების მოსმენის, დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის ან დამატებითი პირების მიწვევისა და მათი ინფორმაციების მოსმენის, შესაბამისი სასამართლო საქმის გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე განახორციელონ სხვა ღონისძიებები. შუამდგომლობებს განიხილავს სადისციპლინო კოლეგია.

სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია დაუსვას შეკითხვები მხარეებს ან საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ პირებს, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები ან ინფორმაცია, დამატებით მიიწვიოს სხვა პირები მათი ინფორმაციის მოსასმენად, გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს ორი კვირით და განახორციელოს სხვა ღონისძიებები. დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი შემოიფარგლება მხოლოდ დისციპლინური ბრალდების წაყენებითა და მისი დასაბუთებით. მას არა აქვს უფლება მოითხოვოს მოსამართლისათვის კონკრეტული დისციპლინური სახდელის დაკისრება და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება. სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დგება ოქმი.

მხარეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა

სადისციპლინო კოლეგია ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი პოზიციების გამოსახატავად და დასაცავად. დაუშვებელია სადისციპლინო კოლეგიის წევრების რომელიმე მხარესთან წინასწარი შეხვედრა ან/და მისგან რაიმე ინფორმაციის მიღება მეორე მხარის დაუსწრებლად, ან მისთვის ამ ინფორმაციის შინაარსის გაუცნობლად, თუ ეს საქმის ორგანიზაციულ მხარეს არ ეხება. სადისციპლინო კოლეგიის წევრი ვალდებულია საქმის განხილვამდე და განხილვის პროცესში არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ან წინასწარი განწყობა ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს სადისციპლინო კოლეგიის მიუკერძოებლობა.

დისციპლინური საქმის განხილვაში მხარეთა სავალდებულო მონაწილეობა

დისციპლინური საქმის განხილვისას სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლისა და მისი პასუხისგებაში მიმცემი ორგანოს ან თანამდებობის პირის

წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა. თუ რომელიმე მხარე სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადდა, კოლეგია ვალდებულია გადადოს საქმის მოსმენა არა უმეტეს ორი კვირით. ეს ვადა არ ჩაითვლება სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ორთვიან ვადაში. თუ დადასტურდა, რომ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლე თავს არიდებს და არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას ცნოს იგი ბრალეულად და დააკისროს მას დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

თუ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლე მძიმე ავადმყოფობის ან სხვა დაუძლეველი ძალის გამო ვერ ცხადდება სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე, კოლეგია უფლებამოსილია გადაწყვეტილებით შეაჩეროს დისციპლინური საქმის წარმოება სამ თვემდე ვადით. ეს ვადა არ ჩაითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სამწლიან ვადაში. თუ ამ ვადაში საქმის წარმოების შეჩერების მიზეზები არ აღმოიფხვრება, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს საქმე მოსამართლის დაუსწრებლად.

სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

სადისციპლინო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო ოთახში. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერენ კოლეგიის წევრები. კოლეგიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება დისციპლინური საქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, წერილობით აცალიბებს თავის აზრს, რომელიც თან ერთვის საქმეს. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება სადისციპლინო კოლეგიაში საჩივრის შეტანით.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების სახეები

სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;
- დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

- მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ;
- მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მოსამართლისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ;
- მოსამართლის გამართლების შესახებ.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ

სადისციპლინო კოლეგია იღებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდა მოსამართლის მიერ ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა და კოლეგია მიზანშეწონილად მიიჩნევს დააკისროს მას ერთ-ერთი სახდელი.

დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების საერთო წესი
 დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა დაკისრება ხორციელდება მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით. სადისციპლინო კოლეგია მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევასა და ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხს.

სადისციპლინო კოლეგია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ იგი კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის, რაოდენობის, აგრეთვე წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გათვალისწინებით მიზანშეუწონლად მიიჩნევს ამ მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელებას.

თუ წარსულში მოსამართლეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დაეკისრა დისციპლინური სახდელი – მკაცრი საყვედური – დამოუკიდებლად ან კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებასთან ერთად და ეს სახდელი გაქარწყლებული არ არის, ახალი დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის შერჩევას კოლეგია მსჯელობს ამ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხზე.

სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მოსამართლე კანონით დადგენილი წესით ჩამოცილებული უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივი უფლებამოსილებების განხორციელებისაგან.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება:

- სადისციპლინო კოლეგიის დასახელება;
- სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობა;
- დისციპლინური საქმის განხილვის დრო;
- დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის სახელი, გვარი და თანამდებობა;
- დისციპლინური სამართალწარმოების დამწყები და დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემი თანამდებობის პირის ვინაობა ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს დასახელება;
- დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თარიღები;
- დისციპლინური საქმის გარემოებები;
- დისციპლინური ბრალდებისა და მოსამართლის ახსნა-განმარტების შინაარსი;
- მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, გადაწყვეტილების შინაარსი და მოტივაცია;
- დისციპლინური გადაცდომის სახე, რომლისთვისაც მოსამართლეს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახეები;
- დისციპლინური საქმის შეწყვეტის, მოსამართლის გამართლების, მოსამართლისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის ან მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წარდგინების საფუძველი.

დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების აღსრულებაზე პასუხისმგებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება – დაუყოვნებლივ.

სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის და სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების, შეფარდებისას სადისციპლინო კოლეგია ან სადისციპლინო პალატა კანონიერ ძალაში შესულ თავის გადაწყვეტილებას აღსასრულებლად წარუდგენს შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს, კერძოდ, თუ საქმე ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს – საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმს, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – საქართველოს იუსტიციის უმაღლეს

მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების, როგორც დისციპლინური სახდელის, დაკისრებისას სადისციპლინო კოლეგია ან სადისციპლინო პალატა კანონიერ ძალაში შესულ თავის გადაწყვეტილებას აღსასრულებლად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ წარდგინების მიღების შემდეგ მოსამართლეს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ შესაბამისად კოლეგიის ან პალატის წარდგინების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს წარდგინების მიღებიდან 10 (ათ) დღეში.

სადისციპლინო საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, არ გაამჟღავნოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის

საფუძველი და სადისციპლინო კოლეგიის წევრთა თათბირის საიდუმლოება.

დისციპლინური სახდელის გაქარწყლება და მისი დაკისრების სამართლებრივი შედეგები

„შენიშვნა“ გაქარწყლებულად ჩაითვლება მისი დაკისრებიდან ექვსი თვის, „საყვედური“ – ცხრა თვის, ხოლო „მკაცრი საყვედური“ – ერთი წლის გასვლის შემდეგ, თუ მოსამართლე ამ ვადაში ახალ დისციპლინურ გადაცდომას არ ჩაიდენს. მოსამართლე, რომლის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მისი ბრალეულად ცნობის, მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ, დისციპლინური სახდელის მქონედ არ ითვლება. დაუშვებელია დისციპლინური სახდელის მოხსნა ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შესაბამისი ვადის გასვლამდე.

მოსამართლის დაწინაურების შეზღუდვა

მოსამართლეს, თუ მის მიმართ დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის, ეზღუდება თანამდებობრივი დაწინაურების ან საკლასო ჩინის მიღების უფლება. შესაბამისმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა არ უნდა მიანიჭოს ახალი საკლასო ჩინი ან გაამწესოს ზედა ინსტანციის სასამართლოში მოსამართლე, თუ მის მიმართ დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის
ანაზღაურება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე	5 450 ლარი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4 900 ლარი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	4 600 ლარი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე	4 200 ლარი;
სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	4 000 ლარი;
სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	3 100 ლარი;
სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე	2 700 ლარი;
სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე	2 300 ლარი;
რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე	2 300 ლარი;
რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე	2 200 ლარი;
რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრანტი მოსამართლე	2 100 ლარი;
რეზერვში მყოფი მოსამართლე	500 ლარი.

საკონტროლო კითხვები:

- რას წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლება?
- აღწერეთ საერთო სასამართლოების სისტემა საქართველოში (რომელი სასამართლოები შედიან?);
- რას ნიშნავს მოსამართლის დამოუკიდებლობა?
- რას ნიშნავს სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა?
- როგორ ხორციელდება საქმეთა განხილვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში?
- რს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო?
- ჩამოთვალეთ აუცილებელი მოთხოვნები მოსამართლისთვის;
- რა საგნებში ბარდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა?
- როგორ ხდება მოსამართლის თანამდებობის დაკავება?
- რას ნიშნავს მოსამართლის თანამდებობრივი შეუთავსებლობა?
- რას ნიშნავს მოსამართლის ხელშეუხებლობა?
- რა წარმოადგენს მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს?
- რას ნიშნავს კანონის ანალოგია?
- რას ნიშნავს სამართლის ანალოგია?
- რა სახის სამოქალაქო საქმეები არის მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი?
- რას ნიშნავს - სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა?
- რას წარმოადგენს თვითაცილება?
- რას წარმოადგენს მოსამზადებელი სხდომა?
- როგორ ხდება სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყება?
- რას ნიშნავს სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა და როგორია ამ პასუხისმგებლობის მოცულობა?
- აღწერეთ მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვის პროცედურა პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- როგორ ხდება საქმის განხილვის დაწყება?
- რა მოქმედებებს ასრულებს მოსამართლე მხარეთა მორიგების მიზნით?
- როგორ ხდება წარმოდგენილ მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება?
- რას ნიშნავს მხარეთა პაექრობა და რეპლიკა?
- რა საკითხები უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანის დროს?
- გადაწყვეტილების შინაარსი (რა ნაწილებისგან შედგება გადაწყვეტილება)?

- როგორ ხდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა?
- რას ნიშნავს განსჯადობა
- ვინ არის სათადარიგო მოსამართლე და რა უფლება-მოვალეობანი აქვს მას?
- რას წარმოადგენს სასამართლო გამოძიება?
- რა მტკიცებულებებს იკვლევენ სასამართლო გამოძიების დროს?
- როგორ ხდება მტკიცებულების წარდგენა?
- როგორ ხდება განსასჯელის დაკითხვა?
- როგორია მოწმის დაკითხვის წესი?
- როგორ ხდება დაზარალებულის დაკითხვა?
- რას ნიშნავს სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა?
- რა შემთხვევაში არის სასამართლოს განაჩენი კანონიერი?
- რა შემთხვევაში არის სასამართლოს განაჩენი დასაბუთებული?
- რა შემთხვევაში არის სასამართლოს განაჩენი სამართლიანი?
- რას წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო?
- რა შემთხვევებში და როგორ ხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა?
- რას წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო?
- საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და სტრუქტურა;
- ვინ შეიძლება იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი?
- რა საბუთები (დოკუმენტები) უნდა ერთვოდეს კონსტიტუციურ სარჩელს?
- როგორ ხდება საქმის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში?
- რა აღინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ან დასკვნის ნაწილში?
- როგორია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიები?
- რა საკითხებს ეხება საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები?
- რას ნიშნავს სადისციპლინო კოლეგია და ვინ არ შეიძლება იყოს სადისციპლინო კოლეგიის წევრი?
- რას ნიშნავს დისციპლინური გადაცდომა და რა სახეების არის იგი?
- რას ნიშნავს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება და რა სახეების არის ის?
- რა სახეების არის სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება?
- რა აღინიშნება სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაში?

- როგორ ხდება დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება?
- როგორ ხდება დისციპლინური სახდელის გაქარწყლება?
- რა სამართლებრივი შედეგები აქვს დისციპლინური ღონისძიების დაკისრებას?

ნორმატიული აქტები:

- საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში სტაჟირების გავლის წესი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 10 მარტის N1/28-2006 გადაწყვეტილება.

სასარგებლო ბმულები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - <http://www.constcourt.ge>
- საქართველოს უზენაესი სასამართლო - <http://www.supremecourt.ge>
- თბილისის სააპელაციო სასამართლო - <http://tbappeal.court.ge>
- თბილისის საქალაქო სასამართლო - <http://tbiliscitycourt.gov.ge>
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო - <http://hcoj.gov.ge>

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის საფუძვლები

საქართველოს პარლამენტი (შემდგომ – პარლამენტი) არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 პარლამენტის წევრისაგან. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური შეთანხმება, ორგანული კანონი, კანონი, პარლამენტის რეგლამენტი, დადგენილება, რეზოლუცია, დეკლარაცია, მიმართვა, განცხადება და სხვა გადაწყვეტილება, აგრეთვე მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები.

პარლამენტი მუშაობს საქართველოს სახელმწიფო ენაზე. პარლამენტი, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტითა (შემდგომ – რეგლამენტი) და სხვა ნორმატიული აქტებით.

რეგლამენტი კანონის ძალის მქონე საკანონმდებლო აქტია, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის უფლებამოსილებათა განხორციელების წესს, პროცედურას, პარლამენტის შინაგან სტრუქტურას და სავალდებულოა ყველა პარლამენტის წევრისათვის, აგრეთვე განსაზღვრულ ფარგლებში – პარლამენტის კონტროლს დაქვემდებარებული ყველა ორგანოსა და ორგანიზაციისათვის.

რას ნიშნავს პარლამენტის კონსტიტუციური პრეროგატივა?

პარლამენტის კონსტიტუციური პრეროგატივა არის მხოლოდ მისი განსაკუთრებული უფლებამოსილება – საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესითა და ფორმით განახორციელოს

საქართველოს ხალხის მიერ უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების სახით მისთვის მინდობილი ინტერესები, საპარლამენტო კონტროლი და უზრუნველყოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა.

პარლამენტის პრეროგატივაა:

- საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვა;
- საკანონმდებლო საქმიანობა;
- ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ყოველწლიური მოხსენების მოსმენა;
- საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის დადგენა;
- მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის ან უნდობლობის გამოცხადება;
- საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა არჩევა, დანიშვნა, დამტკიცება, დანიშვნაზე, განთავისუფლებაზე თანხმობის მიცემა, განთავისუფლება, გადაყენება;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული, პასუხისმგებელი თანამდებობის პირების, ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლი;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირება, დენონსირება, გაუქმება;
- სახელმწიფო საზღვრის სტატუსის დადგენა;
- სამხედრო ძალთა რაოდენობის დამტკიცება;
- ეროვნული უსაფრთხოების, ასევე სხვა კონცეფციის დამტკიცება;
- საგანგებო მდგომარეობის დროს ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალების გამოყენებაზე თანხმობის მიცემა;
- ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების დამტკიცება;
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის, ზავის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების დამტკიცება;
- პარლამენტის შინაგანი სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და მუშაობის წესის განსაზღვრა;
- პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობა და ვადამდე შეწყვეტა;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით პარლამენტის თანამდებობის პირთა არჩევა, განთავისუფლება,

- გადაყენება;
- საქართველოს კონსტიტუციითა და რეგლამენტით განსაზღვრული წესით პარლამენტის რიგგარეშე სესიების ან სხდომების ჩატარება;
 - საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება იმპიჩმენტის წესით;
 - სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი;
 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება;
 - სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
 - საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა;
 - გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების წესების დადგენა, გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან განთავისუფლების, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან დამატებითი ხარჯების გაღების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
 - საქართველოს მთავრობისათვის სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა და მისი მოსმენა;
 - საქართველოს კონსტიტუციით, კანონით (რეგლამენტით) განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით უფლებამოსილი თანამდებობის პირების ანგარიშის მოსმენა;
 - ადგილობრივი თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერებაზე ან მათ დათხოვნაზე საქართველოს პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემა;
 - საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

პარლამენტის სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი

პარლამენტის წევრი და მისი სტატუსი

პარლამენტის წევრის სტატუსი არის ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული პირის კანონით განსაზღვრული პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა, რაც მოიცავს დეპუტატის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ ფიცის დადებისთანავე და მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

პარლამენტის წევრის ფიცი

პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილების დადასტურების შემდეგ პარლამენტის წევრები ქვეყნისადმი ერთგულების ფიცს დებენ. ფიცის ტექსტს კითხულობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: *"მე, სრულიად საქართველოს წარმომადგენელი და მისდამი ანგარიშვალდებული, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ პარლამენტის წევრის უფლებამოვალეობებს, ვიქნები კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და მთლიანობის, ხალხის ინტერესების, მოქალაქეთა უფლება-თვისუფლებების, საქართველოს ძლევაგამოსილების დაცვის სამსახურში."* ტექსტის წაკითხვის შემდეგ პარლამენტის წევრები წარმოთქვამენ "ვფიცავ" და ხელს აწერენ ფიცის ტექსტს.

პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

- უფლებამოსილება მოეხსნა პირადი განცხადებით;
- მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა მასთან შეუთავსებელ საქმიანობას;
- დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- არასაპატიო მიზეზით 4 (ოთხი) თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;

- გარდაიცვალა.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს, გარდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისას ან ვადამდე შეწყვეტისას კენჭი ეყრება დადგენილებას შესაბამისად უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ. თუ ეს დადგენილება მიღებული არ იქნა, კენჭისყრის გარეშე ფორმდება დადგენილება შესაბამისად პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე მოქალაქეს, რომლის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა პარლამენტმა.

თუ პარლამენტის წევრი არასაპატიო მიზეზით 4 (ოთხი) თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში, შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ინფორმაციის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში გამოარკვევს გაცდენის მიზეზს და თუ დადასტურდა, რომ მიზეზი არასაპატიოა, ამზადებს შესაბამის დასკვნას.

თუ პარლამენტის წევრი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი (იხ. ქვემოთ) აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 10 (ათი) დღის ვადაში გამოითხოვს დოკუმენტურ მასალას, ჩამოართმევს მას ახსნა-განმარტებას და ამზადებს შესაბამის დასკვნას.

თუ პარლამენტის წევრმა დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, ან სასამართლომ ცნო ქმედუწუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 10 (ათი) დღის ვადაში გამოითხოვს ამ ფაქტის დამადასტურებელ საბუთებს, ამოწმებს მათ ნამდვილობას და ამზადებს შესაბამის დასკვნას.

თუ პარლამენტის წევრის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში გამოითხოვს განაჩენს და დაუყოვნებლივ წარუდგენს დასკვნას პარლამენტის ბიუროს.

პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს მას საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. კომიტეტი 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში ადგენს განცხადების ნამდვილობას, გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო განცხადებას, და შესაბამის დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის წევრს უფლება აქვს უფლებამოსილების მოხსნის შესახებ განცხადება გამოითხოვოს პარლამენტის თავმჯდომარისათვის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში და გააგრძელოს თავისი უფლებამოსილების განხორციელება.

პარლამენტის წევრის გარდაცვალებისას მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება გარდაცვალების მომდევნო დღიდან. პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი გამოითხოვს ცნობას პარლამენტის წევრის გარდაცვალების შესახებ და ცნობის მიღების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პარლამენტის ბიუროს. კომიტეტი აღნიშნულ ინფორმაციას მოახსენებს პარლამენტს მის უახლოეს პლენარულ სხდომაზე და იგი ფორმდება პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით.

პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე პარლამენტის წევრის არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცების შემთხვევაში იმავე დადგენილებაში აღინიშნება, რომ მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე.

პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე პარლამენტის წევრის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის, საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში (თუ მთავრობის წევრად წარდგენილია პარლამენტის წევრი), პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე პარლამენტის წევრის არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცებისას, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი დაუყოვნებლივ შეისწავლის შეუთავსებლობის საკითხს და დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

დაუშვებელია პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამეწარმეო საქმიანობასთან პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელოფს პარლამენტის წევრის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. იგი შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას.

პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს:

- უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;
- უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი;
- იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ან თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში ან/და სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოში.

პარლამენტის წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, სახელოვნებო საქმიანობას, თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას (ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას).

პარლამენტის წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს ნებისმიერი თანამდებობა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ახალარჩეული პარლამენტის წევრი ვალდებულია უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან შეწყვიტოს შეუთავსებელი სამსახური (საქმიანობა) და 7 (შვიდი) დღის ვადაში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს წარუდგინოს შეუთავსებელი სამსახურის (საქმიანობის) შეწყვეტის დამადასტურებელი საბუთი. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება.

პარლამენტის წევრი სრულიად საქართველოს წარმომადგენელია, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობის შესრულებისას იგი შეზღუდული არ არის

ამომრჩეველთა და მისი წარმდგენი პოლიტიკური ორგანიზაციების განაწესებითა და დავალებებით. დაუშვებელია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

პარლამენტის წევრს აქვს პარლამენტის წევრის მოწმიობა და ატარებს სამკერდე ნიშანს, რომელთა დებულებებს, ნიმუშებსა და აღწერილობას ამტკიცებს პარლამენტის ბიურო (იხ. ქვემოთ).

პარლამენტის წევრი არის საპარლამენტო საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს:

- პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, კომიტეტში (კომიტეტის სამუშაო ჯგუფში), ფრაქციაში, უმრავლესობაში, უმცირესობაში, საგამომიებო ან სხვა დროებით კომისიაში, ინტერფრაქციულ ჯგუფში საქმიანობით;
- ამომრჩეველბთან შეხვედრებით, მათი მიღებით, დასმულ საკითხებზე რეაგირებით;
- სახელმწიფო და სხვა ორგანოებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობით.

პარლამენტის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, კანონები და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
- შეხვედეს მოქალაქეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებზე;
- პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში;
- დაესწროს პარლამენტის პლენარულ, კომიტეტის, ფრაქციის, საგამომიებო ან სხვა დროებითი კომისიის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში;
- არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;
- არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაცია;
- დაიცვას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის დადგენილი ქცევის სტანდარტები;
- 6 (ექვს) თვეში ერთხელ მაინც წარდგეს ამომრჩეველთა წინაშე ინფორმაციით თავისი და პარლამენტის საქმიანობის შესახებ.

უფლება ინფორმაციაზე**პარლამენტის წევრს უფლება აქვს:**

- ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- დადგენილი წესით მოსთხოვოს პარლამენტის აპარატის სამსახურებს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;
- გაეცნოს პარლამენტისა და მისი ორგანოების სხდომათა სტენოგრამებში თავისი გამოსვლის ტექსტს ოქმში შეტანამდე, აგრეთვე მიიღოს იმ გამოსვლის ტექსტი, რომელიც არ ქვეყნდება;
- მოითხოვოს პრესისათვის მიცემული ინტერვიუსა და განცხადების მათ გამოქვეყნებამდე გაცნობა. დაუშვებელია პარლამენტის წევრის მიერ მიწოდებული მასალების რედაქტირება მისი თანხმობის გარეშე.

პარლამენტის წევრს აქვს მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებში თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების (გაცემის) უპირატესი უფლება. პარლამენტის კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების, საპარლამენტო ფრაქციების, პარლამენტის იმ წევრთა, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი არც ერთ საპარლამენტო ფრაქციაში, არანაკლებ 10 (ათ) კაციანი ჯგუფის დავალებით მიწოდებული მასალები სავალდებულოა გამოსაქვეყნებლად ან გასავრცელებლად მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით. ამასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება პარლამენტის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში და მისი რეგლამენტით დადგენილი წესით.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე:

- დასვას საკითხი განსახილველად;
- შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები პარლამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;
- მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;
- გააცნოს პარლამენტს მოქალაქეთა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე წერილები და მიმართვები;
- კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები

პარლამენტის პლენარულ სხდომებზე განსახილველი საკითხების თაობაზე;

- მომსენებლის ან სხდომის თავმჯდომარის მიერ მის მიერ დასმულ საკითხზე ან კითხვაზე პასუხის გაუცემლობის ან არასათანადო პასუხის გაცემის შემთხვევაში გამოხატოს საკუთარი აზრი და დააზუსტოს კითხვა;
- გამოთქვას აზრი პარლამენტის მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა პარლამენტი.

საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას პარლამენტის წევრს უფლება აქვს:

- სათათბირო ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მუშაობაში და მათ წინაშე დასვას საკითხები საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო;
- კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;
- კანონით დადგენილ ფარგლებში და მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქართველოს კანონების შესრულების შემოწმებაში ან მოტივირებული უარი განაცხადოს ასეთი დავალების შესრულებაზე;
- შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საკითხი საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების შემოწმების თაობაზე;
- შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში, კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისების გარდა;
- შეუზღუდავად შეხვდეს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ და სხვა თანამდებობის პირებს;
- უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეულ, დანიშნულ ან წარდგენილ იქნეს საპარლამენტო თანამდებობებზე (გარდა პარლამენტის აპარატის უფროსისა), პარლამენტის კომიტეტის, საგამომიებო ან სხვა

დროებითი კომისიის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან (გაერთიანებებიდან).

პარლამენტის წევრს შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სასჯელადსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის (შემდგომ-მაჟორიტარი პარლამენტის წევრი) მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული არიან უზრუნველყონ იგი სამუშაო ოთახით, ადმინისტრაციულ საზღვრებში გადასადგილებლად სატრანსპორტო საშუალებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, მათ შორის, სამთავრობო კავშირით. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე აღმოუჩინონ დახმარება მაჟორიტარ პარლამენტის წევრს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. პარლამენტის წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მიაწოდოს ინფორმაცია საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს ზემოხსენებულ საკითხებთან მიმართებაში აღმოჩენილი დახმარების შესახებ.

პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პარლამენტის წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ წინადადება პარლამენტში შეაქვს საქართველოს მთავარ პროკურორს. ამ წინადადების საფუძვლიანობას 5 (ხუთი) დღის ვადაში შეისწავლის და განიხილავს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, რომელიც წერილობით დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. ბიუროს საკითხი განსახილველად შეაქვს პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე. პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღება დადგენილებით.

პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ საქართველოს მთავარ პროკურორს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. პარლამენტის წევრი

პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში ან მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. პარლამენტის წევრი სარგებლობს დიპლომატიური პასპორტით, რომელიც მას უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში უნარჩუნდება პასპორტში აღნიშნული ვადის გასვლამდე.

პარლამენტის წევრის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემთხვევაში დაკავებულ ან დაპატიმრებულ პარლამენტის წევრს პარლამენტის დადგენილებით შეუჩერდება უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. მარეაბილიტირებელი საფუძვლებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში პარლამენტის წევრს პარლამენტის დადგენილებით:

- თუ არ არის გასული იმ პარლამენტის უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც არის იგი, აღუდგება პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და მიეცემა სრული კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- თუ გასულია იმ პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ან თუ დათხოვნილია ის პარლამენტი, რომლის წევრიც იყო იგი, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩათვლება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების საერთო ვადაში და მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია.

სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების პირობები. თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ პარლამენტის წევრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ხელყოფა ემუქრება, პარლამენტის წევრის განცხადებისა და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა ჩაითვლება სპეციალობით მუშაობის საერთო უწყვეტ სტაჟში. პარლამენტის წევრად არჩევა არ იწვევს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვა კავშირებში წევრობის შეწყვეტას.

პარლამენტის წევრი სარგებლობს წელიწადში 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის შვებულებით, რაც, მისი სურვილის თანახმად, მიეცემა ზაფხულის ან ზამთრის არდადეგების დროს მთლიანად ან 2 (ორ) ნაწილად გაყოფით. პარლამენტის წევრს უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიეცეს დამატებითი შვებულება არა უმეტეს 3 (სამი) თვისა. აღნიშნულ შემთხვევაში შვებულების თაობაზე პარლამენტის წევრის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის თავმჯდომარე. შვებულების პერიოდში პარლამენტის წევრს მიეცემა ხელფასისა და უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურების 80% (ოთხმოცი პროცენტი). ყოფილ პარლამენტის წევრს ენიშნება პენსია და მიეცემა კომპენსაცია კანონით დადგენილი წესით.

სავალდებულოა პარლამენტის ბიუჯეტიდან პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. პარლამენტის წევრი ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს სამედიცინო და ნარკოლოგიური გამოკვლევა.

პარლამენტი თავისი ბიუჯეტის მეშვეობით, არსებული შესაძლებლობისა და პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, ახორციელებს იმ პარლამენტის წევრის საბინაო პირობებით უზრუნველყოფას, რომელსაც არ გააჩნია თბილისში საცხოვრებელი ფართობი.

პარლამენტის წევრზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვისას დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 (ათი) წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. გარდაცვლილი და დაღუპული პარლამენტის წევრი იკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

პარლამენტის წევრს საპარლამენტო საქმიანობის განსახორციელებლად პარლამენტის შენობაში გამოეყოფა სამუშაო ფართობი, მოწყობილობა, ავეჯი, ორტექნიკა, კავშირგაბმულობის საშუალებები, მათ შორის, სამთავრობო კავშირი. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პარლამენტის წევრს გამოეყოფა

სამსახურებრივი ავტომობილი (საჭიროების შემთხვევაში ადაპტირებული ან სპეციალური), ექმნება შესაბამისი სამუშაო გარემო, ენიშნება დამხმარე – თანაშემწე (თანმხლები). პარლამენტის წევრის მიერ კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის ხარჯები ანაზღაურდება პარლამენტის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში. საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილებები, რომლებიც დაკავშირებულია პარლამენტის წევრის საპარლამენტო საქმიანობასთან, მუშავდება და იგზავნება სამთავრობო წესით.

უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში პარლამენტის წევრზე არ ვრცელდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში და რეზერვში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების გაწვევის მოთხოვნა.

რა არის პარლამენტის კომიტეტი?

საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის კომიტეტებს. პარლამენტისა და კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფებს. სამუშაო ჯგუფების საქმიანობას უზრუნველყოფს კომიტეტის აპარატი. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში კანონით დადგენილი წესით იქმნება ნდობის ჯგუფი. ნდობის ჯგუფის საქმიანობა და უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.

კომიტეტების საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს პარლამენტის თავმჯდომარე.

პარლამენტის კომიტეტებია:

- აგრარულ საკითხთა;
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის;
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის;
- ევროპასთან ინტეგრაციის;
- თავდაცვისა და უშიშროების;
- იურიდიულ საკითხთა;
- რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების;

- საგარეო ურთიერთობათა;
- საპროცედურო საკითხთა და წესების;
- საფინანსო-საბიუჯეტო;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა;
- უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიუროს, ფრაქციას, უმრავლესობას და უმცირესობას უფლება აქვთ სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენონ ახალი კომიტეტის შექმნის საკითხი.

კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში. კომიტეტებში წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი და ამტკიცებს პარლამენტის ბიურო, ხოლო პარლამენტის პირველ პლენარულ სხდომაზე განსაზღვრავს დროებითი სამანდატო კომისია და დადგენილებით ამტკიცებს პარლამენტი.

კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 (ათი) პარლამენტის წევრით. კომიტეტი მუშაობას შეუდგება, თუ დანიშნულია კომიტეტის წევრთა მინიმალური ოდენობის ორი მესამედი და არჩეულია კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

კომიტეტის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი. პარლამენტის წევრი ვალდებულია იყოს არანაკლებ ერთი კომიტეტის შემადგენლობაში. პარლამენტის წევრის მეორე კომიტეტში გაწევრიანების საკითხს განსაზღვრავს მისი ფრაქცია პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებით დადგენილი დამატებითი ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

პარლამენტის წევრს, რომელიც არ შედის არც ერთ ფრაქციაში, სურვილისა და კომიტეტის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამის კომიტეტში ნიშნავს დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭო. პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები არ შეიძლება იყვნენ კომიტეტის შემადგენლობაში.

კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტის წევრთაგან ირჩევს პარლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- შეიმუშავებს, განიხილავს და პარლამენტის პლენარული სხდომისათვის ამზადებს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს;
- მონაწილეობს პარლამენტში შესული კანონპროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს და კანონპროექტების თაობაზე წარმოდგენილი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველ ფურცელს გადასცემს პარლამენტის შესაბამის ორგანოს და თითოეული შენიშვნის ავტორს;
- საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში განიხილავს მთავრობის წევრთა კანდიდატურებს, ასევე იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა პარლამენტი, და დასკვნებს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს;
- განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;
- აკონტროლებს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს პარლამენტს;
- ახორციელებს კონტროლს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს პარლამენტს;
- წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს;
- სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;

კომიტეტი წინასწარი გეგმით დამტკიცებული ან შესაბამისი პეტიციის საფუძველზე შეისწავლის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს შესაბამის მასალებს და დასკვნას განსახილველად წარუდგენს პარლამენტს.

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები და საქართველოს მთავრობის წევრები კომიტეტის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების წარდგენის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გასატან ყველა საკითხს განიხილავს შესაბამისი კომიტეტი. კომიტეტები, მათ გამგებლობას მიკუთვნებული დარგების მიხედვით, შეისწავლიან და აანალიზებენ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას, იღებენ ზომებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ამზადებენ წინადადებებს კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ.

კომიტეტი მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად შეიმუშავებს დასკვნას. კომიტეტის დასკვნა უნდა შეიცავდეს შეფასებას და რეაგირების კონკრეტულ ზომებს. კომიტეტი ვალდებულია თავისი დასკვნა უახლოეს სხდომაზე წარუდგინოს პარლამენტის ბიუროს, რომელსაც ეს საკითხი განსახილველად შეაქვს პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს შესაბამის დასკვნას, აფასებს მას და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

კომიტეტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება პარლამენტის კომიტეტის აპარატი, რომელიც წარმოადგენს კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ პარლამენტის აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

კომიტეტის აპარატი:

- მონაწილეობს კომიტეტის სამუშაო გეგმების, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული კანონპროექტების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომიტეტის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;
- ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;
- ასრულებს კანონმდებლობით, კომიტეტის, პარლამენტის აპარატისა და კომიტეტის აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

კომიტეტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ერთეულთა რაოდენობას კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით და პარლამენტის

აპარატის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე.

კომიტეტებთან იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტებისაგან. საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს საჭიროების მიხედვით იწვევს კომიტეტი. შეიძლება ჩატარდეს კომიტეტისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი სხდომა.

რას წარმოადგენს საპარლამენტო ფრაქცია?

საპარლამენტო ფრაქცია არის პარლამენტში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით საერთო პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე პარლამენტის წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. ერთი პარტიული სიით არჩეულმა ერთი პარტიის წევრებმა შეიძლება შექმნან მხოლოდ ერთი ფრაქცია. პარლამენტის წევრს, გარდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისა, თუ მისი პარტიის წევრებმა შექმნეს ფრაქცია, უფლება არა აქვს იყოს სხვა ფრაქციის წევრი.

ფრაქციის შექმნის უფლება აქვს არანაკლებ 6 (ექვს) პარლამენტის წევრს, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო პარლამენტმა. პარლამენტის წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში. აკრძალულია ფრაქციის შექმნა პირადი, პროფესიული, ადგილობრივი, რეგიონული ან რელიგიური ნიშნით.

ფრაქციის შექმნის მსურველი პარლამენტის წევრები შეიმუშავებენ ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმასა და წესდებს. ფრაქცია შექმნილად ითვლება მასში გაერთიანებული არანაკლებ 6 (ექვსი) პარლამენტის წევრის მიერ ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების მიღების მომენტიდან. ახალშექმნილი ფრაქციის რეგისტრაცია სავალდებულოა.

ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს. ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე ფრაქციის თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისათვის პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც აღინიშნება ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, სხვა ხელმძღვანელ პირთა და წევრთა ვინაობა. განცხადებას ერთვის ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება. ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს დაუყოვნებლივ განიხილავს და

გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისია. თუ დროებითი სამანდატო კომისია პარლამენტის პირველსავე სხდომაზე არ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, ფრაქცია რეგისტრირებულად ითვლება დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდან. ფრაქციას, რომელსაც რეგისტრაციაზე უარი ეთქვა, უფლება აქვს დროებითი სამანდატო კომისიის გადაწყვეტილების მართლზომიერების საკითხი დააყენოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

ფრაქციის შექმნიდან ერთი კვირის ვადაში ფრაქციის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს განცხადებით, რომელშიც აღნიშნება ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, სხვა ხელმძღვანელ პირთა და წევრთა ვინაობა. განცხადებას ერთვის ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება. პარლამენტის თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისათვის შემოსულ მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, რომელიც თავის დასკვნას პარლამენტის ბიუროს წარუდგენს უახლოეს სხდომაზე. თუ პარლამენტის ბიურო კომიტეტის დასკვნის განხილვისას არ მიიღებს სხვა მოტივირებულ გადაწყვეტილებას, ფრაქცია რეგისტრაციაში გატარებულად ჩაითვლება პარლამენტის თავმჯდომარისათვის დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდან. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ეცნობება პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომას და გამოქვეყნდება „პარლამენტის უწყებაში“.

ფრაქციაში გაწევრიანების მსურველი პარლამენტის წევრი წერილობითი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს. ფრაქცია პარლამენტის წევრის განცხადებას განიხილავს ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 (სამი) დღის ვადაში წერილობით ატყობინებს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს და პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან, რის შესახებაც 3 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს და პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი აღნიშნულ ფაქტს უახლოეს პლენარულ სხდომაზე აცნობებს პარლამენტს.

ფრაქცია წარმომადგენლობის მეშვეობით მონაწილეობს კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიებისა და საპარლამენტო

დელეგაციების საქმიანობაში. ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა პარლამენტის ორგანოებში განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად. ფრაქციის მიერ წარდგენილი წევრი პარლამენტის ორგანოებში წევვებს საქმიანობას მისი ფრაქციიდან გარიცხვის, გასვლის ან ფრაქციის მიერ ამ ორგანოებიდან მისი გამოწვევის შემთხვევაში. ფრაქციას უფლება აქვს წარადგინოს ახალი კანდიდატი, რის შესახებაც პარლამენტის შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი აცნობებს პარლამენტს.

ფრაქციის ამოცანებია:

- გამოხატოს და გაატაროს საკუთარი პოლიტიკური კურსი საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით;
- მონაწილეობა მიიღოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობის სრულყოფაში, ხელი შეუწყოს პარლამენტის წევრთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და მათი აქტიურობის გაზრდას, აგრეთვე მათ მიერ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულებასა და საპარლამენტო ქცევის ნორმების დაცვას;
- გამოხატოს ფრაქციის შეჯერებული აზრი პარლამენტის უმთავრესი ფუნქციის – კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას.

ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა. ფრაქციის სხდომათა პერიოდულობა განისაზღვრება ფრაქციის წესდებით. ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სათანადო პირობები და გამოიყოფა შესაბამისი თანხა. სხდომათა დარბაზში ფრაქციას გამოეყოფა შესაბამისი ადგილი, ხოლო პარლამენტის შენობაში – სამუშაო ფართობი.

პარლამენტის თანამდებობის პირები

პარლამენტის თანამდებობის პირები არიან:

- პარლამენტის თავმჯდომარე;
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
- კომიტეტის თავმჯდომარე;
- უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები;
- ფრაქციის თავმჯდომარე;
- საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეები;
- კომიტეტისა და ფრაქციის თავმჯდომარეთა მოადგილეები;
- პარლამენტის აპარატის უფროსი.

პარლამენტის წევრი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთ თანამდებობაზე, გარდა ფრაქციაში დაკავებული თანამდებობისა. პარლამენტის თანამდებობის პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობას.

პარლამენტის თავმჯდომარე:

- წარმოადგენს საქართველოს პარლამენტს ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში;
- პარლამენტის შენობაში ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;
- უძღვება პარლამენტის მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს პარლამენტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობას;
- თავმჯდომარეობს პარლამენტის პლენარულ სხდომებს, იწვევს და თავმჯდომარეობს პარლამენტის ბიუროს სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში ამ უფლებამოსილებათა განხორციელებას ავალებს თავის ერთ-ერთ მოადგილეს;
- ბრძანებით განსაზღვრავს თავისი მოადგილეების საქმიანობის სფეროებს, აძლევს მათ ცალკეულ დავალებას;
- ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტების საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის მიმართევებს;
- საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში ხელს აწერს კანონპროექტებს და აქვეყნებს კანონებს;
- ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს;
- საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განსაზღვრული ვადით ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას;
- იღებს ზომებს პარლამენტისა და ცალკეული პარლამენტის წევრის უსაფრთხოებისა და მათი ღირსების დაცვის უზრუნველსაყოფად;
- საერთო ხელმძღვანელობას უწევს პარლამენტის აპარატისა და სხვა დამხმარე სტრუქტურების საქმიანობას;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის აპარატის უფროსს, აპარატის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პარლამენტის აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელებს;
- ნიშნავს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელს;
- განსაზღვრავს პარლამენტის ბიუჯეტს და პარლამენტს წარუდგენს

- დასამტკიცებლად;
- პარლამენტის ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვისათვის ქმნის ხაზინადართა საბჭოს;
 - ამტკიცებს ხაზინადართა საბჭოს დებულებას;
 - პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით ნიშნავს ხაზინადართა საბჭოს წევრებს;
 - წევრებს ცალკეული პარლამენტის წევრისა და საპარლამენტო დელეგაციის სხვა სახელმწიფოში მივლინების საკითხებს;
 - წევრებს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;
 - თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;
 - ამტკიცებს პარლამენტის შენობა-ნაგებობებში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმს;
 - კანონით დადგენილი წესით თანხმობას იძლევა პარლამენტის დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისას და თანამდებობიდან განთავისუფლებისას;
 - საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებას რიგგარეშე სესიის ან სხდომის მოწვევის შესახებ;
 - ამტკიცებს პარლამენტის აპარატის დებულებას და სტრუქტურას, აპარატის საშტატო განრიგს, განსაზღვრავს თანამდებობრივი სარგოს და დანამატის ოდენობას;
 - პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურას;
 - პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეობის კანდიდატს;
 - უფლებამოსილია დასვას საკითხი პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის ან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის (გარდა კანონპროექტებისა) რიგგარეშე განხილვისა და კენჭისყრის შესახებ;
 - ამტკიცებს მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს დებულებას;
 - პარლამენტის სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს) საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში;
 - პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იწვევს იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც არა აქვთ პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება, აგრეთვე პლენარულ სხდომაზე დასწრების სურვილის მქონე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს;
 - უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის სხდომებში;
 - ამტკიცებს პარლამენტში პრესკონფერენციის ჩატარებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესებს;

- ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს;
- პარლამენტის წევრს ბრძანებით ანიჭებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სასჯელალსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებას;
- ბრძანებით ადგენს საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს;
- პარლამენტის აპარატის მოსამსახურეთათვის აწესებს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებული საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის დანამატებს.

პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, საჯაროდ განაცხადოს გადადგომის შესახებ. აღნიშნულ ფაქტს პარლამენტი ცნობად იღებს უახლოეს პლენარულ სხდომაზე, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით. პარლამენტის თავმჯდომარე გადამდგარად ითვლება საჯარო განცხადების გაკეთების მომენტიდან.

პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტმა შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი პარლამენტის წინაშე შეიძლება წერილობით დააყენოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა.

პარლამენტის წევრი, რომელიც იყო წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე, უზრუნველყოფილია იმავე შრომითი ანაზღაურებითა და სამუშაო პირობებით (სამუშაო ფართობი, სამდივნო, კავშირგაბმულობისა და სხვა ტექნიკური საშუალებები), რომლებითაც სარგებლობს მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ახალი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით ემსახურება სამსახურებრივი მანქანა და უზრუნველყოფილია სახელმწიფო დაცვით.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები

პარლამენტი თავის წევრთაგან, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით, სითით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის, პირველ მოადგილეს:

- თითო მოადგილე აირჩევა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან და აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკიდან მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტის წევრთაგან, ამ პარლამენტის წევრთა უმრავლესობის წარდგინებით;

- პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს;
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არა უმეტეს 3 (სამი) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს უმრავლესობას;
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არა უმეტეს 3 (სამი) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახულ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან უმრავლესობაში და შექმნილი აქვთ საპარლამენტო ფრაქცია.

რას წარმოადგენს პარლამენტის ბიურო?

პარლამენტის საქმიანობის ორგანიზების მიზნით პარლამენტის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების შემადგენლობით იქმნება პარლამენტის ბიურო.

პარლამენტის ბიურო:

- შეიმუშავებს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ორკვირიანი ციკლისა და სასესიო კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგის პროექტებს, წინადადებებს შეკითხვების განხილვისა და პოლიტიკური დებატებისათვის განკუთვნილი სხდომის დანიშვნის შესახებ;
- უფლებამოსილია საკითხი შეიტანოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში;
- ამტკიცებს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ წარმოდგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს კომიტეტებში, საგამომიებო და სხვა დროებით კომისიებში, მუდმივმოქმედ საპარლამენტო დელეგაციებში;
- ამტკიცებს კომიტეტების, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების დებულებებს;
- წყვეტს ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის რეგისტრაციის საკითხებს;
- უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოში წარგზავნილი საპარლამენტო დელეგაციებისა და პარლამენტის წევრების ანგარიშების მოსმენას პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე;
- განიხილავს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გასატანი კანონპროექტების შესახებ დასკვნებს, კომიტეტების, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების დასკვნებს, რეზოლუციებისა და

- მიმართვების პროექტებს;
- განიხილავს საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა არჩევის, დანიშვნის და დამტკიცების თაობაზე შესაბამისი კომიტეტების დასკვნებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს;
 - იღებს გადაწყვეტილებებს პარლამენტის მუშაობის ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებზე;
 - ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს მიერ მიღებულ წინადადებებს (რეკომენდაციებს).
 - ამტკიცებს საპარლამენტო დელეგაციების ოფიციალურ შემადგენლობას;
 - პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საპარლამენტაშორისო ასამბლეაში პარლამენტის წევრთა კორპუსს;
 - განსაზღვრავს საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიის ხარჯების ოდენობას;

პარლამენტის ბიუროს სხდომებს იწვევს და უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. პარლამენტის ბიუროს სხდომები სასესიო პერიოდში იმართება ყოველ ორშაბათს, 15:00 საათზე, ხოლო არასასესიო პერიოდში – საჭიროებისამებრ.

პარლამენტის სესიები

ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრება და პირველი სხდომა

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევას.

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პარლამენტის წევრთა რეგისტრაციას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული დროებითი მოწმობის

საფუძველზე ახორციელებს პარლამენტის აპარატი. სხდომაზე დასწრებას პარლამენტის წევრები ადასტურებენ სარეგისტრაციო ფურცელზე ხელის მოწერით.

ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას ხსნის საქართველოს პრეზიდენტი. სხდომას ესწრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს პრეზიდენტი სიტყვას ამღვეს ასაკით უხუცესს პარლამენტის წევრს, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება სხდომას. სხდომაზე შეიძლება მიწვეულ იქნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ქვეყნის სხვა რელიგიურ კონფესიათა უმაღლესი სასულიერო პირები, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები და ამომრჩეველთა წარმომადგენლები.

ახალარჩეული პარლამენტი, როგორც წესი, საკითხებს განიხილავს შემდეგი თანამიმდევრობით:

- ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს;
- ქმნის კომიტეტებს და ირჩევს მათ თავმჯდომარეებს;
- განიხილავს საქართველოს მთავრობის შემადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე კენჭისყრისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კენჭისყრის ელექტრონული სისტემა.

პარლამენტის სასესიო მუშაობის წესი

პარლამენტი იკრიბება მორიგ ან რიგგარეშე სესიაზე. მორიგ სესიაზე პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად იკრიბება წელიწადში ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე. საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს, ხოლო საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს. პარლამენტის სესია იხსნება და დახურულად ცხადდება პლენარულ სხდომაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. პარლამენტი რიგგარეშე სესიაზე იკრიბება მხოლოდ მორიგ სესიებს შორის პერიოდში. პარლამენტის მორიგი სესია არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას. რიგგარეშე სესია მოიწვევა საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

პარლამენტის სესია შედგება პლენარული და კომიტეტების სხდომებისაგან და იგეგმება ორკვირიანი ციკლით – კვირამონაცვლებით. პირველი კვირა, გარდა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სასესიო კვირისა, ეთმობა კომიტეტების მუშაობას და ადგილებზე ამომრჩეველებთან შეხვედრას, ხოლო მეორე კვირა – პლენარულ სხდომებს.

საკანონმდებლო პროცესი

კანონპროექტის მომზადება და პარლამენტში წარდგენა

საკანონმდებლო პროცესი არის კანონპროექტის მომზადებისა და მიღების ერთიანი პროცედურა, რომელიც გულისხმობს: საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას, პარლამენტში წარდგენას, პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, საქართველოს პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, პრეზიდენტის უფლებას – შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს მიღებული კანონპროექტი, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვას, მიღებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას.

პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი განხილვისას ვადის შემდეგ პროცედურებს:

- კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს;
- პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი პარლამენტის ბიუროს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტით კანონპროექტს გადასცემს ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი წარდგენილია ბიუროს დაწყებამდე არა უგვიანეს 72 (სამოცდათორმეტი) საათისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა ბიუროს მომდევნო სხდომას;
- პარლამენტის ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, ამასთან, კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომიტეტს (კომიტეტებს), სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, ასევე საქართველოს მთავრობას;
- წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს მიღებიდან 3 (სამი) კვირის ვადაში განიხილავს კომიტეტის სხდომაზე;
- წამყვანი კომიტეტისა და სხვა კომიტეტების მიერ განხილვის შემდეგ

- კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებით, პირველი მოსმენით განხილვამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა გადაეცემა პარლამენტის ბიუროს პირველი მოსმენით განხილვისათვის პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;
- პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს პირველი მოსმენისას გათვალისწინებული შენიშვნების ასახვისათვის, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის მოსამზადებლად;
 - პირველი მოსმენით მიღებიდან ორი კვირის ვადაში წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს განიხილავს კომიტეტის სხდომაზე, მუხლებს, თავების ან/და კარების მიხედვით;
 - კანონპროექტი წამყვანი კომიტეტის მიერ განხილვის შემდეგ შესაბამისი დასკვნებითა და ალტერნატიული წინადადებებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;
 - პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად;
 - მეორე მოსმენით მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში წამყვანი კომიტეტი მეორე მოსმენისას გაზიარებულ შენიშვნებს ასახავს კანონპროექტში და გადასცემს მას პარლამენტის ბიუროს მესამე მოსმენით განხილვისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;
 - პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვის დასრულების შემდეგ კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი, რომლის თავფურცელი ვიზირებულია კანონპროექტის თაობაზე მომხსენებლის, წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირის, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) და იურიდიული დეპარტამენტის სარედაქციო განყოფილების უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) მიერ, დგება კენჭისყრაზე საბოლოო რედაქციით მისაღებად;
 - კანონპროექტი მესამე მოსმენით მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად და კანონის გამოსაქვეყნებლად.

საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებით და პარლამენტში წარდგენით.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ:

საქართველოს პრეზიდენტს – მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მთავრობას, პარლამენტის წევრს, კომიტეტს, ფრაქციას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტმა კანონპროექტი შეიძლება წარადგინოს როგორც დამოუკიდებელი კანონპროექტის სახით, ისე კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ან კანონის გაუქმების სახით. კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ან კანონის გაუქმების შესახებ კანონპროექტის წარდგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ:

- მიღებულია კანონი, რომელიც მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას;
- აუცილებელია შესაბამისი კანონით მოწესრიგებული სფეროს რეგულირების ახალი წესის დადგენა;
- კანონმდებლობით მოწესრიგებულ სფეროში წარმოიშვა ახალი ურთიერთობა, რაც მოითხოვს შესაბამის კანონში დამატებების შეტანას;
- ერთი წლის განმავლობაში ან კანონით დადგენილ სხვა ვადაში შესაბამისმა კანონმა ვერ იმუშავა და წინააღმდეგობები შეექმნა რეგულირების სფეროში;
- აუცილებელია სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა.

კანონი უქმდება კანონით, რომელიც მიიღება ხმათა იმავე რაოდენობითა და იმავე წესით, რომლითაც მიღებული იყო შესაბამისი კანონი.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტი კანონპროექტს ამზადებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

კანონპროექტით განისაზღვრება:

- ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში;
- ახალი ნორმატიული აქტი, რომლის მიღებაც საჭიროა ამ

კანონპროექტთან დაკავშირებით, მისი მიღების ვადა და მიმღები ორგანოს სახელწოდება.

კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

- კანონპროექტის მიღების მიზეზი;
- კანონპროექტის მიზანი;
- კანონპროექტის ძირითადი არსი.

კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

- კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;
- კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;
- კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;
- სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;
- კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;
- კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი).

კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

- კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
- კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
- კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

- სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- კანონპროექტის ავტორი;
- კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს:

- კანონპროექტი სხვა საკანონმდებლო აქტებში იმ ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება, აგრეთვე პროექტი შესაბამის კანონში იმ დამატებების შეტანის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება ამ ნორმატიული აქტის ნორმათა დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა;
- დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, მისი არსებობის შემთხვევაში;
- შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თუ კანონპროექტი იწვევს კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი ცვლილებების ან/და დამატებების პროექტები და წარდგენილი უნდა იქნეს ერთიანი საკანონმდებლო პაკეტის სახით. კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. საქართველოს მთავრობის ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს მთავრობის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და პარლამენტისათვის წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს წარდგენილ კანონპროექტებს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი. პარლამენტისათვის წარდგენილ კანონპროექტს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი წარუდგენს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი დეპარტამენტში წარდგენილია ბიუროს დაწყებამდე არა უგვიანეს 72 (სამოცდათორმეტი) საათისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა ბიუროს მომდევნო სხდომას. ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ. პარლამენტის ბიუროსათვის წარდგენილ

კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

- კანონპროექტის დასახელება;
- კანონპროექტის ინიციატორი;
- კანონპროექტის ავტორი;
- კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის თარიღი;
- წამყვანი კომიტეტი;
- კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;
- კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;
- სხვა კომიტეტები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთვოდეს კანონპროექტს;

კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბიუროს სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაცია და პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა.

იურიდიული დეპარტამენტი დასკვნას აკეთებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;
- საჭიროა თუ არა ახალი კანონის მიღება;
- შეესაბამება თუ არა ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტებისა და სავალდებულო ცვლილებების ან/და დამატებების პროექტების ნუსხა;
- შეესაბამება თუ არა კანონპროექტი ევროპის კავშირის კანონმდებლობას.

რას ნიშნავს საკანონმდებლო წინადადება?

საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტში წარდგენილი,

დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების ან კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა), ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სხვა იურიდიულ პირებს. საკანონმდებლო წინადადება შეიძლება წარდგენილ იქნეს კანონპროექტის ან/და მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით. საკანონმდებლო წინადადება უნდა შეიცავდეს მისი საჭიროების ავტორისეულ დასაბუთებას, ავტორის ხელმოწერას და მისამართს.

როგორ ხდება კომიტეტში კანონპროექტის განხილვა?

პარლამენტისათვის წარდგენილი კანონპროექტი განიხილება კომიტეტებში. პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული წამყვანი კომიტეტი კანონპროექტის განხილვისათვის აწყობს კომიტეტის სხდომას ამ კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვამდე, მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მოსამზადებლად, მესამე მოსმენით კენჭისყრის წინ. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით განისაზღვრება ამ კანონპროექტის განხილვისას წამყვანი კომიტეტი, რომელიც უძღვევა პარლამენტში მისი განხილვის პროცედურებს და პასუხისმგებელია მათი დაცვისათვის.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვამდე კანონპროექტი წამყვანი კომიტეტის სხდომაზე განიხილება. კანონპროექტი კომიტეტის სხდომაზე განიხილება მუხლობრივად. საჭიროების შემთხვევაში კენჭი ეყრება შენიშვნებს. კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად კანონპროექტი შეიძლება ცნობილ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად. კანონპროექტის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა არ აბრკოლებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას. წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე დაუშვებელია კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანა. თუ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს მიერ

გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში წამყვანი კომიტეტი არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, ინიციატორი უფლებამოსილია ბიუროს წინაშე დასვას წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე კანონპროექტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვა და მიღება
პარლამენტი წამყვანი კომიტეტის სხდომის შემდეგ კანონპროექტს განიხილავს სამი მოსმენით.

კანონპროექტის პირველი მოსმენისას განიხილება მისი ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებები.

კანონპროექტის მეორე მოსმენისას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იგი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით და კენჭი ეყრება ერთიანად. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მეორე მოსმენისას მისი ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით განხილვის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას წამყვანი კომიტეტის წინადადების საფუძველზე იღებს სხდომის თავმჯდომარე.

კანონპროექტის მესამე მოსმენისას მასში შესაძლებელია მხოლოდ რედაქციული ცვლილებების შეტანა.

კანონპროექტის პირველი მოსმენის დასრულების შემდეგ, კენჭისყრის საფუძველზე პარლამენტი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- კანონპროექტის (ალტერნატიული კანონპროექტებიდან ერთ-ერთის საფუძველად) პირველი მოსმენით მიღების შესახებ;
- გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ახალი კანონპროექტის შემუშავების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია, კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისას მისი ზოგადი პრინციპებისა და ძირითადი დებულებების თაობაზე გამოთქმულ შენიშვნებს მოთხოვნის შემთხვევაში ცალ-ცალკე ეყაროს კენჭი. კანონპროექტი, რომელიც პირველი მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო

რაოდენობას, უარყოფილად ითვლება და ფორმდება დადგენილება კანონპროექტის უარყოფის შესახებ. დაუშვებელია პირველი მოსმენით უარყოფილი კანონპროექტის პარლამენტის იმავე სესიაზე განმეორებით გატანა.

კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ იგი მასზე გამოთქმული შენიშვნების პროექტში ასახვისა და მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად გადაეცემა წამყვან კომიტეტს.

კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებიდან ორი კვირის ვადაში წამყვანი კომიტეტი სხდომაზე განიხილავს მას პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად. თუ ამ ვადაში კომიტეტი ვერ მოახერხებს კანონპროექტის განხილვას, იგი შეიძლება გაგრძელდეს კომიტეტის თავმჯდომარის მოტივირებული წინადადების საფუძველზე, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით. წამყვან კომიტეტში კანონპროექტის განხილვისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია განიხილოს აღნიშნული ფაქტი და დასვას შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით განხილვისას გაზიარებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებიდან სამი კვირის ვადაში კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – უფლებამოსილი მოადგილის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით წარედგინება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის. ამასთანავე, კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს კომიტეტის აპარატის უფროსის მიერ.

პარლამენტის პლენარული სხდომისათვის მეორე მოსმენით წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისას კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი, წამყვანი კომიტეტისა და პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნები, ასევე ალტერნატიული წინადადებები, რომლებიც წარედგინა წამყვან კომიტეტს.

მეორე მოსმენისას კანონპროექტს კენჭი ეყრება ერთიანად. ალტერნატიულ წინადადებას პირველ რიგში ეყრება კენჭი. კანონპროექტის მეორე მოსმენის დასრულების შემდეგ, კენჭისყრის საფუძველზე პარლამენტი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების შესახებ;
- დამატებითი დამუშავებისათვის კანონპროექტის წამყვან კომიტეტში დაბრუნების შესახებ.

კანონპროექტი, რომელიც მეორე მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას, ჩავარდნილად ითვლება და ფორმდება დადგენილება კანონპროექტის მეორე მოსმენით მიუღებლობის შესახებ.

დასაშვებია კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღება ცალკეული მუხლების გამოკლებით. ისინი შეიძლება შემოტანილი იქნეს მესამე მოსმენისას. თუ პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენისას ჩავარდნილი კანონპროექტი სასესიო პერიოდში ერთი თვის განმავლობაში ინიციატორის მოთხოვნით არ დადგება პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე, კანონპროექტი უარყოფილად ჩაითვლება. ასევე უარყოფილად ჩაითვლება კანონპროექტი, რომელიც ერთი სესიის განმავლობაში მეორე მოსმენით კენჭისყრების შედეგად 3-ჯერ ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას. აღნიშნულის შესახებ პლენარული სხდომის თავმჯდომარის მიერ ეცნობება პარლამენტს და ფორმდება პლენარული სხდომის ოქმით.

კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების შემდეგ წამყვანი კომიტეტი სხდომაზე განიხილავს მას პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მესამე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად. კომიტეტის სხდომის შემდეგ კანონპროექტი კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – უფლებამოსილი მოადგილის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით ეგზავნება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის ბიუროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შესატანად. ამასთანავე, კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს კომიტეტის აპარატის უფროსის მიერ.

მესამე მოსმენისათვის პარლამენტის წევრებს ურიგდება კანონპროექტის რედაქტირებული ვარიანტი, რომელშიც ასახულია კანონპროექტის მეორე მოსმენისას გამოთქმული და გაზიარებული შენიშვნები. მესამე მოსმენისას კანონპროექტში შესაძლებელია მხოლოდ რედაქციული ცვლილებების შეტანა.

პარლამენტის პლენარული სხდომისათვის მესამე მოსმენით წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს წამყვანი კომიტეტის მიერ მომზადებული, მეორე მოსმენით კენჭისყრის საფუძველზე გაზიარებული

შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი, ასევე წამყვანი კომიტეტისა და პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნები.

მესამე მოსმენისას კანონპროექტს წარადგენს მომხსენებელი, რომელსაც პარლამენტის წევრებმა კანონპროექტთან დაკავშირებით შეიძლება მისცენ რედაქციული შენიშვნები. რედაქციული შენიშვნებისათვის გამოსვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამ წუთს. ამასთანავე, პირი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ.

გამოსვლების დასრულების შემდეგ დასკვნითი სიტყვით გამოდის მომხსენებელი. მომხსენებლის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე დასრულებულად მიიჩნევს კანონპროექტის განხილვას და პარლამენტის წევრებს აცნობებს მისი მესამე მოსმენით კენჭისყრის თარიღს.

მესამე მოსმენით კენჭისყრის წინ სავალდებულოა კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დარიგება მესამე მოსმენისას გამოთქმული, გათვალისწინებული შენიშვნების ასახვით. აღნიშნული ვარიანტის თავფურცელი ვიზირებული უნდა იყოს კანონპროექტის თაობაზე მომხსენებლის, წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირის, ასევე პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) და იურიდიული დეპარტამენტის სარედაქციო განყოფილების უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) მიერ. მესამე მოსმენის შემდეგ კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებულ ვარიანტს მთლიანად ეყრება კენჭი.

კანონპროექტი, რომელიც მესამე მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას, ჩავარდნილად ითვლება. ასეთ შემთხვევაში ფორმდება დადგენილება კანონპროექტის მესამე მოსმენით მიუღებლობის შესახებ. თუ პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენისას ჩავარდნილი კანონპროექტი სასესიო პერიოდში ერთი თვის განმავლობაში ინიციატორის მოთხოვნით არ დადგება პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე, კანონპროექტი უარყოფილად ჩაითვლება. ასევე უარყოფილად ჩაითვლება

კანონპროექტი, რომელიც მესამე მოსმენით კენჭისყრის შედეგად ერთი სესიის განმავლობაში 3-ჯერ ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას. აღნიშნულის შესახებ პლენარული სხდომის თავმჯდომარის მიერ ეცნობება პარლამენტს და ფორმდება პლენარული სხდომის ოქმით. დაუშვებელია მესამე მოსმენით კენჭისყრის შემდეგ კანონპროექტში რაიმე შესწორების შეტანა.

პარლამენტმა კანონპროექტი შეიძლება განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების ერთი კვირის განმავლობაში. ამასთანავე, დაუშვებელია პლენარული სხდომის ერთ დღეს კანონპროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო კანონპროექტის ინიციატორის მოტივირებული წინადადებისა და წამყვანი კომიტეტის დასკვნის საფუძველზე. თუ ბიურო არ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე, აღნიშნულ საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის პლენარული სხდომა. დაუშვებელია დაჩქარებული წესით საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონისა და ორგანული კანონის განხილვა და მიღება. დაჩქარებული წესით კანონპროექტი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ ცვლილების ან/და დამატების შეტანას კანონში.

კანონპროექტს, რომლის თაობაზედაც მიღებულია დაჩქარებული წესით განხილვის გადაწყვეტილება, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისას უნდა ერთვოდეს შესაბამისი დასკვნები. დაჩქარებული წესით კანონპროექტის მიღებისას კენჭისყრა შესაძლებელია ჩატარდეს მისი შესაბამისი მოსმენით განხილვის დამთავრების შემდეგ, იმავე დღეს. ამასთანავე, პარლამენტი კანონპროექტს მესამე მოსმენით კენჭს უყრის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება მისი საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი. აღნიშნული ვარიანტის თავფურცელი ვიზირებული უნდა იყოს კანონპროექტის თაობაზე მომხსენებლის, წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირის, ასევე პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის

შემსრულებლის) და იურიდიული დეპარტამენტის სარედაქციო განყოფილების უფროსის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის) მიერ.

- ✓ კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.
- ✓ კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედისა.
- ✓ ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სითითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- ✓ კანონის, პარლამენტის რეგლამენტის ან დადგენილების პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ✓ პარლამენტის რეზოლუცია, დეკლარაცია, განცხადება, მიმართვა ან რეკომენდაცია მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

პარლამენტის თანხმობა, როგორც წესი, მიიღება დადგენილებით. კანონის ან დადგენილების პროექტის ან პარლამენტის სხვა აქტის მიღების თარიღად ითვლება პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

პარლამენტის საკონტროლო ფუნქციები

პარლამენტის საკონტროლო საქმიანობის წესი

პარლამენტი უშუალოდ და მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, პარლამენტის სხვა აქტების შესრულებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილი წესით ნდობას უცხადებს საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და კონტროლს უწევს

მთავრობის, მთავრობის წევრთა საქმიანობას, საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას.

პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობის, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობას, ეფექტიანობას, მისი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს, განიხილავს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ასევე ნორმატიული აქტის სრულფასოვნად ამოქმედების ხელის შემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. პარლამენტი საჭიროების შემთხვევაში იღებს დადგენილებას, რომელშიც შეიძლება აისახოს პარლამენტის შეფასება ნორმატიული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტში სათანადო შესწორებების შეტანის რეკომენდაციით (დავალებით).

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო დალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში გამოიყენება კონსტიტუციითა და „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი იმპიჩმენტის წესი.

პარლამენტის პლენარული სხდომა, ბიურო, კომიტეტი უფლებამოსილი არიან ცალკეული აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის შემუშავების მიზნით, პარლამენტის წევრთაგან დანიშნონ მომხსენებელი ან მომხსენებელთა ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს. მომხსენებელი ადგენს საკითხის შესწავლის გეგმასა და გრაფიკს, განსაზღვრავს მასში მონაწილე სპეციალისტებს, ხელმძღვანელობს საკითხის შესწავლას, პასუხისმგებელია მის დამუშავებაზე და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე. პარლამენტის პლენარული სხდომის მიერ დანიშნულ მომხსენებელს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) და ნებისმიერ საკითხზე ახსნა-განმარტება. მომხსენებელი გადაწყვეტილების პროექტს განსახილველად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს ან კომიტეტის სხდომას.

პეტიცია არის პირთა ჯგუფის წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ და საერთო პრობლემებიდან გამომდინარე საკითხებს.

პეტიციები იწერება და შეიტანება პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე და აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში. პეტიციის ჩაბარებისა და რეგისტრაციის ნომრის შესახებ ეცნობება მის ავტორს.

საქართველოს მოქალაქეები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები უფლებამოსილნი არიან განცხადებით მიმართონ პარლამენტის წევრებს, ორგანოებსა და თანამდებობის პირებს.

პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე კონტროლი

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მის სფეროში მოქმედი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. პარლამენტი პლენარულ სხდომაზე რეგულარულად ისმენს შესაბამისი კომიტეტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებისგან ინფორმაციას მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს თავის სფეროში მოქმედი სამინისტროს, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ამ აქტების გამოყენების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას. რეკომენდაციების განხილვის ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომიტეტს არა უგვიანეს ერთი თვისა ან მის მიერ დადგენილ ვადაში.

პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობანი

საგარეო ურთიერთობებში საქართველოს პარლამენტის უმაღლესი წარმომადგენელია პარლამენტის თავმჯდომარე. პარლამენტის თავმჯდომარე სხვა სახელმწიფოში ვიზიტისა და იქ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციას, ანგარიშს და მოსაზრებებს ვიზიტის თაობაზე წარუდგენს პარლამენტის ბიუროს ვიზიტის დამთავრებიდან არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა. საჭიროების შემთხვევაში ეს ანგარიში შეიძლება წარედგინოს პლენარულ სხდომასაც.

პარლამენტი უფლებამოსილია სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებთან და საერთაშორისო საპარლამენტაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან დადოს შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ.

პარლამენტი უფლებამოსილია ყოველ წელს დაამტკიცოს სხვა სახელმწიფოების პარლამენტებთან თანამშრომლობის პროგრამა, რომელსაც შეიმუშავებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი სხვა კომიტეტების, ფრაქციების, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციებისა და პარლამენტის წევრების წინადადებათა გათვალისწინებით. პარლამენტი შეიმუშავებს და ამტკიცებს საპარლამენტო დელეგაციების (საპარლამენტო და სამუშაო ჯგუფების) მუშაობის წესს.

საერთაშორისო საპარლამენტაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარული ურთიერთობის დამყარების მიზნით, პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით განისაზღვრება მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობა. მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობას წარმართავს დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც ყოველი წლის საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვისა პარლამენტს წარუდგენს გაწეული საქმიანობის ანგარიშს. ანგარიშის მოსმენის დროს თანამომხსენებელია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. პლენარულ სხდომაზე ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლებელია დელეგაციის შემადგენლობაში ცვლილება შევიდეს.

სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებთან რეგულარული ურთიერთობის დამყარების მიზნით პარლამენტში დადგენილებით იქმნება მეგობრობის ჯგუფები. მეგობრობის ჯგუფების შემადგენლობას, როგორც წესი, პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით დადგენილებით ამტკიცებს პარლამენტი. მეგობრობის ჯგუფების

საქმიანობას კოორდინაციას უწევს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, რომელიც გაწეული საქმიანობის ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. ჯგუფის ხელმძღვანელი მეგობრობის ჯგუფის სხვა სახელმწიფოში ვიზიტისა და იქ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციას, ანგარიშს და მოსაზრებებს ვიზიტის თაობაზე ვიზიტის დამთავრებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის წევრთა ექვსკაციანი ჯგუფის, კომიტეტის, ფრაქციის მოთხოვნით ანგარიში შეიძლება პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი გახდეს.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირება, დენონსირება, გაუქმება

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმებისათვის პარლამენტს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი. რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმებისათვის წარმოდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებას (შეთანხმებას) უნდა ერთვოდეს ოფიციალური ტექსტის დადგენილი წესით დამოწმებული ასლი და დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს:

- მისი რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმების მიზანშეწონილობის დასაბუთებას;
- საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის განსაზღვრას;
- შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური და სხვა შედეგების შეფასებას.

საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) შინაარსიდან გამომდინარე, პარლამენტის ბიურო განსაზღვრავს წამყვან კომიტეტს საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმებისათვის მოსამზადებლად და აღნიშნულ კომიტეტს დასკვნისათვის გადაუგზავნის თანდართულ მასალებს. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმებისათვის მომზადებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ სხვა კომიტეტებმაც. საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმებისათვის მომზადებას წამყვან კომიტეტთან ერთად ორგანიზებას უწევს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, თუ იგი არ წარმოადგენს წამყვან კომიტეტს.

წამყვანმა კომიტეტმა ან/და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა შეიძლება სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან გამოითხოვოს საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირების,

დენონსირების ან გაუქმების მომზადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ის საერთაშორისო ხელშეკრულება (შეთანხმება), რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან, წინასწარ თანხმდება საფინანსო-საბიუჯეტო და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებთან. საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებული უფლებამოსილებით პარლამენტი ახდენს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ან სხვა სახელმწიფოთა ორგანოებთან სახელმწიფო საგარეო კრედიტების აღებასთან ან კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებათა (შეთანხმებათა) რატიფიცირებას.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო კრედიტებთან დაკავშირებით საკრედიტო ხელშეკრულებებისა და საგარეო კრედიტებზე საგარანტიო ხელშეკრულებების ის პროექტები, რომლებშიც განსაზღვრულია რატიფიცირების ვადები და ამ ვადების დაცვის პირობები, რეკომენდაციების მიცემის მიზნით, დადგენილი წესით წარედგინება პარლამენტს. წამყვანმა კომიტეტმა ან/და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (შეთანხმებასთან) დაკავშირებული ყველა ინფორმაცია უნდა წარუდგინოს პარლამენტს.

კომიტეტებში საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (შეთანხმებასთან) დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოებს საქართველოს პრეზიდენტის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის აუცილებელი მონაწილეობით, რომელსაც საკომიტეტო განხილვის თაობაზე ეცნობება არა უგვიანეს 48 (ორმოცდარვა) საათისა. მისი არმონაწილეობა ხელს ვერ შეუშლის საკითხის განხილვას, თუ კომიტეტი აუცილებლად არ მიიჩნევს საკითხის განხილვას მხოლოდ მისი მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში საკითხის განხილვა გადაიდება კომიტეტის მომდევნო სხდომამდე. წამყვანი კომიტეტის დასკვნა უნდა შეიცავდეს რეკომენდაციას რატიფიცირების ან რატიფიცირების უარყოფის შესახებ, წინადადებას – აუცილებლად მოხდეს რატიფიცირება, დენონსირება, გაუქმება ან დათქმა, ასევე მასთან დაკავშირებით, პარლამენტის მიერ მისაღებ რეკომენდაციებს. თუ წამყვანი კომიტეტი მიიჩნევს, რომ რატიფიცირება, დენონსირება ან გაუქმება აუცილებლად უნდა მოხდეს დათქმით, იგი უნდა შეუთანხმდეს საქართველოს პრეზიდენტს. თუ პრეზიდენტი თანხმობას განაცხადებს, საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირება, დენონსირება ან გაუქმება მოხდება შესაბამისი დათქმით, ხოლო თუ იგი წინააღმდეგი იქნება, საკითხს კვლავ განიხილავს წამყვანი

კომიტეტი თავის უახლოეს სხდომაზე. თუ პრეზიდენტი კვლავ აუცილებლად მიიჩნევს დათქმას, საკითხის განხილვა მოხდება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დათქმით.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირებასთან, დენონსირებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით მოხსენებით წარსდგება საქართველოს პრეზიდენტი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი. თანამომხსენებლად შეიძლება გამოვიდნენ პარლამენტის მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განსაზღვრული წამყვანი კომიტეტისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეები. რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმებისათვის წარდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებას (შეთანხმებას) პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესით და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებული არ იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმების შესახებ ითვლება, რომ მან ვერ გაიარა შესაბამისი პროცედურა და იგი ხელახლა განსახილველად უბრუნდება წამყვან კომიტეტს.

საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (შეთანხმებასთან) საქართველოს შერთების შესახებ პარლამენტში საკითხის შემოტანის შემთხვევაში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი შესაბამის კომიტეტებთან ერთად ამზადებს დასკვნას ამ თავით დადგენილი წესით და საკითხს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად. გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

იმპიჩმენტი

საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. წარდგინება უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ბრალდებას საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო ან უზენაეს სასამართლოს. თუ თავისი დასკვნით უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან საკონსტიტუციო სასამართლომ – საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი ამ დასკვნას

პლენარულ სხდომაზე განიხილავს. პარლამენტის გადაწყვეტილებით, პლენარული სხდომა შეიძლება დახურულად გამოცხადდეს. დასკვნის განხილვაში პარლამენტის მოწვევით შეიძლება მონაწილეობდეს ის თანამდებობის პირი, რომლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც არის აღძრული, ხოლო დასკვნის განხილვაზე ამ პირის დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი წარმომადგენელი.

საქართველოს უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დასმის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყების დღიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუ პარლამენტმა გადაწყვეტილება არ მიიღო, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წაყენება. პარლამენტის გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს პრეზიდენტს.

რეფერენდუმი

პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედს, სათანადო დასაბუთების საფუძველზე, შესაბამისი ხელმოწერებით დადასტურებული წერილობითი ფორმით შეუძლია პარლამენტში დასვას საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნის საკითხი, რომელიც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება მისი მიღებიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) დღისა. პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს მიმართვას რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნის შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს. თუ პარლამენტმა ვერ გადაწყვიტა რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნის საკითხი, იგი მოხსნილად ითვლება და მომდევნო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა აღარ შედგება.

თუ საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით ან 200000 (ორასი ათასი) ამომრჩევლის მოთხოვნით რეფერენდუმზე გაიტანს იმავე

საკითხს, რომელიც წარდგენილია პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად, იგი სხდომის დღის წესრიგიდან მოიხსნება.

პარლამენტის დაცვის უზრუნველყოფა

კანონმდებლობით დადგენილი წესით პარლამენტისა და პარლამენტის წევრთა დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. შესაბამისი კომიტეტი პარლამენტის დაცვის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს პარლამენტის შენობა-ნაგებობებში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმს, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე.

პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით შესაბამისი კომიტეტი შეისწავლის და განიხილავს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობას პარლამენტის დაცვის უზრუნველყოფის ნაწილში. პარლამენტის სასახლეში დაუშვებელია, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის წევრისათვის, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ტარება. ამ წესიდან გამონაკლისი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და პარლამენტის შენობა-ნაგებობებში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმით.

საკონტროლო კითხვები:

- რა წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საქმიანობის საფუძვლებს?
- რას ნიშნავს პარლამენტის კონსტიტუციური პრეროგატივა?
- ვინ არიან პარლამენტის სუბიექტები და რა უფლებამოსილებანი გააჩნიათ მათ?
- პარლამენტის წევრი და მისი სტატუსი;
- რა შემთხვევაში შეუწყდება პარლამენტის წევრს ვადამდე უფლებამოსილება?
- რა უფლებები აქვს პარლამენტის წევრს?
- რა ვალდებულებები აკისრია პარლამენტის წევრს?
- რისი უფლება არ აქვს პარლამენტის წევრს?
- რა უფლებები აქვს პარლამენტის წევრს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე?
- რა უფლებები აქვს პარლამენტის წევრს საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას?
- რა არის პარლამენტის კომიტეტი?
- რა კომიტეტები არის საქართველოს პარლამენტში?
- რას წარმოადგენს კომიტეტის აპარატი?
- რას წარმოადგენს საპარლამენტო ფრაქცია?

- რა ამოცანები აქვს საპარლამენტო ფრაქციას?
- ვინ არის პარლამენტის თანამდებობის პირი?
- რას წარმოადგენს პარლამენტის ბიურო?
- როგორია პარლამენტის სასესიო მუშაობის წესი?
- როგორ ხდება კანონპროექტის მომზადება და პარლამენტში წარდგენა?
- რა პროცედურებს გადის პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი?
- ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?
- რა აისახება განმარტებითი ბარათში რომელიც თან ერთვის კანონპროექტს?
- რას ნიშნავს კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება და რა აღინიშნება მასში?
- რას ნიშნავს კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან და რა აღინიშნება მასში?
- რა საკითხებზე აკეთებს დასკვნას იურიდიული დეპარტამენტი?
- რას ნიშნავს საკანონმდებლო წინადადება?
- როგორ ხდება კომიტეტში კანონპროექტის განხილვა?
- როგორ ხდება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვა და მიღება?
- როგორ ხდება კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება?
- როგორ ხდება კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღება?
- როგორ ხდება კანონპროექტის მესამე მოსმენით მიღება?
- როგორ ხორციელდება პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე კონტროლი?
- რა არის იმპიჩმენტი?
- რა არის რეფერენდუმი?

ნორმატიული აქტები:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს კანონი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“

სასარგებლო ბმულები:

საქართველოს პარლამენტი - <http://www.parliament.ge>

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ი უ ს ტ ი ც ი ი ს ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს სამართლის დარგში ერთ-ერთ წამყვან სტრუქტურას (დაწესებულებას), რომელში მუშაობაც მრავალი იურისტის მიზანს წარმოადგენს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, თავისი არსებობის მანძილზე, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მრავალი ცვლილება და რეორგანიზაცია განიცადა.

დამოუკიდებელ საქართველოში იუსტიციის სამინისტრო ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებაში შედიოდა სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელობა. 1918 წლის 11 ოქტომბრის კანონით იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელიც ახორციელებდა კანონმდებლობის კოდიფიკაციასა და „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის“ ოფიციალურ გამოცემას. ასევე, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად, გამოსცემდა ინსტრუქციას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, იუსტიციის სამინისტრო იუსტიციის სახალხო კომისარიატად ჩამოყალიბდა. საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 მარტის დადგენილების საფუძველზე, იუსტიციის სახალხო კომისარი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა. 1921 წლის 11 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, განისაზღვრა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულება მიღებულ იქნა 1925 წელს, რომლითაც განისაზღვრებოდა მისი უფლებამოსილება. იუსტიციის სახალხო კომისარიატი ახორციელებდა სასამართლო ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას, კანონპროექტების მომზადებას, რესპუბლიკის კანონებისა და მთავრობის დადგენილებების გამოქვეყნებას, ზედამხედველობდა და განაგებდა დამცველთა კოლეგიისა და ნოტარიუსების მუშაობას. 1930 წლის 17 იანვრის დადგენილებით, იუსტიციის სახალხო კომისარიატის

უფლებამოსილებანი მნიშვნელოვნად შეიზღუდა და მისი ძირითადი ფუნქციების განხორციელება დაევალა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, თუმცა 1936 წლის 20 ივლისს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის შექმნის შემდეგ და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 20 იანვრის დადგენილებით, კომისარიატს კვლავ აღუდგა ხსენებული უფლებამოსილებები. ამავე დროს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი უშუალოდ დაექვემდებარა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომლითაც განისაზღვრა სასამართლოსა და პროკურატურის ორგანიზაციისა და უფლებამოსილებების ძირითადი პრინციპები, 1940 წლის 26 მარტს, მიღებულ იქნა დადგენილება, რითაც განისაზღვრა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უფლებამოსილება და სტრუქტურა. 1946 წლიდან იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეეცვალა სახელწოდება და მას იუსტიციის სამინისტრო ეწოდა.

ცალკე აღსანიშნავია ამავე პერიოდში იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და პროკურატურის უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი. 1922 წლის 15 ნოემბერს დაარსდა საქართველოს სსრ პროკურატურა, რომელიც იუსტიციის სახალხო კომისარიატში შევიდა სამმართველოს სახით.

რესპუბლიკის პროკურორის ფუნქციებს ასრულებდა იუსტიციის სახალხო კომისარი. 1930 წლის 17 იანვარს პროკურატურა დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა, ხოლო სამი წლის შემდეგ, 1933 წლის 4 იანვრის სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ“ დადგენილებით, სახელმწიფო პროკურატურა ხელახლა ჩამოყალიბდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში, თუმცა 1936 წლიდან, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის შექმნასთან დაკავშირებით, პროკურატურა საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფო უწყებად.

1956 წელს სსრ კავშირში სახელისუფლო და სამთავრობო რეორგანიზაციის კვლავდაკვალ, გაუქმდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, რის საფუძველზეც საქართველოს სსრ იუსტიციის საკავშირო რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნა რესპუბლიკურ სამინისტროდ. სულ მალე, 1959 წელს, სამინისტრო საერთოდ გაუქმდა და მისი ფუნქციები საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსა და

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას გაუნაწილდა.

1970 წელს კვლავ შეიქმნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, რომლის დებულება მიღებულ იქნა 1972 წლის 7 აგვისტოს, რომელიც ცვლილებებისა და დამატებების (მათ შორის, საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შემდეგ მიღებული ცვლილებებისა და დამატებების) გათვალისწინებით, მოქმედებდა 1993 წლის 20 დეკემბრამდე.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მოქმედებდა რამდენიმე დებულება, კერძოდ: 1993 წლის 20 დეკემბრის, 1996 წლის 8 აპრილის, 1997 წლის 22 სექტემბრის, 1999 წლის 31 მაისის, 2000 წლის 13 მარტისა და 2000 წლის 30 ოქტომბრის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციასა და სტრუქტურას.

დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენცია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით (1997 წლის 8 ივლისი), იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში აღარ შედის საერთო სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა; ამავე დროს, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების ჩატარების შემდეგ (1998 წ.) იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაშია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების რეგისტრაცია და კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობა. მოწინავე დემოკრატიული სახელმწიფოების იუსტიციის სამინისტროების ანალოგიურად, სამინისტრომ შეიძინა ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპეტენცია, როგორცაა: სასჯელაღსრულების სისტემის მართვა და მისი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა (2000 წლის 1 იანვრიდან), აგრეთვე, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ფუნქცია (2004 წელი), სახელმწიფოს არქივების მართვა (2004 წელი). ევექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიისა და მისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა (2006 წელი) და სხვა მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები.

ამჟამად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თავის საქმიანობის

განხორციელებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის #541 ბრძანებულებით, რომლის სამართალმდგომარეობებსაც გთავაზობთ ქვემოთ:

სამინისტროს მმართველობის სფერო, ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

- სამართალმემოქმედება და ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და სახელმწიფო რეგისტრაცია;
- სამართლებრივი ინფორმატიზაციისა და იურიდიული განათლების საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება;
- საქართველოს კანონთა წიგნისა და ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოცემის უზრუნველყოფა;
- კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერების ან გაუქმების მოთხოვნა;
- სახელმწიფო ვალის აღებასთან, კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, აგრეთვე იმ ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელთა ღირებულება აღემატება მილიონ ლარს ან/და რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ;
- საწარმოთა მიერ, რომელთა აქციათა საკონტროლო პაკეტს ან წილის 50 (ორმოცდაათ) პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, დასაძებ იმ ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ;
- სახელმწიფო ვალის აღების და კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ ხელშეკრულებათა, აგრეთვე საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებული პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შესრულების დადასტურება (იურიდიული დასაბუთება);

- არბიტრაჟებში ან უცხო ქვეყნის სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობა ან/და სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხო სახელმწიფოში გასაგზავნად საქართველოში გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული ან დადასტურებული დოკუმენტების გაფორმება-ლეგალიზაცია ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება;
- ჰააგის კერძო სამართლის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში მოქმედი შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია;
- ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ორგანოებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციის შესრულება, ამ სფეროში სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის კოორდინაცია;
- საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა;
- კანონით დადგენილ ფარგლებში საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესრულების უზრუნველყოფა;
- სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული სხვა აქტების აღსრულების უზრუნველყოფა;
- მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტა;
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურება, საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა და ამ სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელება;
- კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიატის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება;
- კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაცია;
- სახელმწიფო საარქივო საქმიანობის განხორციელება;
- კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენისა და მათი საჯაროობის უზრუნველყოფა;

- სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
- სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით წინასწარი გამოძიების ჩატარება;
- ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა;
- თავისუფლებადაკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმება და საპროცესო მოვალეობების განხორციელება დაკავების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც ადასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს;
- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მხარის სტატუსით მონაწილეობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება;

სამინისტროს უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- სამთავრობო დაწესებულებებისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების ექსპერტიზა;
- სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია, ნორმატიული აქტების საკონტროლო ეგზეკუტარების წარმოება ნაბეჭდი და მაგნიტური მატარებლების სახით;
- სამართლებრივი ინფორმატიზაციის პროგრამის მომზადება, ერთიანი სისტემის ფორმირების უზრუნველყოფა, კანონმდებლობის ერთიანი დარგობრივი კლასიფიკატორისა და სამართლებრივი კოდირების სისტემის განვითარება და სრულყოფა;
- ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერების ან გაუქმებისათვის უფლებამოსილი ორგანოებისადმი (თანამდებობის პირებისადმი) მიმართვა ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერების ან გაუქმების მოთხოვნით;

- საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, საქართველოს კანონთა წიგნის, ნორმატიული აქტების ოფიციალური ტექსტების გამოცემა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან, ევროპულ სამართალთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ამ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების სახელმწიფო პროგრამების შესრულების კოორდინაცია;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოსათვის უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარების კოორდინაცია და ორგანიზება;
- სახელმწიფო ვალის აღებასთან და კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დასადებ ხელშეკრულებათა, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებათა, სამართლებრივი ექსპერტიზა და სამართლებრივი დასკვნის გაცემა ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის თაობაზე;
- ადმინისტრაციული ხასიათის საგრანტო ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- სასესხო და სხვა ხასიათის იმ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელთა ღირებულება აღემატება ერთ მილიონ ლარს ან/და რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ;
- საწარმოთა მიერ, რომელთა აქციათა საკონტროლო პაკეტს ან წილის 50 (ორმოცდაათ) პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, დასადებ იმ ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლებიც ითვალისწინებს მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ;
- სახელმწიფო ვალის აღებასთან და კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებათა, აგრეთვე საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებული პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შესრულების დადასტურება (იურიდიული დასაბუთება) და შესაბამისი დასკვნის გაცემა;
- არბიტრაჟებში ან უცხო ქვეყნის სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობა ან/და სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის კოორდინაცია;

- კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხო სახელმწიფოში გასაგზავნად საქართველოში გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული ან დადასტურებული დოკუმენტების გაფორმება-ლეგალიზაცია;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება;
- ჰააგის კერძო სამართლის საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში მოქმედი შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა;
- სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მომზადება, დადება და მათი შესრულების ორგანიზება;
- ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სხვა ორგანოებიდან სათანადო ინფორმაციის, მასალის, საქმეების, დოკუმენტაციის გამოთხოვა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სახელმწიფოს სახელით წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით წინადადებების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის კოორდინაცია, ამ მიზნით შექმნილი საუწყებთაშორისო კომისიების ხელმძღვანელობა და მათი საქმიანობის წარმართვა, სამთავრობო და სხვა ორგანოებიდან სათანადო ინფორმაციის, მასალის, საქმეების, დოკუმენტაციის გამოთხოვა, სახელმწიფოს სახელით დასკვნებისა და სხვა დოკუმენტაციის მომზადება და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენა;
- სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და კანონის შესაბამისად აღსრულებას დაქვემდებარებული სხვა აქტების აღსრულების განხორციელება;
- საზღვარგარეთის ქვეყნების უფლებამოსილი ორგანოების სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის შესრულება, კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებულთა გადაცემისა და ექსტრადიციის საკითხთა გადაწყვეტა;
- საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტა;

- საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, აღდგენისა და შეწყვეტის საკითხთა განხილვა;
- ბინადრობის ნებართვის მინიჭებისა და უცხოელთა საქართველოდან გამეგების საკითხთა განხილვა-გადაწყვეტა;
- ემიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტა;
- ნოტარიუსებისა და ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის ზედამხედველობა;
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა (პარტიების) და შემოქმედებითი კავშირების სახელმწიფო რეგისტრაცია, რეგისტრირებული ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლი კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში;
- ეროვნული საარქივო ფონდის შექმნა და შევსება;
- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვა, კონსერვაცია და რესტავრაცია;
- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვა, აღწერა, აგრეთვე მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კანონით დადგენილ ფარგლებში;
- სამოქალაქო რეესტრის წარმოების უზრუნველყოფა;
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოება;
- ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- საჯარო რეესტრისა და მიწის ერთიანი კადასტრის წარმოების უზრუნველყოფა;
- საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურება, საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა, ამ სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება და კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობა;
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ჩაბარების პროცესის ორგანიზება კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საჯაროობის უზრუნველყოფა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღმასრულებლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აღკვეთა და გამოვლენა;
- კანონით დადგენილი წესით უცხოელი ადვოკატების განცხადებათა განხილვა საქართველოს სასამართლოებში დამცველად ან მხარეთა წარმომადგენლად დაშვების შესახებ;

- კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სამტატო ნუსხების დამტკიცება და საქმიანობის გეგმების შემუშავება, მათთვის საჭირო ფულადი და სხვა სახსრების გაცემის უზრუნველყოფა;
- სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მოხელეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
- სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით წინასწარი გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება;
- ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა;
- თავისუფლებადაკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმება და საპროცესო მოვალეობების განხორციელება დაკავების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების ადკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც ადასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს;
- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მხარის სტატუსით მონაწილეობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

სამინისტროს ხელმძღვანელობა და პერსონალი

სამინისტროს ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდეგში - მინისტრი), რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მინისტრს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მინისტრი:

- ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;
- წარმოადგენს სამინისტროს და ანიჭებს სამინისტროს წარმომადგენლობას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქველწყებო დაწესებულებების და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მოვალეობათა შესრულების მიმდინარეობას და ახორციელებს სამინისტროს მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს პირველი მოადგილისა და მოადგილეების კანდიდატურებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებას;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, პროკურატურის მუშაკებს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოსამსახურეებს;
- შესაბამის საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან შეთანხმებით ადგენს საკონკურსო და საატესტაციო მოთხოვნებს სამინისტროს მოხელეებისადმი;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ნოტარიუსებს და კანონის შესაბამისად ახორციელებს მათი საქმიანობის ზედამხედველობას;
- დადგენილი წესით საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პრეზიდენტს განსახილველად წარუდგენს ნორმატიული აქტების პროექტებს;
- საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ შემთხვევებში, კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად

- გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს;
- იღებს გადაწყვეტილებას უცხოელთა საქართველოდან გაძევების საკითხზე;
 - კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს მოხელეებს სახელმწიფო სპეციალურ წოდებებს;
 - მოხელეებს წარადგენს საპატიო წოდებებისა და სახელმწიფო ჯილდოების მისანიჭებლად;
 - სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხარჯთა ნუსხებს, აკონტროლებს მათ შესრულებას და აუცილებლობის შემთხვევაში იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;
 - ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებებს, ადგენს მათ სტრუქტურასა და საქმისწარმოების წესს;
 - ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს;
 - უფლებამოსილია სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხის მოსამზადებლად შექმნას სათათბირო ორგანოები - კომისიები და საბჭოები, განსაზღვროს მათი ამოცანები, მათ მიერ დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესი;
 - წვეტს სამართლებრივ დავას სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის;
 - დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები გადაწყვეტილებათა მისაღებად იმ საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება სამინისტროს გამგებლობის სფეროს;
 - საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;
 - პასუხს აგებს შესაბამისი სახელმწიფო ქონების დაცვისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - კანონით დადგენილი წესით უწევს სამსახურებრივ ზედამხედველობას (სახელმწიფო კონტროლს) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს

მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას, სამინისტროს თანამდებობის პირებისა და მოხელეების აქტებსა და მოქმედებებს;

- ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირების აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, სხვა კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე მინისტრის ბრძანებებს;
- კანონით დადგენილი წესით აჩერებს სამინისტროს თანამდებობის პირთა და მოხელეთა მიერ გამოცემული აქტის აღსრულებას ან მოქმედების შესრულებას, გასცემს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს აქტის შეცვლის, მოქმედებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან ახალი მოქმედების შესრულების შესახებ;
- კანონით დადგენილი წესით ძალადაკარგულად ცნობს სამინისტროს თანამდებობის პირთა აქტებსა და მოქმედებებს მათი მიზანშეწონილობის მოტივით;
- მონაწილეობს მთავრობის სხდომებში;
- ამტკიცებს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესს;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქმნის და აუქმებს პროკურატურის ორგანოებს, განსაზღვრავს მათ სამოქმედო ტერიტორიას და ადგენს სტრუქტურულ ერთეულთა კომპეტენციას;
- კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას;
- ამტკიცებს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს;

- მთავარი პროკურორის წარდგინებით შეიმუშავებს წინადადებებს პროკურატურის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ;
- წარმოადგენს პროკურატურას საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობებში;
- აუქმებს ქვემდგომი პროკურორების მიერ გამოცემულ კანონსაწინააღმდეგო ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს;
- წყვეტს მთავარი პროკურორის, ასევე მთავარი პროკურორის წარდგინებით მთავარი პროკურორის მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, ქ. თბილისის და საოლქო პროკურორების მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხებს;
- ამტკიცებს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსს;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მინისტრის უფლებამოსილება წყდება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით.

მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე, რომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, თუ კანონითა და მთავრობის აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება შეუწყდებათ მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მინისტრის დანიშვნისთანავე.

მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას, რომლებიც მინისტრის ბრძანებით მის დაქვემდებარებაშია გადაცემული. მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის არყოფნის შემთხვევაში, ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საკვეთუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული

პირების საქმიანობას. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

სამინისტროს თანამდებობის პირები არიან:

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- სამინისტროს დაქვემდებარებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ემორჩილება მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

- ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს;
- თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას;
- ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;
- ანგარიშვალდებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობისათვის;
- წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობების შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს მინისტრის მოადგილეს, რომელიც მინისტრის ბრძანების შესაბამისად ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;
- წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანათა შესასრულებლად;

- შუამდგომლობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;
- ასრულებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, მინისტრის ან/და უშუალო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

სამინისტროს საშტატო შემადგენლობაში არიან:

- მინისტრის მრჩეველები;
- მინისტრის (მინისტრის მოადგილეების) თანაშემწეები;
- სამინისტროს მრჩეველები;
- სამინისტროს სპეციალისტები.

მინისტრის მრჩეველები და თანაშემწეები უშუალოდ ემორჩილებიან მინისტრს. მათ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. მინისტრის მრჩეველი და თანაშემწე თანამდებობაზე ინიშნებიან მინისტრის უფლებამოსილების ვადით.

მინისტრის მოადგილის თანაშემწეს მინისტრის მოადგილის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. მინისტრის მოადგილის თანაშემწე უშუალოდ ემორჩილება მინისტრის მოადგილეს. მინისტრის მოადგილის თანაშემწე თანამდებობაზე ინიშნება მინისტრის მოადგილის უფლებამოსილების ვადით.

სამინისტროს მრჩეველებს და სამინისტროს სპეციალისტებს თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრი კანონით დადგენილი წესით. სამინისტროს მრჩეველების და სამინისტროს სპეციალისტების მოვალეობანი და ქვემდებარეობა განისაზღვრება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებება საქართველოს პროკურატურა.

სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია:

- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
- „საქართველოს კანონთა წიგნისა“ და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია;
- საქართველოს ნოტარიუსთა პალატა;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო;
- სამოქალაქო რეესტრის სააგენტო;
- საქართველოს ეროვნული არქივი;
- აღსრულების ეროვნული ბიურო.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ადმინისტრაცია (დეპარტამენტი);
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტი;
- ანალიტიკური დეპარტამენტი;
- გენერალური ინსპექცია;
- ეკონომიკური დეპარტამენტი;
- ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტი;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი;
- საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- სამართალშემოქმედების დეპარტამენტი;
- რეგისტრაციის, ნოტარიატისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენცია და სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებით, ასევე სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით,

რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს შიდა სტრუქტურულ ერთეულებად, რომელთა სახელწოდება და კომპეტენცია განისაზღვრება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით.

ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანებია:

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში მინისტრისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური და საინფორმაციო მომსახურების გაწევა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებასთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა, საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;
- სამინისტროში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება;
- თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა;
- სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქმისწარმოების ერთიანი წესების დამკვიდრება;
- საქმისწარმოების საკითხებზე ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა;
- სამინისტროს მიერ მიღებულ საკონტროლო დავალებათა შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა;

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის ამოცანებია:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის ორგანიზება;
- სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სხვა ორგანოებიდან მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის, მასალის, საქმეების, დასკვნებისა და სხვა დოკუმენტაციის დროულად მიღების ორგანიზება და დამუშავება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფოს სახელით წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადების მიზნით;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის წინადადებათა შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების მიერ საგამოძიებო მოქმედებათა განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით წინადადებათა შემუშავება და წარდგენა; საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის პოპულარიზაცია.

ანალიტიკური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- სამინისტროს სისტემაში სტატისტიკური და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება;
- სამინისტროს საქმიანობის შესწავლა, მიღებული მონაცემების ანალიზისა და განზოგადების შედეგად სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების მომზადება და წინადადებების შემუშავება სამინისტროს საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა ოპტიმიზაციის მიზნით;
- საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი რეფორმების განხორციელების მიზნით.

გენერალური ინსპექციის ძირითადი ამოცანებია:

- სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით წინასწარი გამოძიების ჩატარება პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-335-ე, 337-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში;

- სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;
- სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების განხორციელება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა;
- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების კონტროლის განხორციელება.

ეკონომიკური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანება:

- სამინისტროს სისტემის ეკონომიკური, ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია და მართვა, სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;
- საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და ხარჯთა ნუსხის შედგენა;
- სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ფუნქციონირების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანება:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- საქართველოს კანონმდებლობის სისტემატიზაცია და საკონტროლო მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- სამართალშემოქმედებითი პროცესისა და სამართლებრივი ექსპერტიზის ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირების) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანა და მათი

საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე სამართლებრივი დასკვნის გაცემა;

- სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების (სამსახურების) ხელმძღვანელობა და კონტროლი;
- თვითმმართველი ერთეულების რეესტრის წარმოება.

საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- სახელმწიფო ვალის აღებასთან და კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დასადებ ხელშეკრულებათა, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებათა, სამართლებრივი ექსპერტიზა და სამართლებრივი დასკვნის გაცემა ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის თაობაზე;
- ადმინისტრაციული ხასიათის საგრანტო ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- სასესხო და სხვა ხასიათის იმ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელთა ღირებულება აღემატება ერთ მილიონ ლარს ან/და რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ;
- საწარმოთა მიერ, რომელთა აქციათა საკონტროლო პაკეტს ან წილის 50 (ორმოცდაათ) პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, დასადებ იმ ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლებიც ითვალისწინებს მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ;
- არბიტრაჟებში ან უცხო ქვეყნის სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობა ან/და სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხო სახელმწიფოში გასაგზავნად საქართველოში გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული ან დადასტურებული დოკუმენტების გაფორმება (ლეგალიზაცია);
- კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჰააგის კერძო სამართლის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში მოქმედი შეთანხმებებითა

და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა;

საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი ურთიერთობებისა და სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების პროექტების მომზადება, დადება და შესრულების ორგანიზება;
- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, შეჩერებისა და შეწყვეტის თაობაზე წინადადებების შემუშავება. სამართლებრივი დასკვნის მომზადება საერთაშორისო ხელშეკრულებების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის, აგრეთვე მათი სავალდებულოდ აღიარების, მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების სამართლებრივი შედეგების შესახებ;
- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და/ან შესრულების კოორდინაცია;
- საქართველოსათვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა, ამ მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება და თანამშრომლობა ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოთა შესაბამის უწყებებთან;
- საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის ხელშეწყობა;
- სამინისტროს ურთიერთობის უზრუნველყოფა საზღვარგარეთის სახელმწიფო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა, მასთან სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის კოორდინაცია;
- სხვა სახელმწიფოებისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში წინადადებათა შემუშავება და წარდგენა.

საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- სამინისტროს სისტემის საკადრო რესურსების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დადგენილი წესის შესაბამისად დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების, შვებულებისა და მივლინების შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადება;
- სოციალური საკითხების გადაწყვეტა და საპენსიო საბუთების გაფორმება ნამსახურობის მიხედვით;
- სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებასთან და გამზადებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა;
- სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის სახელმწიფო სპეციალურ წოდებათა მინიჭების საკითხების მომზადება;
- სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსისა და ატესტაციის გამართვის ორგანიზება, აგრეთვე სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- დადგენილი წესით სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა რეზერვის ერთიანი ბანკის შექმნა და რეზერვისტთა მიზნობრივი გამოყენება;
- სამინისტროს შინაგანაწესის შემუშავება და მისი შესრულების კონტროლის განხორციელება, სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში მინისტრის ბრძანებების რეესტრის წარმოება;
- სამოქალაქო თავდაცვისა და სამხედრო სამობილიზაციო საქმიანობის განხორციელება;
- დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება.

სამართალშემოქმედების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- კანონშემოქმედებით სფეროში პარლამენტისა და სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია და საპარლამენტო მდივნისათვის „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელის შეწყობა;

- სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- მინისტრის მიერ გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საკვეთუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების ვიზირება;
- სამართლის ცალკეული დარგების განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი, სხვა სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების პრობლემატიკის შესწავლა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მიზნით;
- ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო წინადადებათა წარდგენა;
- მოქმედი ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და სამართლებრივი კოლიზიების აღმოფხვრის თაობაზე კონკრეტული წინადადებების, დასკვნებისა და პროექტების მომზადება;
- ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენა;

რეგისტრაციის, ნოტარიატისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა და შემოქმედებითი კავშირების რეგისტრაცია;
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) და შემოქმედებითი კავშირების რეესტრების წარმოების უზრუნველყოფა;
- ნოტარიატის სფეროში მინისტრის (სამინისტროს) კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ნოტარიატთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა;
- ნოტარიატის საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;
- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და მინისტრის შესაბამისი დავალების საფუძველზე ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის ზედამხედველობა;

- კომპეტენციის ფარგლებში სასამართლო დავებზე სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- სასამართლო დავებზე სამინისტროს წარმომადგენლობის კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო დავების ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, აღრიცხვა და ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- სამინისტროში მომზადებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირება და სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა;
- სამინისტროს მიერ სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის მიერ დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებული იმ სხვა სამართლებრივი ხასიათის ამოცანების შესრულება, რომლებიც არ შედის სამინისტროს სხვა სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციაში და მიეკუთვნება სამინისტროს მმართველობის სფეროს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები:

- სამინისტროს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სამინისტროს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი საინფორმაციო – საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში;
- სამინისტროს სისტემის კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ქსელების ფორმირება-სრულყოფა;
- სამინისტრო სისტემაში ლოკალური კომპიუტერული ქსელის ფუნქციონირების ხელშეწყობა და სამინისტროს ინტერნეტთან კავშირის უზრუნველყოფა.

სათათბირო ორგანოები

მინისტრს სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლისა და მომზადების მიზნით შეუძლია შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებებით (შემდეგში - სათათბირო ორგანოები).

სათათბირო ორგანო იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განსაზღვრება მისი ამოცანები, თავმჯდომარე (საჭიროების შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) და წევრები, ამოცანის შესრულების ვადა, დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესი და სათათბირო ორგანოს საქმიანობის უზრუნველყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფები. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.

სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს მინისტრს. მოხელე ან პირი, რომელიც მოხელე არ არის, სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ თავისი თანხმობით. თუ სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე არ არის მოხელე, რომელიც შედის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ან არ არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობიდან ან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებიდან ნიშნავს ამ ორგანოს მუშაობისათვის პასუხისმგებელ პირს. სათათბირო ორგანოს საქმიანობასა და სხდომაზე საოქმო წარმოებას უზრუნველყოფს მისი მომსახურე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი. სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე, თუ სათათბირო ორგანოს შექმნის დროს სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული. სათათბირო ორგანოს მუშაობისას დამატებითი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება შეიძლება ანაზღაურდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრები:

შალვა ალექსი-მესხიშვილი - 1918-1919



შალვა ალექსი-მესხიშვილი დაიბადა 1884 წელს ქ. თელავში.

1902-1904 წლებში სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. 1909 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1910 წლიდან დაიწყო საადვოკატო პრაქტიკა თბილისში. იყო სოციალის-ფედერალისტთა

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. იგი პარტიიდან გავიდა და იუსტიციის მინისტრი იყო 1918-1919 წლებში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შალვა ალექსი-მესხიშვილი ემიგრაციაში არ წასულა. მან თავი გამოიჩინა ე.წ. „აჭარელთა საქმის“ დროს (II მსოფლიო ომის წლებში). აჭარლებმა ვითომ აჯანყება მოაწყეს და თურქებს მიეზხრნენ. ამით ისარგებლეს რუსებმა და აჭარლები დაარბიეს. ამ საქმეში ბრალდებულებს შალვა ალექსი-მესხიშვილი იცავდა.

შალვა ალექსი-მესხიშვილი გარდაიცვალა 1960 წელს.

რაჟდენ არსენიძე - 1919-1921



რაჟდენ არსენიძე დაიბადა 1880 წლის 1 ოქტომბერს, სოფელ სოჩხეთში.

სწავლობდა ქ. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა იურიელის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო იურიდიული განათლება.

თავისი პოლიტიკური მრწამსით იგი იყო სოციალ-დემოკრატი.

ციმბირში გადასახლებულმა რაჟდენ არსენიძემ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს მიაშურა.

იგი მონაწილეობდა 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტის შექმნაში.

1919 წელს რაჟდენ არსენიძე დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი იყო.

1921 წელს არსენიძე იძულებული გახდა, ემიგრაციაში გახიზნულიყო. იგი გარდაიცვალა 1965 წლის 24 მაისს, საფრანგეთში, ლევილიში.

ევგენი გეგეჭკორი - 1921



ევგენი გეგეჭკორი დაიბადა 1880 წელს.

ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1906 წელს. 1903 წელს ევგენი გეგეჭკორი გაწევრიანდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 1903-1904 წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში. ევგენი გეგეჭკორი არჩეული იყო რა მე-3 მოწვევის

სახელმწიფო დუმის ქუთაისის გუბერნიის დეპუტატად, სისტემატიურად თანამშრომლობდა ლეგალურ სოციალ დემოკრატიულ გამომცემლობებთან. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის დროებითი მთავრობის კომისარად. აგრეთვე, იყო ამიერკავკასიის მენშევიკ-ესერთა პირველი მოწვევის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე.

1917 წლის ბოლოდან იყო ამიერკავკასიის მთავრობის (სეიმის) თავმჯდომარე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იგი აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

1918 წლის 2 ივნისს ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო 1919 წლის 12 მარტის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, გეგეჭკორმა დაიკავა ჯერ საგარეო საქმეთა, ხოლო შემდეგ - 1921 წელს - იუსტიციის მინისტრის პოსტი.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ევგენი გეგეჭკორმა მენშევიკურ მთავრობასთან ერთად დატოვა საქართველო.

ჯონი ხეცურიანი - 1990-1992 - 1999-2000

ჯონი ხეცურიანი დაიბადა 1951 წლის 23 ნოემბერს ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში. საშუალო განათლება მიიღო ქ.ქუთაისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული (1973 წ.) და ეკონომიკის (1988 წ.) ფაკულტეტები. 1973-1976 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1976-1979 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1977 წელს ქ. ხარკოვის იურიდიულ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში“.

1980-1985 წლებში მუშაობდა ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციებში, კურირებდა სამართალდამცავ ორგანოებს. 1985-1989 წლებში სამეცნიერო მოღვაწეობა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, მართვის სამართლებრივი პრობლემების ლაბორატორიის ხელმძღვანელად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1990 წელს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ.

1990-1992 და 1999-2000 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

1992-1994 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, 1994 წლიდან კი – პროფესორი. 1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სამოქალაქო სამართლის ფუნქციები“.

1995-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად.

1999-2000 წლებში იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 6 წიგნი სამოქალაქო სამართლის, კონსტიტუციის და სისხლის სამართლის პრობლემებზე.

არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. მინიჭებული აქვს იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველის სპეციალური წოდება და უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი.

კონსტანტინე კემულარია - 1992-1993 - 2004-2005



კონსტანტინე კემულარია დაიბადა 1954 წელს ქ. ხობში.

1975 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. სოხუმის პროკურატურაში გამომძიებლად. 1976 წელს გადაყვანილ იქნა ქ. ქუთაისის პროკურატურაში უფროს გამომძიებლად, სადაც მუშაობდა 1979 წლის ნოემბრამდე. შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში,

მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1980 წელს ჩაირიცხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში (ქ. მოსკოვი). 1980 - 1993 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი.

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სისხლის სამართლის პროცესში.

1983 წელს დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სადაც მუშაობდა 1987 წლამდე.

1987-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოს პროკურორი, ქ. ჭიათურის პროკურორი, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების გამგის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, არჩეული იყო პროკურატურის კოლეგიის წევრად. ამავე პერიოდში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

1992-1993 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

1994-1995 წლებში იყო ქ. მოსკოვის იურიდიული სამსახურის „ინიურკონსალტინგის“ ხელმძღვანელი. 1995 წელს მან ქ. თბილისში ჩამოაყალიბა საერთაშორისო იურიდიული კომპანია „ინიურსერვისი“.

1998 წელს არჩეულ იქნა ქ. თბილისის საკრებულოს წევრად. ხელმძღვანელობდა საკრებულოს იურიდიულ კომისიას.

1999-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.

2004 წლის თებერვლიდან 2004 წლის ივნისამდე იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში.

2004 წლის ივნისიდან 2005 წლის 17 თებერვლამდე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

2005 წლის 18 თებერვლიდან 2005 წლის დეკემბრამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი და ვიცე-პრემიერი.

თედო ნინიძე - 1993 - 1998



თედო ნინიძე დაიბადა 1950 წლის 2 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში.

1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1974 წელს კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა, სამოქალაქო სამართლის სპეციალობით.

1978-1989 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და

სამართლის ინსტიტუტში. 1989-1990 წლებში არჩეული იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად. 1991-1992 წლებში კი სახელმწიფო საბჭოში იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ.

1992-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურორად.

1993-1998 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ლადო ჭანტურია - 1998-1999

ლადო ჭანტურია დაიბადა 1963 წლის 14 აპრილს, წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარში. 1980 წელს დაამთავრა ჯვარის პირველი საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1985 წელს.

1986-1989 წლებში სწავლობდა მოსკოვის საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1989 წელს დაიცვა

საკანდიდატო დისერტაცია.

1991-1993 წლებში, როგორც გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის სტიპენდიატმა, სამეცნიერო სტაჟირება გაიარა გეტინგენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქვე დაამთავრა მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე, რომელიც დაიცვა 1994 წელს.

1985-1995 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ლაბორანტი, ასისტენტი და დოცენტი.

1993 წლიდან 1996 წლამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი.

1997 -1999 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი.

1998-1999 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

1993-1996 წლებში იყო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების პროექტის კოორდინატორი საქართველოში. ამ პროექტის ფარგლებში გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობით მრავალი კანონპროექტი მომზადდა, რომლებიც მიზნად ისახავენ კერძო სამართლის რეფორმას საქართველოში. 1996 წლიდან არის გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ექსპერტი კერძო სამართლის რეფორმის საკითხებზე ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში.

არის სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ.

მიხეილ სააკაშვილი - 2000-2001



მიხეილ სააკაშვილი დაიბადა 1967 წლის 21 დეკემბერს, თბილისში.

1984 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის №51 საშუალო სკოლა.

1995-1996 წლებში სწავლობდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ეროვნული ცენტრის დოქტორანტურაში.

1994 წელს დაიცვა სამართლის მაგისტრის ხარისხი ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სადაც ის სწავლობდა, როგორც ამერიკის კონგრესის სტიპენდიატი. 1992 წელს წარჩინებით დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს საფრანგეთში ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დიპლომი ადამიანის უფლებათა შედარებით სამართალში.

მუშაობდა ნორვეგიის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტში და ნიუ-იორკის უდიდეს საადვოკატო ფირმაში.

1995-1999 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

1995 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარედ.

2000 წლის 24 იანვარს აირჩიეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად.

2000 წლის 12 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.

2001 წლის სექტემბერში პრეზიდენტის კურსისა და მთავრობაში გამეფებული კორუფციისადმი პროტესტის ნიშნად, მინისტრის თანამდებობიდან გადადგა.

როლანდ გილიგაშვილი - 2001-2003

როლანდ გილიგაშვილი დაიბადა 1952 წლის 18 მარტს გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში.

1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1978-1983 წლებში მუშაობდა თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობისა და საგამოძიებო განყოფილების პროკურორად.

1983-1986 წლებში მუშაობდა კალინინის რაიონის პროკურორად. 1986-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

1987-1999 წლებში იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 1999-2001 წლებში კი საქართველოს პარლამენტის წევრი და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე.

2001 - 2003 წლებში როლანდ გილიგაშვილი იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

ზურაბ ადეიშვილი - 2003-2004

ზურაბ ადეიშვილი დაიბადა 1972 წლის 27 ივლისს ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში.

1988 წელს დაამთავრა მთისძირის საშუალო სკოლა.

1994 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1997 წელს ჩაირიცხა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1998-1999 წლებში სწავლობდა ნიდერლანდებში, გრონიנגენის სამეფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

1996 წლის თებერვლიდან 1999 წლის ივნისამდე მუშაობდა საქართველოს პარლამენტში - საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყვან სპეციალისტად.

1999 წლის ივნისიდან 1999 წლის სექტემბრამდე სამართლებრივი განათლებისა და ინფორმატიზაციის აღმასრულებელი დირექტორი.

1999 წლის სექტემბრიდან 1999 წლის ნოემბრამდე მუშაობდა იურიდიულ ფორმაში „ოქრუაშვილი და პარტნიორები“ იურისტად.

1999 წლის ნოემბრიდან 2002 წლის მაისამდე საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომიტეტის თავმჯდომარე.

2002 წლის მაისიდან 2003 წლის დეკემბრამდე - საქართველოს პარლამენტის წევრი.

2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.

გიორგი პაპუაშვილი - 2004-2005

გიორგი პაპუაშვილი დაიბადა 1972 წლის 26 დეკემბერს ქ.თბილისში.

1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

1996-1997 წლებში სწავლობდა ქ. ბუდაპეშტში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, სადაც მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.



1996-2000 წლებში სწავლობდა ქ.ვაშინგტონში ამერიკის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, სადაც მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

1996-1999 წლებში მუშაობდა პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის აპარატში წამყვან სპეციალისტად და შემდგომ აპარატის უფროსად.

2000 წლის შემოდგომაზე მუშაობდა ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემომუშავებელი ჯგუფის ექსპერტად და აპარატის უფროსად.

2000 წლის დეკემბრიდან მუშაობდა ფონდ “ღია საზოგადოება-საქართველოს” კანონის უზენაესობის პროგრამის დირექტორად 2004 წლის მარტამდე.

2004 წლის 17 თებერვლიდან 2005 წლის იანვრამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

სხვადასხვა დროს გავლილი აქვს სტაჟირებები ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სასწავლო ინსტიტუტებში.

გია ქავთარაძე 2005-2007



დაიბადა 1970 წელს თბილისში.

1992 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, ხოლო 1993 წელს - ინდიანას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასპირანტურა.

1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის იანვრამდე მუშაობდა საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში სპეციალისტად.

1993 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ინდიანას უნივერსიტეტში სამართლის სკოლის ასპირანტურაში სწავლის პარალელურად, მუშაობდა იურიდიულ ფირმაში „Square, Sanders and Dampsey“ იურისტად.

1994-1995 წლებში იყო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFRC) საქართველოს წარმომადგენლობის საფინანსო ადმინისტრატორის თანაშემწე.

1995-1997 წლებში იყო გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საქართველოს წარმომადგენლობის ადმინისტრატორი.

1997-1998 წლებში მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული პროექტის – „საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის მხარდაჭერა“ კონსულტანტად.

1998 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორად, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორად.

1999 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა სამი წლის ვადით აირჩია საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრად, ხოლო 2000 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნად.

2002-2003 წლებში მუშაობდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „ტაჯიკეთის რესპუბლიკის სასამართლო რეფორმა“ სამართლებრივ კონსულტანტად. პარალელურად, იყო აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის პროექტის- „პროკურატურის რეფორმა საქართველოში“ სამართლებრივ კონსულტანტი. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა სასწავლო გადამზადების კურსებში. კერძოდ: „(UNICEF) – ის საკადრო რესურსების მართვა (1997 წ., შვეიცარია, ჟენევა); (UNICEF)–ის პროგრამების მართვის დაგეგმარება და საერთო ბიუჯეტი“ (1997წ.,

შვეიცარია, ჟენევა); „(UNICEF)–ის სახელფასო მეთოდოლოგია და სამუშაოთა კლასიფიკაცია“ (1997 წ., ეგვიპტე, ქაირო); „სამოსამართლო სწავლება“ (1999 წ., აშშ, ნევადა); სამართლის ხელმისაწვდომობა - ცვლილებათა სტრატეგია“ (2001 წ., გაერთიანებული სამეფო, ლონდონი); „სასამართლო სისტემა“ (2001 წ., ისრაელი); „სასამართლო მართვა და რეფორმა“ (2001 წ., აშშ);

2005 წლის ივნისიდან დეკემბრამდე იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2005 წლის 22 დეკემბერიდან 2007 წლის აგვისტომდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

ეკა ტყემელაშვილი - 2007-2008



დაიბადა 1977 წლის 23 მაისს ქალაქ თბილისში 1994 წელს დაამთავრა თბილისის 46-ე საშუალო სკოლა.

1999 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

1999-2000 წლებში მუშაობდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში იურისტად. 2001-2002 წლებში გადიოდა პრაქტიკას ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალში

ბრალმდებლის ოფისში სააპელაციო განყოფილებაში.

2002-2004 წლებში მუშაობდა ინსტიტუციური რეფორმისა და არასამთავრობო სექტორის - IRIS-საქართველოს - ჯერ იურისტად, შემდგომ კი დირექტორად.

2004-2005 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

2005-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე.

2006 წლის მაისიდან 2007 წლის აგვისტომდე იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

2007 წლის აგვისტოდან 2008 წლის იანვრამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

ნიკა გვარამია - 2008



დაიბადა 1976 წლის 29 ივნისს ქალაქ სოხუმში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2001 წელს დაამთავრა ასპირანტურა.

2000-2003 წლებში იყო საადვოკატო კომპანია შპს „სანდოს“ ადვოკატი.

2004 წელს მუშაობდა ს/ს „თელასის“ იურისტად.

2004-2007 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

2007 – 2008 წლის 31 იანვრამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე.

2008 წლის 31 იანვრიდან არის საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

2008 წლის ნოემბერში საქართველოს იუსტიციის მინისტრად ხელმეორედ დაინიშნა ბატონი ზურაბ ადეიშვილი

საკონტროლო კითხვები:

- რას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემა?
- რა განეკუთვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს?
- რა განეკუთვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებებს?
- რა უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი საქართველოს იუსტიციის მინისტრი?
- ვინ არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირი?
- ვინ შედის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამტატო შემადგენლობაში?
- საჯარო სამართლის რომელი იურიდიული პირები შედიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში?
- რა სტრუქტურული ქვედანაყოფები აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს?
- რა წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის ამოცანებს?
- რა ამოცანები აქვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს ანალიტიკური დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს გენერალურ ინსპექციას?
- რა ამოცანები აქვს ეკონომიკური დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს სამართალშემოქმედების დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს რეგისტრაციის, ნოტარიატისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს?
- რა ამოცანები აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს?
- რა სათათბირო ორგანოები არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში?
- ჩამოთვალეთ დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრები:

ნორმატიული აქტები:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის #541 ბრძანებულება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

სასარგებლო ბმულები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - <http://www.justice.gov.ge>

იუსტიციის
უმადლესი სკოლა

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

სკოლის სტატუსი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა (შემდგომში - სკოლა) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლის წესდების საფუძველზე. სკოლის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა“.. სკოლის დანიშნულებაა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიული მომზადება, მოქმედი მოსამართლის პროფესიული სრულყოფისათვის მისი გადამზადება, აგრეთვე საერთო სასამართლოების სისტემის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დასაკომპლექტებლად მოსამართლის თანაშემწეობის კანდიდატისა და სხვა სპეციალისტების მომზადება-გადამზადება.

სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

სკოლის მიზნებია:

- საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღიარებული უფლების სასამართლოს მემკვიდრით დაცვის ხელშეწყობა;
- საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა სამართლიანად და საჯაროდ გარჩევის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;
- იუსტიციის მსმენელის თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველყოფა;
- იუსტიციის მსმენელის მიერ მომავალი პასუხისმგებლობისა და კანონით დადგენილ ფარგლებში მოქმედების თავისუფლების შეცნობის უზრუნველყოფა;
- იუსტიციის მსმენელის თანდათანობითი ინტეგრირება იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც მას, როგორც მოსამართლეს, მომავალში მოუწევს საქმიანობა;
- მოქმედ მოსამართლეთა პროფესიული სრულყოფა.

სკოლის ფუნქციები და საქმიანობა

- იუსტიციის მსმენელის სტატუსის მინიჭების შემდგომ უზრუნველყოფს მსმენელთა მიერ თეორიული კურსის გავლას;
- იუსტიციის მსმენელზე გასცემს სახელმწიფო სტიპენდიას;
- სავალდებულო ან ალტერნატიულ სტაჟირებაზე ამწესებს მსმენელს;
- იუსტიციის მსმენელის მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში, მის მიმართ იყენებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;
- ატარებს გამოცდებს და ადგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიებს;
- ქმნის ბიბლიოთეკას სკოლის მსმენელთა და მოქმედი მოსამართლეებისათვის;

სკოლაში მიღების პირობები

სკოლაში იუსტიციის მსმენელად მიღება ხდება კონკურსის წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული ფორმით. სკოლაში მისაღები კონკურსი, როგორც წესი, ტარდება წელიწადში ორჯერ - მაისსა და ოქტომბერში. სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. კონკურსი ცხადება შესაბამისი თვის დადგომამდე არა უმეტეს ერთი თვით და არა ნაკლებ ორი კვირით ადრე ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სკოლაში მისაღები კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით სხვა დროს ჩატარების შესახებ უნდა გამოცხადდეს კონკურსის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე მაინც. იუსტიციის მსმენელობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის გამოცხადებისას. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადებები არ მიიღება. სარეგისტრაციო ვადის დაწყებამდე სამი დღით ადრე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქმნის კონკურსის მომზადების სამდივნოს.

სამდივნო იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებისაგან და მის მუშაობას ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სამდივნოს ევალება კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება და მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება.

მოთხოვნები, რომლებიც წაყენება იუსტიციის მსმენელობის კანდიდატს რეგისტრაციისას

სკოლაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან, ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და მისი ჩაბარებიდან არ არის გასული 7 (შვიდი) წელი.

რეგისტრაციის დროს წარმოსადგენი საბუთები

სკოლაში მიღების მსურველმა კანდიდატმა კონკურსის მომზადების სამდივნოში რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება სკოლაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- ორი ფოტოსურათი ზომით 3X4 (ფერადი).

კანდიდატთა რეგისტრაციისა და კონკურსის ჩატარების ვადა

იუსტიციის უმაღლესი საბჭო რეგისტრაციის დამთავრებიდან სამ დღეში აქვეყნებს მისაღებ კანდიდატთა სიას საკონკურსო ადგილების რაოდენობის მითითებით. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს კონკურსს.

კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევის კრიტერიუმებია:

- საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები;
- მორალური რეპუტაცია;
- პიროვნული თვისებები;
- პროფესიული უნარ-ჩვევები;
- კვალიფიკაცია;
- მტკიცებისა და გამოხატვის უნარი;
- ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

შეფასების კრიტერიუმებში იგულისხმება:

- მორალური რეპუტაცია – საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი, ზნეობრივი და ეთიკური ნორმებისადმი დამოკიდებულება, მიუკერძოებლობა, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება;

- პიროვნული თვისებები – გაწონასწორებულობა, სანდოობა, გულწრფელობა, კომუნიკაბელურობა, ხასიათის სიმტკიცე, ობიექტურობა;
- კვალიფიკაცია – მატერიალური და საპროცესო სამართლის, სასამართლო პრაქტიკისა და მეთოდის, კანონის ინტერპრეტაციის (განმარტების) მეთოდების ცოდნა, ასევე მისწრაფება სამართლებრივი ცოდნის გაღრმავებისაკენ, პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამეცნიერო ხარისხი;
- პროფესიული უნარ-ჩვევები – პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება, მონდომებულობა, მუშაობის ნაყოფიერება, პერსპექტიულობა პირის უნარი, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით, სიფრთხილით, საფუძვლიანად, კეთილსინდისიერად და საიმედოდ მიუდგეს საქმეს გეგმიურად, ეკონომიურად, კონცენტრირებულად და საჭიროების შემთხვევაში ვალდებულებათა სხვა სფერო ჰარმონიულად შეუსადაგოს სამსახურებრივ ვალდებულებებს.
- მტკიცებისა და გამოხატვის უნარი – პირის უნარი, დამაჯერებელი არგუმენტებით დაიცვას და სათანადოდ წარმოაჩინოს საკუთარი თვალსაზრისი, რა დროსაც უნდა გამოიჩინოს კონსტრუქციულობა, ტაქტიანობა და თვითკრიტიკულობა. ცალსახად, კომპეტენტურად, გასაგებად, მოქნილად, კონცენტრირებულად და დამაჯერებლად გამოხატოს თავისი აზრი როგორც ზეპირად, ისე წერილობით. შემოიფარგლოს არსებითი განმარტებებით და მოახდინოს პრობლემის ამომწურავი არგუმენტირება;
- ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი – პირის უნარი, საქმის რთული, უცხო გარემოებები და ურთიერთკავშირები აღიქვას სწორად. ცხოვრებისეული ურთიერთობების სოციალური, ეკონომიკური და სხვა არაიურიდიული ფონის გათვალისწინებით, პროფესიული ცოდნის გამოყენებით გაანალიზოს და ლოგიკურად მოაწესრიგოს ისინი. კონცენტრირება გააკეთოს საქმის არსებით გარემოებებზე. სათანადო მომენტში საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს სწორი და საფუძვლიანი გადაწყვეტილება.

კანდიდატების შერჩევისას გამოიყენება შემდეგი სახის შეფასებები:

- აჭარბებს მოთხოვნებს შესამჩნევად;
- აჭარბებს მოთხოვნებს ნაწილობრივ;
- შეესაბამება მოთხოვნებს;
- შეესაბამება მოთხოვნებს ნაკლებად;

- არ შეესაბამება მოთხოვნებს.

პიროვნული თვისებების კრიტერიუმის მიხედვით უარყოფითი შეფასების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხვა კრიტერიუმების შეუფასებლად მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ავსებს კანდიდატის შეფასების ფურცელს თანდართული ფორმის შესაბამისად.

იუსტიციის მსმენელის მოწმობა

კონკურსის გავლის შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით კანდიდატს სკოლაში ჩარიცხვისას ენიჭება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელის სტატუსი და ეძლევა იუსტიციის მსმენელის დამადასტურებელი მოწმობა, რომლის ნიმუშსაც ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

სკოლის სტრუქტურული ერთეულები, მასწავლებელთა საბჭო და მათი საქმიანობა

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია:

- სკოლის დირექცია;
- ბუღალტერია;
- კანცელარია (არქივი);
- ბიბლიოთეკა.

სკოლას გააჩნია ბათუმისა და წყალტუბოს რეგიონალური სასწავლო ცენტრები.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა

სკოლის დირექცია:

- უზრუნველყოფს სკოლის ფუნქციონირებას, იუსტიციის მსმენელთა სასწავლო და გადამზადების კურსების წარმართვას;
- უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას;
- შეიმუშავებს და ახორციელებს სასწავლო, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საერთო სასამართლოებთან.

ბულალტერია:

- ახორციელებს საბულალტრო საქმიანობას ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- უზრუნველყოფს სკოლის მოსამსახურეთა ხელფასების და მსმენელთა სახელმწიფო სტიპენდიების დარიცხვასა და დროულ გაცემას;
- ახორციელებს სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების მიზანშეწონილად და კანონიერად გამოყენებას;
- მონაწილეობს ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებაში, ასახავს ინვენტარიზაციის შედეგებს, ადგენს ბულალტრულ ანგარიშებს, აწარმოებს ბულალტრული დოკუმენტების აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთა ნუსხების, მათი გაანგარიშებებისა და სხვა საბუთების შენახვას.

კანცელარია (არქივი):

- ახორციელებს სკოლის სახელზე შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა-დამუშავებას, მათ დანიშნულებისამებრ გადაცემას, აგრეთვე, სხვა საკანცელარიო საქმიანობას;
- უზრუნველყოფს სკოლის ერთიანი საარქივო ფონდის კანონმდებლობით დადგენილი ვადით შენახვას, ცენტრალიზებულ აღრიცხვა-აღწერას, დაცვასა და დადგენილი წესით გამოყენებას;
- საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საარქივო საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობით.

ბიბლიოთეკა სკოლის მსმენელებსა და სასწავლო პროგრამებში ჩართულ სხვა პირებს უზრუნველყოფს ქართული და უცხოური ლიტერატურით.

სკოლის რეგიონალურ სასწავლო ცენტრებში იმართება სხვადასხვა სახის სემინარები, კონფერენციები, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე, აგრეთვე ხორციელდება სხვა ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია სკოლის მიზნებთან და საქმიანობასთან.

სასწავლო პროცესი

სწავლის ხანგრძლივობა

სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა არის თოთხმეტი თვე. სრული სასწავლო კურსი მოიცავს თეორიულ კურსს, სტაჟირებას და სემინარულ მუშაობას. თეორიული კურსის ხანგრძლივობაა ცხრა თვე, სტაჟირების – სამი თვე, სემინარული მუშაობისა – ორი თვე. მსმენელი თეორიული კურსისა და სკოლაში სწავლების დასასრულს აბარებს გამოცდებს.

სასწავლო საგნები

იუსტიციის მსმენელი შეისწავლის:

- საქმის განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში;
- საქმის განხილვას საკასაციო სასამართლოში;
- სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში კვალიფიკაციის საკითხებს;
- სასამართლო განხილვისას საპროცესო დოკუმენტის (გადაწყვეტილების) მომზადებას;
- პროფესიულ ეთიკას;
- დისციპლინას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ;
- უცხოურ ენას;

სწავლების ფორმა

სკოლაში სწავლების ფორმებია: სემინარი, სასამართლო პროცესის სიმულაცია, დისკუსია, სწავლება სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების საკითხებზე, აგრეთვე სხვა ფორმები, რომლებსაც სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო. სასწავლო პროგრამების ფარგლებში შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნეს იუსტიციის მსმენელთა მოკლევადიანი მივლინებები სასამართლოსა და პროკურატურაში.

იუსტიციის მსმენლის დისციპლინა

იუსტიციის მსმენელი ვალდებულია სკოლაში სწავლის დროს დაიცვას დისციპლინის ნორმები, რომლის დარღვევა იწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იუსტიციის მსმენლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს განიხილავს და წყვეტს სკოლის დირექცია.

თეორიული გამოცდის საგამოცდო კომისია

თეორიულ გამოცდას ატარებს საგამოცდო კომისია, რომლის შემადგენლობას სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო. საგამოცდო კომისია შედგება არა ნაკლებ სამი წევრისა და კომისიის თავმჯდომარისაგან. კომისიის თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტები.

გამოცდას ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლე;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი;
- დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშნული სამი წევრი;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი.

თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩატარებისა და შეფასების წესი

თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩატარების მიზანია სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის შეფასება. თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდა ტარდება ტესტური ფორმით. საგამოცდო ტესტი შედგება სამართლის იმ დარგებიდან აღებული ასი საკითხისაგან, რომლებშიც მსმენელმა თეორიული მომზადება გაიარა.

საგამოცდო ტესტის ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი, აღწერილობითი ნაწილი, შეიცავს სამართლებრივი შემთხვევის აღწერას, ხოლო მეორე ნაწილი – ამ შემთხვევის სამართლებრივი გადაწყვეტის ოთხ შესაძლო ვარიანტს (პასუხს). გამოსაცდელის ამოცანაა გამოიცნოს სწორი პასუხი და შემოხაზოს ამ პასუხის აღმნიშვნელი ანბანის ასო საგამოცდო ტესტის პასუხებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ფურცელში. ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. გამოსაცდელმა უნდა შემოხაზოს მხოლოდ ერთი პასუხი. თუ შემოხაზულია ერთზე მეტი პასუხი ან არცერთი პასუხი არ არის შემოხაზული, ტესტის ამოხსნა შეფასდება 0 (ნული) ქულით.

საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ტესტის გასწორებისას აღმოაჩენს შემოუხაზავ პასუხს, ვალდებულია ტესტის ამ საკითხის გასწვრივ წითელი ფერის ფანქრით ან ბურთულიანი კალმით გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა, რომ პასუხი ბათილია და იმსახურებს 0 (ნული) ქულას. ტესტის ყოველ საკითხზე სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი კი – 0 (ნული) ქულით. ტესტური გამოცდის მინიმალური

შეფასება არის ნული ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 100 (ასი) ქულა.

ტესტური გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ მსმენელი მოაგროვებს, სულ მცირე, 80 (ოთხმოც) ქულას, სხვა შემთხვევაში თეორიული გამოცდა ითვლება ჩაუბარებლად. თუ მსმენელმა მოაგროვა 75 ქულაზე ნალები ქულა, საგამოცდო კომისია დამოუკიდებელი საბჭოს წინაშე აყენებს საკითხს მსმენელის მორიგ თეორიულ გამოცდაზე დაშვების შესახებ. დამოუკიდებელი საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- მსმენელის სკოლიდან გარიცხვის შესახებ;
- მსმენელის მორიგ თეორიულ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვების შესახებ.

სკოლიდან გარიცხვის შემთხვევაში, მსმენელს არ აქვს უფლება სკოლაში მისაღებ კონკურსში ხელახლა მიიღოს მონაწილეობა მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ოთხი ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემთხვევაში საგამოცდო კომისიისათვის გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება: 0 (ნული) ქულა. გამოსაცდელები გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ მიიღებენ ორჯერ – 30 (ოცდაათი) წუთით და 15 (თხუთმეტი) წუთით ადრე. ოცდაათწუთიანი გაფრთხილების შემდეგ არავის აქვს უფლება დატოვოს საგამოცდო ოთახი საგამოცდო ტესტის ჩაბარების გარეშე.

სტაჟირება

თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარების შემდეგ იუსტიციის მსმენელი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გადის სავალდებულო ან ალტერნატიულ სტაჟირებას. სკოლის დირექტორი სტაჟირების ხელმძღვანელის წარდგინებით შესაბამის ორგანოებში ნიშნავს სტაჟირების კოორდინატორებს.

სტაჟირების კოორდინატორი:

- წარმართავს და ზედამხედველობს იუსტიციის მსმენელის სტაჟირებას;
- სტაჟირების დასასრულს მასთან მიმავრებულ თითოეულ იუსტიციის მსმენელს ანიჭებს საკვალიფიკაციო ქულას და აძლევს წერილობით რეკომენდაციას;
- სტაჟირების ხელმძღვანელს სტაჟირების დასასრულს წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების პროგრამის შესრულების შესახებ.

სტაჟირების კოორდინატორი ყოველდღიურად აფასებს იუსტიციის მსმენელის მიერ შესრულებულ სამუშაოს და აწარმოებს შეფასების ჟურნალს. სამუშაო დღის დასასრულს სტაჟირების კოორდინატორი ჟურნალში აღნიშნავს მსმენელის მიერ დამსახურებულ შეფასებას. დადებითი შეფასება აღინიშნება 1 (ერთი) ქულით, ხოლო უარყოფითი – 0 (ნული) ქულით. სტაჟირება იუსტიციის მსმენელის მიერ ითვლება წარმატებით გავლილად სტაჟირების მაქსიმალური ქულის 2/3-ის დაგროვების შემთხვევაში.

სემინარული მუშაობა

სტაჟირების დასასრულს სკოლა იუსტიციის მსმენელთათვის აწყობს ორთვიან სემინარებს, რომელთა მიზანია თეორიული კურსისა და სტაჟირების გავლის დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განზოგადება, ასევე, სკოლის დამამთავრებელი გამოცდისათვის იუსტიციის მსმენელის მომზადება. სემინარებს ატარებენ სკოლის მასწავლებლები ან მოწვეული სპეციალისტები.

სკოლის დამამთავრებელი გამოცდა

სკოლაში სწავლების დასასრულს იუსტიციის მსმენელი აბარებს გამოცდას, რომლის დანიშნულებაც იუსტიციის მსმენელის მიერ მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეფასებაა. დამამთავრებელი გამოცდა უნდა ჩატარდეს სწავლის დასრულებიდან არა უადრეს 15 (თხუთმეტ) და არა უგვიანეს 30 (ოცდაათ) დღეში. გამოცდის თარიღის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო.

დამამთავრებელი გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით. მსმენელს სასამართლო პრაქტიკიდან ეძლევა სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმე. მსმენელმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი კატეგორიის საქმე და მასზე უნდა შეადგინოს საპროცესო დოკუმენტების პროექტები. დამამთავრებელი გამოცდა ფასდება: საპროცესო დოკუმენტების შედგენის საპროცესო ნორმებთან შესაბამისობის, ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, დასაბუთებულობის, კანონიერი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისა და სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

წერთი გამოცდის შეფასება:

- საპროცესო დოკუმენტების საპროცესო ნორმებთან შესაბამისობისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 20 (ოცი);
- ფაქტობრივი გარემოებების სწორად შეფასებისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 30 (ოცდაათი);
- საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 20 (ოცი);
- კანონიერი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისა და სამართლის ნორმის ინტერპრეტაციისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 30 (ოცდაათი).

წერთი გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ექვსი ასტრონომიული საათი. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ - 30 და 15 წუთით ადრე. ოცდაათწუთიანი გაფრთხილების შემდეგ არავის აქვს უფლება დატოვოს საგამოცდო ოთახი წერთი ნამუშევრის ჩაბარების გარეშე. წერთი გამოცდაზე აკრძალულია კანონთა კომენტარებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება. დამამთავრებელი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად თუ მსმენელი მოაგროვებს, სულ მცირე 85 (ოთხმოცდახუთ) ქულას.

თუ მსმენელმა მოაგროვა 80 (ოთხმოც) ქულაზე ნალები ქულა, საგამოცდო კომისია დამოუკიდებელი საბჭოს წინაშე აყენებს საკითხს მსმენელის მორიგ დამამთავრებელ გამოცდაზე დაშვების თაობაზე. მსმენელის მორიგ დამამთავრებელ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო. დამოუკიდებელი საბჭოს მიერ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მსმენელს არ აქვს უფლება სკოლაში მისაღებ კონკურსში ხელახლა მიიღოს მონაწილეობა მომდევნო 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

საპრეტენზიო კომისია

თეორიული კურსისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდების შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო კომისია. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საბჭო. პრეტენზია მიიღება გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან ორი დღის განმავლობაში სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას. დაგვიანებით შემოსული პრეტენზიები არ განიხილება.

თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 75 (სამოცდათხუთმეტი) ქულა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 80 (ოთხმოცი) ქულა. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია და შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან. საპრეტენზიო კომისიის მიერ პრეტენზიის განხილვისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი. თეორიული კურსისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდების შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო კომისია საპრეტენზიო განცხადებაზე აკეთებს შეფასებას. საპრეტენზიო განცხადებების გასწორების შემდეგ პრეტენზიების განხილვის შედეგები შეიტანება საპრეტენზიო უწყისში და დასტურდება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით.

იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სია

სკოლაში სწავლების დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთ თვეში სკოლის დირექტორი დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას.

საკვალიფიკაციო სიის შედგენის დროს კოეფიციენტით ჯამდება იუსტიციის მსმენელს:

- მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია - 2 (ორი);
- სკოლაში თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია - 3 (სამი);
- სტაჟირების გავლისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია - 1 (ერთი);
- სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია - 4 (ოთხი).

ჯამური ქულის გამოყვანა

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ორსაფეხურიანია:

- ტესტები, სადაც მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური - 100 (ასი), გამსვლელი ქულაა 75 (სამოცდათხუთმეტი).
- წერთი გამოცდა, სადაც მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური - 25 (ოცდახუთი), გამსვლელი ქულაა 15 (თხუთმეტი).

საკვალიფიკაციო სიაში მსმენელთა ადგილი განისაზღვრება მათ მიერ მიღებული ჯამური ქულის სიდიდის მიხედვით. მსმენელთა მიერ თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში, სიაში მსმენელთა რიგითობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

- უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო დამამთავრებელ გამოცდაში;
- დამამთავრებელ გამოცდაში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო თეორიულ გამოცდაში;
- თეორიულ გამოცდაში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში;
- მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო სტაჟირებაში.

მოქმედ მოსამართლეთა გადამზადება

მოქმედ მოსამართლეთა გადამზადება ხორციელდება სხვადასხვა სახის სემინარის, სასწავლო კურსისა და კონფერენციის, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების, აგრეთვე, დისკუსიის მოწყობის გზით. გადამზადების მიზნით სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მოიწვიოს სხვადასხვა დარგის ექსპერტები და სპეციალისტები. მოწვეული ექსპერტები და სპეციალისტები გადამზადებას ახორციელებენ დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში. მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში.

მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- იუსტიციის მსმენლის რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში;
- სტაჟირების ხელმძღვანელის რეკომენდაცია, თუ იუსტიციის მსმენელთა რიგითი ნომრები საკვალიფიკაციო სიაში ერთმანეთს ემთხვევა;
- იუსტიციის მსმენლის მიერ სტაჟირების გავლისას შედგენილი წერილობითი ანგარიში და შესრულებული ნაშრომი, თუ რიგითი ნომრები საკვალიფიკაციო სიაში თანხვედრია და სტაჟირების ხელმძღვანელის რეკომენდაცია დადებითად ახასიათებს იუსტიციის მსმენლებს.

სკოლის მართვა და წარმომადგენლობა

სკოლის მართვის ორგანოებია დამოუკიდებელი საბჭო და სკოლის დირექცია.

დამოუკიდებელი საბჭო

სკოლის საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს, კოორდინაციას უწევს და მათ აღსრულებას ზედამხედველობს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო (შემდგომში – დამოუკიდებელი საბჭო), რომელიც იქმნება 6 (ექვსი) წევრის შემადგენლობით. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და კანონმდებლობით დადგენილი დამოუკიდებელი საბჭოს წევრის ფუნქციების განხორციელებისათვის საკმარისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება. დამოუკიდებელ საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი.

დამოუკიდებელი საბჭოს ხუთ წევრს, რომელთაგან ერთი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრია, ამტკიცებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, 3 (სამი) წლის ვადით. დამოუკიდებელი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ წელიწადში ორჯერ. სხდომას თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე. დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნა და გადაწყვეტილება ფორმდება ოქმების სახით, რომლებსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

დამოუკიდებელი საბჭო:

- შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის წესდებას;
- შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტის შედგენის წესს;
- ისმენს სკოლის დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის მუშაობის შესახებ;

სკოლის დირექტორის წარდგინებით:

- ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს;
- ამტკიცებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარადგენს სკოლის ბიუჯეტს;
- ამტკიცებს სკოლის საშტატო განრიგს;
- ამტკიცებს სახელფასო ფონდსა და შრომის ანაზღაურების ოდენობას, ასევე იუსტიციის მსმენელის სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობას;
- ირჩევს დირექტორის მოადგილეს და სტაჟირების ხელმძღვანელს;
- ამტკიცებს სასწავლო (თეორიული კურსი და სემინარული მუშაობა), სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებს;
- ამტკიცებს თეორიული კურსისა და სკოლის დამამთავრებელი გამოცდების პროგრამებს;
- ამტკიცებს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას;
- განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მიმართულებებს;
- განსაზღვრავს გამოცდების ჩატარების მეთოდოდიკას;
- იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის ფუნქციონირების საკითხებზე, თუ მათი გადაწყვეტა არ განეკუთვნება სკოლის დირექციის უშუალო კომპეტენციას.

სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე

სკოლის დირექტორს ირჩევს დამოუკიდებელი საბჭო 5 (ხუთი) წლის ვადით. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს ენიჭება უპირატესი ხმის უფლება.

სკოლის დირექტორი:

- წარმოადგენს სკოლას სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას და ასრულებს სკოლის წესდებით დადგენილ ფუნქციებს;
- უზრუნველყოფს სკოლის ფუნქციონირებას, იუსტიციის მსმენელთა სასწავლო და გადამზადების კურსების წარმართვას;
- უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას;
- დამოუკიდებელ საბჭოს, სკოლის დირექციასა და მასწავლებელთა საბჭოსთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებს;
- განსაზღვრავს სკოლის საშტატო ნუსხას და დასამტკიცებლად წარუდგენს დამოუკიდებელ საბჭოს;

- განსაზღვრავს საგამოცდო კომისიის შემადგენლობას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- განსაზღვრავს სკოლის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს დამოუკიდებელ საბჭოს, ხსნის და ხურავს საბანკო ანგარიშებს;
- სკოლის საწესდებო ფუნქციების განხორციელების მიზნით მართავს სკოლის ფინანსურ სახსრებსა და სხვა მატერიალურ ქონებას და პასუხისმგებელია მათი მართებული გამოყენებისათვის;
- განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს სკოლის თანამშრომლებს;
- დებს შრომით ხელშეკრულებებს სკოლის მასწავლებლებთან და მოწვეულ სპეციალისტებთან;
- იღებს გადაწყვეტილებებს შრომის პირობების გაუმჯობესების თაობაზე;
- გამოსცემს ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტებს, ანაწილებს ფუნქციებსა და მოვალეობებს სკოლის მასწავლებლებსა და დამხმარე მოსამსახურეებს შორის, ამტკიცებს მასწავლებლებისა და დამხმარე მოსამსახურეების ფუნქციებს, ხელს აწერს სკოლის დოკუმენტაციას;
- ასრულებს სკოლის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
- სკოლის დირექტორის მოადგილე ასრულებს დირექტორის მოვალეობებს მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში.

სკოლის ქონება და დაფინანსება

სკოლის ქონება

- სკოლა შექმნილია ლიკვიდირებული სამოსამართლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.
- ქონების შეძენა და გასხვისება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლის დაფინანსება

სკოლა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც საერთო სასამართლოების ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცალკე სტრიქონით. „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, სკოლას დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შეუძლია მიიღოს

საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური შემოსავლები ან მატერიალური დახმარებები.

სკოლის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებით მიღებული შემოსავალი;
- ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი;
- კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლები.

საკონტროლო კითხვები:

- რა მოთხოვნები წაეყენება იუსტიციის მსმენელობის კანდიდატს რეგისტრაციისას?
- რა საბუთები წარედგინება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში რეგისტრაციის დროს?
- რა კრიტერიუმებით ხდება კანდიდატთა საკონკურსო წესით შერჩევა?
- რა სტრუქტურული ერთეულებისაგან შედგება იუსტიციის უმაღლესი სკოლა?
- რა საგნებს შეისწავლიან იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები?
- აღწერეთ სწავლების ფორმა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში;
- აღწერეთ თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩატარებისა და შეფასების წესი;
- როგორ ტარდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდა?
- როგორ ხდება წერიტი გამოცდის შეფასება?
- აღწერეთ საპრეტენზიო კომისიის მუშაობის წესი;
- რას ნიშნავს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სია?
- როგორ ხდება ჯამური ქულის გამოყვანა?
- რა კრიტერიუმებით ხდება მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევა?
- რა უფლებამოსილებანი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს?
- რა დაფინანსების წყაროები აქვს იუსტიციის უმაღლეს სკოლას?

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“